

2007




საქართველოს ეკლეთია



ISSN 1512-0880

№2 2007



ბავშვები – ჩვენი მკითხველები,
წიგნი – მათი მეგობარი, კეთილი
მომავლის საწინდარი!

რედაქციის მისამართი:
თბილისი, 380007 გუდიაშვილის ქ.7
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა
ტელ.: 93-26-82



ქურნალის რედაქცია:
ადექსანდრე ღორია
- მთავარი რედაქტორი
გურამ თაყნიაშვილი
- მთავარი რედაქტორის
მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი
მზია რაზმაძე
- კომერციული დირექტორი
გუდნარა სჭურუა
- სამეცნიერო-მეთოდური და
კორექტორული მუშაობის
რედაქტორ-კოორდინატორი



ინსანფარმო „ალი“
დამფუძნებლები: საქართველოს
პარლამენტის იდია ქავჭავაძის
სახელობის ეროვნული
ბიბლიოთეკა; საქართველოს
საბიბლიოთეკო ასოციაცია.



**საქართველოს ბიბლიოთეკა, №2-07
შინაარსი:**

წიგნი, კითხვა, ბიბლიოთეკა 4

ისტორიის ფურცლებიდან

ალექსანდრე ლორია – საბიბლიოთეკო საქმის განვითარება
საქართველოში 1921-1990 6

ტერმინოლოგიური ძიებანი

ბადრი ცხადაძე - პალეოგრაფიულ-წიგნმცოდნეობითი
ტერმინები ქართულში - რვეული 12
შოთა შოშიაშვილი – ზოგიერთი ქართული სიტყვის წარმოშობის შესახებ 14

მოსაზრება

გულნარა სტურუა - ინტელექტუალური პროდუქცია – უპირველეს ყოვლისა..... 18

ღირსეული წინაპრები

გიორგი სარაჯიშვილი – პირველი მონოგრაფია ნიკალაზე და
რას წერდნენ გაზეთები ფიროსმანზე 21
გურამ თაყნიაშვილი – ერის გამოსაფხიზლებელი სიტყვა თეატრიდან 28

კორექსონდენციები

გურამ თაყნიაშვილი – სასარგებლო შეხვედრები – 33
– პირადი ბიბლიოთეკიდან ეროვნულში 34
დავით სოლომნიშვილი – წიგნის საუფლოში 35
ირინე გოგლიძე – საბიბლიოთეკო დარგის დეაწლმოსილი მუშაკი 37

იუბილე

ივლიტა ერიაშვილი – კლარა რამიშვილი - 80 39
ლევან ფრუიძე – ამაგდარი 41
ბრძნული სიტყვების დაუდალავი მაძიებელი – ოთარ ოსაძე - 80 42
ოთარ ოსაძე - მსოფლიოს დიდი მოაზროვნენი მკითხველისა და
კითხვის შესახებ 43
წიგნი – ურთიერთობის კეთილი მოციქული 47

რეცენზიები

გიორგი ეკიზაშვილი – მიშელ უელბეკის „ბრძოლის ველის განვრცობა“ 48
მ. ჯანაშვილი: ბიობიბლიოგრაფია 51

რევიუ

დავით გიგინეიშვილი – მოცარტი 2006 – ზალცბურგის სამების ფესტივალი 51
იური მგალობლიშვილი – კინოფილმები ფრანკოფონიის ეგიდით 54
საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა, მოვლენები, ფაქტები 56

ნეკროლოგი

ხსოვნა: თენგიზ ჩხიტუნიძე 58

Библиотека Грузии, №2-07

Содержание

Книга, чтение, библиотека	4
Страницы истории	
Александр Лория - Развитие библиотечного дела в Грузии в 1921-1990 годы	6
Терминологические изыскания	
Бадри Цхададзе - Палеографические книговедческие термины в грузинском языке	12
Шота Шошиашвили - О происхождении некоторых грузинских слов	14
Мнения	
Гульнара Стура - Интеллектуальная продукция - в первую очередь	18
Прославленные предшественники	
გიორგი სარაჯიშვილი - Первая монография о Никале и что писали газеты о Пиросмани	21
Гурам Такниашвили - Пробуждающее слово из театра	28
Корреспонденция	
Гурам Такниашвили - Полезные встречи -	33
из личной библиотеки - в Национальную	34
Давид Соломонишвили - В мире книг	35
Ирина Гоглидзе - Заслуженный работник библиотечной отрасли	37
Юбилеи	
Ивлита Эриашвили - Кларе Рамишвили - 80	39
Леван Пруидзе - Труженик	41
Неустанный искатель мудрых слов - Отар Осадзе - 80	42
Отар Осадзе - Великие мыслители мира о читателях и чтении	43
Книга - добрый посредник взаимоотношений	47
Рецензии	
გიორგი აკიშაშვილი - "Распространение поля боя" Мишеля Уэлбека	48
М. Джанашвили Биобиблиография	51
Ревю	
Давид Гигинеишвили - Моцарт - 2600: Фестиваль Зальцбургской Троицы	51
Юрий Мгалоблишвили - Кинофильмы под эгидой франкофонии	54
Хроника	
Хроника библиотечной жизни Грузии: события, факты	56
Некролог	
Памяти Тенгиза Чхитунидзе	58

Georgian Library, 2-07

Table of contents:

Book, reading library	4
From the history pages	
Alexandre Loria - The development of library affair in Georgia 1921-1990	6
Terminological searches	
Badri Tskadadze - Paleografical-book-learning terms in Georgian. Notebook	12
Shota Shoshiashvili - About the origin of some georgian words	14
Point of View	
Gulnara Sturua - Intellectual production - At first II.....	18
Worthy ancestors	
Giorgi Saradzishvili - The first monograph about Nikala and the newspapers about Pirosmeni	21
Guram Takniashvili - The awakening word from the theatre	28
Correspondences	
Guram Takniashvili - Useful meetings	33
- From private librari to public	34
Davit Solomonishvili - In a book land	35
Irine Goglidze - Merit worker of library field	37
Jubilee	
Ivlita Eriashvili - Klara Ramishvili - 80	39
Levan Pruidze - Deserved	41
The untired seeker of words of wisdom - Otar Osadze - 80	42
Otar Osadze - The world's great thinkers about reades and reading - book, the kind apostle of relationship	43
Reviews	
Giorgi Ekizashvili - Michelle Uellbeck's "Expanding of the field of fight"	48
Review	
Davit Gigineishvili - Mozart - 2006. Salzburg trinity festival	51
Iuri Mgaloblishvili - Movies under Francophonie aegis	54
The Chronicle of library life. Events, Facts	56
Obituary	
Memory - Tengiz Chkhitunidze	58

წიგნი, კითხვა, ბიბლიოთეკა

წიგნი დიდ როლს ასრულებდა და ასრულებს კაცობრიობის ცხოვრებაში, ადამიანთა ინტელექტუალური შრომის გადარჩენის, დაცვისა და შემდგომი თაობებისათვის გადაცემის საქმეში მას ბადალი არ ჰყავს. დიდა წიგნის ძალა და ზეგავლენა, მით უმეტეს, მოზარდის გონებასა და შექმნებაზე. კითხვა შემოქმედებითი პროცესია, რომელიც აერთიანებს სწავლას, განათლებას, ინფორმაციას, გართობასა და დასვენებას. წიგნთან ურთიერთობა ადრეული ასაკიდან იწყება. ბავშვის გონებას დიდხანს გასდევს პირველი წაკითხული წიგნის შინაარსი. ბავშვის ურთიერთობა წიგნთან, მისი კითხვის წარმართვა, რთული პედაგოგიური პროცესია, რომელშიც მონაწილეობენ მშობლები, პედაგოგები, ბიბლიოთეკარები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები. ბავშვთა კითხვის ძირითადი პრინციპი – ასაკობრივი მიდგომა, ადვილიდან ძნელზე, ნაცნობიდან უცნობზე გადასვლა, აღიარებული და აპრობირებულია მსოფლიო საბიბლიოთეკო პრაქტიკაში. მარჯვედ შერჩეული საბავშვო წიგნი დადებით ზეგავლენას ახდენს მოზარდის სულიერ სამყაროზე, მის ინტელექტუალურ განვითარებაზე, „საბავშვო წიგნი – წერდა ნ. ნაკაშიძე. – იხსნის ბავშვებს ქუჩისა და უვიცობის გამხრწნელი კლანჭებისაგან“ (ყურნ. „განათლება“, 1920, №2, გვ. 54). აყალიბებდა რა თავისუფალი აღზრდის იდეებს, ილია ნაკაშიძე 1916 წელს წერდა: „ჩვენ გვინდა მხოლოდ რომ ბავშვმა კარგი ნიშნები მიიღოს, ყოველ წელიწადს კლასიდან კლასში გადადიოდეს და ბოლოს მოგვიტანოს სიმწიფის მოწმობა სხეულისა, რომელშიაც სული ჩამკვდარია“ (განათლება, 1916. – №3. - გვ. 167).

სავალდებულო სასკოლო პროგრამის დაძლევა, თუნდაც წარმატებულად, არაფრის მომტანია, თუ მოსწავლე არ იზრდება პროგრამის ზევით, არ მუშაობს ტექსტებზე, არ კითხუ-

ლობს კლასიკური თუ თანამედროვე მწერლების ნაწარმოებებს.

წიგნის კითხვისადმი ინტერესი უამრავი ფსიქოლოგიური, სოციალური ფაქტორებითაა განპირობებული. ინტერესი მაინც ინდივიდუალურია. თავდაპირველად გაღვივებული ინტერესი შეიძლება შენელდეს, ჩაქრეს, ან პირიქით – გაძლიერდეს. ყველაფერი დამოკიდებულია პიროვნების პროფესიაზე, მის ცხოვრებისეულ გარემოზე. ფსიქიკურ წყობაზე. თანამედროვე ეტაპზე წიგნმა უნდა აამოძრავოს ჩვენში ერთობ მისუსტებული ეროვნული გრძნობა. მან გარკვეული როლი უნდა შეასრულოს ეროვნული ენერჯის ახალ ყაიდაზე გარდაქმნის საქმეში. მაღალი ზნეობრივი პრინციპებით დაწერილი წიგნი მარჯვე იარაღია ეროვნული სულისკვეთების გაღვივებისათვის;

შეიძლება დავასკვნათ, რომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ შეგვარყია, დაგვასუსტა მატერიალურად, მაგრამ ვერ გაგვტეხა, პირიქით, გაგვაძლიერა სულიერად. პიროვნებას სულიერი გადახალისება, მისი ზრდა წარმოუდგენელია კითხვასა და მართებული ინფორმაციის გარეშე.

დღეს ბევრს წერენ და ლაპარაკობენ წიგნისა და ინფორმაციის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ისევე, როგორც მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, წიგნს გარკვეული პოპულარიზაცია გაუწია ტელევიზიამ, თანამედროვე ეტაპზედაც ამავე ფუნქციას ასრულებს კომპიუტერიზაცია. კომპიუტერი აჩქარებს ინფორმაციის მოპოვებას, დამუშავებას, შენახვისა და ხელმისაწვდომობის პროცესს, მაგრამ იგი ვერ შეცვლის წიგნს; ამ პრობლემაზე უკვე აღარ დაობენ. წიგნიდან წაკითხულს სხვა დატვირთვა, ზეგავლენა და შედეგი აქვს.

მოზარდთა და მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ორგანიზებულ კითხვას ბიბლიოთეკები აწარმოებენ. ასაკობრივ

პრინციპებზე აგებული ბიბლიოთეკები (საბავშვო, ახალგაზრდობის) შედარებით უფრო ახლოს მიდიან მოზარდთა სულიერ სამყაროსთან; ისინი მარჯვედ ასრულებენ წიგნის უკიდვანო სამყაროში გზამკვლევის როლს, ბიბლიოთეკები სწორედ ის დაწესებულებებია, სადაც მოზარდი ფეხს იდგამს, როგორც მკითხველი, შემდეგ იგი ყალიბდება მოქალაქედ, ეუფლება პროფესიას, იზრდება ინტელექტუალურად, აღწევს სულიერ სრულყოფას. ამ პროცესში განუზომელია სწორად შერჩეული წიგნის როლი და დანიშნულება. საზოგადოების ინფორმირებისათვის ბიბლიოთეკა წარმოადგენს დოკუმენტთა ბაზას. ინფორმირება, ინფორმაციის მიწოდება, არის ბიბლიოთეკების ერთ-ერთი ფუნქცია; ძირითადი ამოცანა ნებისმიერი ბიბლიოთეკისათვის არის აღზრდისა და განათლების ხელშეწყობა საბიბლიოთეკო დოკუმენტების მიზანშეწონილი გამოყენებით.

თანამედროვე ეტაპზე მკვეთრად იზრდება სახელმწიფოს ინტერესი ინფორმაციისადმი. საქართველოს სახელმწიფო საბიბლიოთეკო სისტემას, მიუხედავად ამჟამინდელი მკვეთრი ცვლილებებისა, გააჩნია საინფორმაციო და საგანმანათლებლო რესურსების საკმარისი მარაგი. ეს არის ქართული ერის გონებისა და აზრის დიდი მონაპოვარი. დღეისათვის ინფორმაცია იძენს ეკონომიკური პრობლემის თვისებებს; მაგრამ ამ კუთხით ბიბლიოთეკებს ვერ მივუდგებით. ბიბლიოთეკების უკუგება არ განიზომება ეკონომიკური ბერკეტებით; რაც უფრო მაღალ დონეზეა ბიბლიოთეკების მუშაობა, რაც უფრო განახლებადია მისი რეპერტუარი, მით უფრო მაღალია მათი როლი და ადგილი მეცნიერების, მოზარდი თაობის აღზრდისა და განათლების საქმეში. განათლების მიღება, ცოდნის შექმნა შეუძლებელია „ზეპირად“, პირველ წყაროებზე სისტემატური მუშაობის გარეშე. ამ საშუალებებს ბიბლიოთეკები, არქივები და მუზეუმები ფლობენ. ყოველმხრივ ინფორმირებული მოქალაქე არ ნიშნავს ყოველმხრივ განათლებულს.

ამჟამად საქართველოში ბიბლიოთეკების მდგომარეობის ზოგადი ანალიზიც ცხადყოფს, რომ გაიზარდა დისპროპორცია ბიბლიოთეკების შესაძლებლობასა და მოსახლეობის წიგ-

ნზე მოთხოვნილებას შორის. ობიექტური ახსნა ასეთია: – ბიბლიოთეკებში ნაკლებად შედის ახალი ლიტერატურა, ბიბლიოთეკები ბევრ შემთხვევაში უძლურნი არიან მაღალ დონეზე შესრულონ სხვადასხვა სოციალური ჯგუფების პროფესიული თუ ზოგადი ხასიათის დაკვეთები. დღეისათვის ცოდნა ათჯერ უფრო ადრე ძველდება, ვიდრე გასული საუკუნის 70-80-იან წლებში. ამ პროცესს ფეხდაფეხ უნდა მისდინონ ბიბლიოთეკებმა. ეს ნიშნავს ფონდების სისტემატურ, თანდათანობით განახლებას. ჩვენში დაბალია საზოგადოებისა და ბიბლიოთეკების ურთიერთგამამდიდრებელი დიალოგის დონე. ეს გარემოება ანელებს კითხვის პროცესს, საზოგადოებას უკარგავს წიგნისა და განათლებისადმი ინტერესს.

პროფესიონალი ბიბლიოთეკარები საზღვარგარეთ და ჩვენშიც „აიძულებენ“ ცოდნას ინტელექტუალურ აღორძინებისათვის იმუშაოს. ცოდნისა და ინფორმაციის საყოველთაო ხელმისაწვდომობას განაპირობებს სამართლებრივი ბაზა; ის ფაქტი, რომ ჩვენში ძალზე დაბალია მოსახლეობის იურიდიული განათლების დონე, მეტყველებს იმაზე, რომ ინფორმაციის წყაროები ხელმიუწვდომელია მომხმარებლისათვის; დღეს ბიბლიოთეკები იბრძვიან „მზის ქვეშ“ ადგილის დამკვიდრებისათვის; სახელმწიფოს შენელებული ინტერესი ბიბლიოთეკებისადმი გამომდინარეობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან. საჯარო ბიბლიოთეკების ქსელის ოპტიმიზაციამ არ უნდა დაარღვიოს ადგილობრივი მოსახლეობის კონსტიტუციური უფლებები საბიბლიოთეკო მომსახურების სფეროში. ამ და სხვა უამრავმა სოციალურმა ფაქტორმა შეანელა კითხვისა და, მაშასადამე, წიგნისადმი ინტერესი. კითხვის ფაქტორის შესუსტება თანამედროვე ცივილიზებული სამყაროსათვის მტკივნეული პრობლემათაგანია. სწორედ ამ საკითხების სახელმწიფო დონეზე რეგულირების მიზნით ბევრგან შეიმუშავეს კითხვის სახელმწიფო პროგრამა. ჩვენი ცხოვრების ხარისხი რომ დაუუახლოვოთ საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტებს, საჭიროა გვექონდეს კონკრეტული იდეები, ცოდნა და ინფორმაციის მაღალი დონე. ამ პროცესში დიდია წიგნისა და წიგნიერების დანიშნულება. წიგნის კითხ-

ვის კულტურა კრიტიკულ ზღვარზეა მისული; ჩვენში დაბალია მოსახლეობის აბსოლუტურად დიდი ნაწილის საერთო კულტურული კომპეტენტურობა. კითხვა მნიშვნელოვანი საშუალებაა სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფორმაციის მისაღებად. სისტემატური ცოდნის მიღების გარეშე შეუძლებელია ნებისმიერი პროფესიის დაძლევა იმ დონეზე, რომ იგი დაახლოებული იყოს საერთაშორისო სტანდარტებს; მეორე მხრივ, ასეთი ცოდნის გარეშე შეუძლებელია საქართველოს მოქალაქემ კარგად გააცნობიეროს ჩვენი ქვეყნისათვის დამახასიათებელი ღირებულებები, ნორმები, ტრადიციები.

საქართველოს მოქალაქეთა განათლების დონესა და კულტურულ კომპეტენტურობაზე ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ზრდა და, საერთოდ, მისი კონკურენტუნარიანობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

უკანასკნელი 20 წლის მანძილზე კითხვის პროცესის ინტენსიფიკაციის დაბლა დაცემა პირდაპირპროპორციულად მოქმედებს ქვეყნის ინტელექტუალური შესაძლებლობების ზრდასა და განვითარებაზე. კითხვა უნდა გავხადოთ ქართული კულტურისა და განათლების შენარჩუნებისა და განვითარების მძლავრ ინსტრუმენტად. კითხვის ინტენსივობის ზრდა აძლიერებს მშობლიურ ენას, ხელს უწყობს ქვეყნის განვითარების

სტრატეგიული მიზნების განხორციელებასა და მოწინავე მსოფლიო გამოცდილების გაცნობას.

წიგნისა და კითხვისადმი მოზარდი თაობის შემობრუნებისათვის თანაბრად დაინტერესებული უნდა იყოს: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს მწიგნობართა ასოციაცია, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ყველა სახელმწიფო თუ არასამთავრობო სტრუქტურა, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ქვეყნის მომავალი. ამ პრობლემისადმი თანაბარი ინტერესი უნდა გამოიჩინონ წიგნის ინდუსტრიით დაკავებულმა სტრუქტურებმა. კითხვის სოციოლოგიური კულტურის გარემო არ იქმნება მარტო საბიბლიოთეკო ქსელის აწყობილი მუშაობით. კოორდინაციული მუშაობის პროცესში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ფსიქოლოგებმა, სოციოლოგებმა, პედაგოგის პრობლემების მკვლევარებმა; საჭიროა ახლებურად იქნეს გააზრებული კითხვის სამეცნიერო-მეთოდური უზრუნველყოფის საკითხები. განათლებული მკითხველი, ყოველმხრივ ინფორმირებული სპეციალისტი და პროფესიონალი ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ღირებულებას წარმოადგენს.

ისტორიის ფურცლებიდან



ალექსანდრე ლორია

საბიბლიოთეკო საქმის განვითარება საქართველოში 1921-1990 წწ.

(მოკლე ისტორიული მიმოხილვა)

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ყველა ბიბლიოთეკა და წიგნსავაჭრო ნაციონალიზებული იქნა. საბიბლიოთეკო საქმის ხელმძღვანელობა დაევალა განათლების სახალხო კომისარიატის (განსასკომი) მთავარ პოლიტიკურ-საგანმანათლებლო კომიტეტს (პოლიტგანი). ბიბლიოთეკები ოფიციალურად ჩაებნენ წერა-კითხვის უცოდინარობის

ლიკვიდაციისათვის გამართულ ღონისძიებებში. კომპარტიის დავალებითა და ზედამხედველობით ფართოდ გაიშალა ანტირელიგიური მუშაობა და სოციალისტური იდეების პროპაგანდა. უმთავრეს პრინციპად საქმისადმი პარტიული მიდგომა გამოცხადდა.

საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაცია თავიდან ბოლომდე რუსეთის გამოცდილებას დაექ-

ვემდებარა, მით უმეტეს, საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ. საქმის განვითარების უმთავრეს მაჩვენებლად ბიბლიოთეკების ქსელის ზრდა იქცა. 1922-1929 წლებში ბიბლიოთეკების რაოდენობა 129-დან 400-მდე გაიზარდა. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. მოხდა ისეც, რომ ზოგან ზრდის მაგიერ ბიბლიოთეკები იხურებოდა უსახსრობის გამო. გამოირიცხული არც ბოიკოტა. შედარებით წარმატებული იყო მიღწევები სოფლად. თუ 1922 წლისთვის მხოლოდ 50 სოფელში იყო ბიბლიოთეკა, 1929 წლისთვის მათ რიცხვმა 277-ს მიაღწია.

დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ქოხსამკითხველოებს, რომლებიც, ფაქტობრივად, იდეოლოგიურ დაწესებულებებს წარმოადგენდა.

თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება ფონდების „წმენდას“ დაეთმო. ბიბლიოთეკიდან იდენტიფიცირებული ყველაფერი, რაც „ბურჟუაზიული შეხედულების“ მატარებლად ითვლებოდა.

30-იან წლებამდე საკმაოდ სწრაფი ტემპით იზრდებოდა პროფკავშირულ ბიბლიოთეკათა ქსელი, მაგრამ აშკარა იყო ამ ბიბლიოთეკების საქმიანობის დაბალი დონე – ფონდების უკმარისობა, დაკომპლექტების სუსტი ორგანიზაცია, არაპროფესიული მომსახურება.

ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას 20-იან წლებში წარმოადგენდა 1923 წლის თებერვალში საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკების შექმნა. მას საფუძვლად დაედო სახკომსაბჭოს ბიბლიოთეკის ფონდები, აგრეთვე იმ ფონდების შემორჩენილი ნაწილი, რომელიც მუხეუმისა და „ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკიდან“ იყო მოღწეული. გარდა ამისა, მას თანდათან უერთდებოდა სხვადასხვა მცირე ბიბლიოთეკისა და გამოჩენილ მოღვაწეთა კოლექციები. 1928 წლამდე ბიბლიოთეკა მოთავსებული იყო ყოფილ მეფისნაცვლის სასახლეში, შემდეგ ერთი წლით თავი სამხედრო ეკლესიის შენობას შეაფარა. 1929 წლიდან მან დაიკავა ყოფილი სათავადაზნაურო ბანკის შენობის ნაწილი. შემდეგში ეს შენობა მთლიანად დაეთმო მას.

(დაწვრილებით ამ პერიოდის ბიბლიოთეკის შესახებ იხ. ლიტ.: კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

/ შე.მდ. ა. კავკასიძე. – თბ., 1963; ბიბლიოთეკა რესპუბლიკური //ქსე: ტ. 2. – თბ., 1977. – გვ. 360; ყურაშვილი ფ. საბიბლიოთეკო საქმის განვითარება საბჭოთა საქართველოში: (1921-1974 წწ). – თბ., 1978.).

20-იან წლებში გამრავლებას იწყებს სამეცნიერო ბიბლიოთეკები: სამედიცინო, კავკასიის მცოდნეობის, წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის, მეცხოველეობის ინსტიტუტის, რევოლუციის მუხეუმის, სანიტარიისა და ჰიგიენის ინსტიტუტის; განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო განათლების სახელმწიფო ბიბლიოთეკის დაარსება 1927 წელს. 1937 წ. ის პედაგოგიკის საკვლევო ინსტიტუტის ბიბლიოთეკად იქცა. შემდეგში მის საფუძველზე შეიქმნა ი. გოგებაშვილის სახელობის რესპუბლიკური პედაგოგიური ბიბლიოთეკა.

ნაყოფიერ მოღვაწეობას განაგრძობდა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა. ის ივსებოდა შეწირულებებითა და ინკორპორაციის გზით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ მაშინ დაიწყო აქტიური ზრდა, როდესაც მას სავალდებულო ცალკების მიღების უფლება მიენიჭა, 1924 წლისათვის ბიბლიოთეკას უკვე გააჩნდა ანბანური და სისტემატური კატალოგები და საგნობრივი კატალოგის შედგენას შეუდგა.

*(დაწვრილებით იხ.: კასრაძე ა. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა: (1918-1960) // საბჭოთა საქართველოს 40 წელი. – თბ., 1961. – გვ. 449-497.).

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში არ არსებობდა მეთოდური ხელმძღვანელობის რაიმე მწყობრი სისტემა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ 1921 წლიდან თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკაში პერიოდულად იმართებოდა ქალაქის მასობრივი ბიბლიოთეკების მუშაკთა თათბირ-სემინარები. თბილისსა და სხვა ქალაქებში თანდათან იქმნებოდა ბიბლიოთეკათა მცირე გაერთიანებები. 1921-1922 წლებში პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებდა დედაქალაქის ბიბლიოთეკების საბჭო.

1925 წელს საფუძველი ჩაეყარა თბილისის „ბიბლიოთეკების მუშაკთა გაერთიანებას“, ხო-



ლო 1927 წ. თბილისის განათლების მუშაკთა სახლთან შეიქმნა „საბიბლიოთეკო მუშაკთა ასოციაცია“. საბიბლიოთეკო საქმიანობასთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი მეცნიერები: გ. გეხტმანი, გრ. წერეთელი, მ. პოლიექტოვი, ვ. ბროსე და სხვები. მათ შეუერთდნენ საბიბლიოთეკო დარგის თვალსაჩინო მოღვაწეები: ნ. ლორთქიფანიძე, გ. ბაქრაძე, დ. მარკვეიძი, ვ. ჯოჯუა, ი. ციციშვილი და სხვები. მათი მონაწილეობით გამოდიოდა ხელნაწერი ჟურნალები.

1924 წელს დაარსდა წიგნის პალატა, რომელიც იმთავითვე ჩაერთო თეორიული ძიების პროცესებში. 1926 წ. გამოდის პირველი ქართული „წიგნის მატიანე“. ამგვარად ჩაეყარა საფუძველი საქართველოში საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიული საქმის თეორიისა და მეთოდოლოგიის განვითარებას, სახელმწიფო ბიბლიოგრაფიულ რეგისტრაციას.

პარტიული ზედამხედველობის პირობებში ბიბლიოთეკების იდეოლოგიზაციის პროცესი შედარებით მძიმედ ვითარდებოდა, რაც გამუდმებული თვალყურის საგანს წარმოადგენდა. ამის შედეგად სისტემატურად იმართებოდა ზემდგომი ორგანოების თათბირები, კონფერენციები, ქვეყნდებოდა რეზოლუციები და დადგენილებები. ეს მოვლენა დამახასიათებელი იყო როგორც მომდევნო ათეულ წლებში, ისე, საერთოდ, საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებამდე.

30-იან წლებში ყველაზე შთამბეჭდავი მაჩვენებელია მასობრივი ბიბლიოთეკების ქსელის ზრდა. 1930 წლისათვის საქართველოში სულ 521 ბიბლიოთეკა იყო, 1940 წლისათვის მათი რიცხვი 1600-მდე გაიზარდა, აქედან სოფლად 1103 ბიბლიოთეკა ფუნქციონირებდა.

1931 წელს პროფსაბჭომ სპეციალური დადგენილება მიიღო ქსელის ბიბლიოთეკების რეორგანიზაციისათვის, რის შედეგადაც მრავალსაწარმოში გაიხსნა ბიბლიოთეკა.

მასობრივი ბიბლიოთეკები აქტიურად მოღვაწეობენ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში. 1940-იანი წლების დასაწყისისათვის საქართველოში მთლიანადაა ლიკვიდირებული წერა-კითხვის უცოდინარობა, რაც უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

30-იან წლებში მკვეთრად იზრდება სასწავლებელთა ბიბლიოთეკების ქსელი. 40-იანი

წლებისათვის ყველა მოზრდილ სოფელში ზოგან სრული საშუალო, ზოგან არასრული საშუალო სკოლა ფუნქციონირებდა. სკოლებში ბიბლიოთეკების არსებობა ოფიციალურად იყო აუცილებელი, თუმცა მათი საქმიანობა ვერ იყო სათანადო მხარდაჭერით უზრუნველყოფილი. ფონდი მცირე იყო, დაფინანსება – უმნიშვნელო, არსად არ მუშაობდნენ პროფესიონალები. ეს ნაკლი თითქმის ბოლომდე გასდევდა საბჭოთა სკოლების ბიბლიოთეკებს.

შედარებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ უმაღლესი საწავლებლების ბიბლიოთეკები, თუმცა ისინიც განიცდიდნენ მატერიალურტექნიკურ სივიწროვეს. ამ პერიოდში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო, პუშკინის სახელობის პედაგოგიური, ზოოვეტერინარული, ფიზკულტურის, სოხუმის, ქუთაისის, ბათუმის, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტები. ყველა მათგანს თავისი ბიბლიოთეკა გააჩნდა.

30-40-იან წლებში კვლავ ფართოვდება სამეცნიერო ბიბლიოთეკების ქსელი. პირველად გაიხსნა ქიმიის, ჰიდროტექნიკის, კვების მრეწველობის, მეაბრეშუმეობის, ჩაის მეურნეობის, სუბტროპიკული და სხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ბიბლიოთეკები. 1933 წელს დაარსდა საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სამეცნიერო ბიბლიოთეკა. მას საფუძვლად დაედო ყოფილი საცენზურო კომიტეტის ბიბლიოთეკა, რის წყალობითაც მის ფონდში უამრავმა არალეგალურმა და აკრძალულმა ლიტერატურამ მოიყარა თავი. ბევრი მათგანი, განსაკუთრებით პროკლამაციები, უნიკალურ ეგზემპლარებს წარმოადგენს. ის დახურული ტიპის ბიბლიოთეკა იყო და ძირითადად სპეციალისტებს ემსახურებოდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე. (ამჟამად მას „პრეზიდენტის ბიბლიოთეკას“ უწოდებენ, მაგრამ თითქმის აღარ ფუნქციონირებს. მოსალოდნელია მისი სრული ლიკვიდაცია, რამაც შეიძლება აქ დაცული ფონდების განთავსება გამოიწვიოს).

საბიბლიოთეკო საქმის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი 1930 წელს საბიბლიოთეკო კოლექტორის შექმნამ, რამაც უზრუნველყო მასობრივი ბიბლიოთეკების ცენტრალური წესით



დაკომპლექტება. საჭირო შეიქნა აღრიცხული-ყო ყველა უწყებისა და სახის ბიბლიოთეკები. ამ პერიოდში დაიწყო რაიონული ბიბლიოთეკების შექმნა, ავტონომიურ რეგიონებში ჩამოყალიბდა რესპუბლიკური ბიბლიოთეკები.

1935 წელს საბჭოთა კავშირში ჩატარდა სოფლად საბიბლიოთეკო საქმის საუკეთესოდ მოწყობაზე სოციალისტური შეჯიბრება-კონკურსი. საქართველო აქტიურად გამოეხმაურა ამ ღონისძიებას. გაიხსნა 26 ახალი სასოფლო ბიბლიოთეკა, 53 – საკოლმეურნეო, 39 – საბჭოთა მეურნეობის. რამდენიმე თვეში ამდენი ბიბლიოთეკის გახსნა უდაოდ შთამბეჭდავ მაჩვენებელს წარმოადგენდა, მაგრამ იგივე არ ითქმის იმ პირობებზე, რომლებშიც ისინი აღმოჩნდნენ: ფონდის სიმცირე, ტექნიკურად გაუმართაობა, არაშესაფერისი ბინა-სათავსები. საერთოდ, საქართველოში ამ დროისათვის ბიბლიოთეკისათვის სპეციალურად არც ერთი შენობა არ ყოფილა აგებული.

30-იან წლებში მკვეთრად დაიწყო გაუმჯობესება კადრების მომზადების საქმემ. 1938 წელს გაიხსნა თბილისის პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებელი, სადაც შექმნილი იყო საბიბლიოთეკო განყოფილება. ამავე წელს თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში შეიქმნა ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტი და კათედრა, ძლიერდება თეორიული საქმიანობა; კათედრაზე მუშავდება ცალკეული პრობლემები, რესპუბლიკური ბიბლიოთეკა იწყებს „შრომების“ გამოცემას. ამ დაწესებულებებს მხარში უდგას წიგნის პალატა, რომელიც მუშაობს მეცნიერულ საკითხებზე. 1938 წლიდან იწყებს ბეჭდური ბარათების გამოცემას, 1939 წლიდან, „ჟურნალების სტატიების მატიანეს“. მომდევნო წლებში პალატა გამოსცემს პერიოდულ ორგანოს – „ბიბლიოგრაფიის მოამბეს“. (საბჭოთა პერიოდში მეცნიერული მუშაობის, კადრების მომზადებისა და საბიბლიოთეკო კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ ცალკე გამოქვეყნდება სტატია შემდეგ ნომერში.)

შეიძლება ითქვას, 30-იანი წლები იყო ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის განვითარების ისტორიაში. ისიც საგულისხმოა, რომ 1923 წელს შექმნილმა რესპუბლიკურმა საჯარო ბიბლიოთეკამ,

როგორც იქნა, ორგანიზაციული პროცესების გავლის შემდეგ, 1931 წლის თებერვალში დაიწყო მომხმარებელთა მიღება და მათი აქტიური მომსახურება.

40-იანი წლების დასაწყისში დაწყებულმა სამამულო ომმა ყველაფერი მოშალა. მთელი 5 წლის განმავლობაში მასობრივი ბიბლიოთეკების რაოდენობა მხოლოდ 6 ერთეულით გაიზარდა. ძირითადი ყურადღება ეთმობოდა სამხედრო-პატრიოტული თემატიკის ირგვლივ არსებული ლიტერატურის პროპაგანდას. ბიბლიოთეკები მონაწილეობდნენ სახელმწიფო სესხის გავრცელებაში, ფრონტელებისათვის საჩუქრების შეგროვებაში, ემსახურებოდნენ ჰოსპიტლებსა და სამხედრო ნაწილებს, მართავდნენ მათთვის სხვადასხვაგვარ ღონისძიებებს.

სხვა ამოცანების წინაშე იდგნენ სამეცნიერო ბიბლიოთეკები, თუმცა მთავარი მიზანი მათთვისაც ფრონტის ხელშეწყობისათვის ზრუნვა იყო. ბიბლიოთეკარები თითქმის გაუსაძლის პირობებში მუშაობდნენ, რაც გამოწვეული იყო ხშირი უშუქობით, სიცივიტ, ტრანსპორტის დეფიციტით.

ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას ამ პერიოდში წარმოადგენდა სამეცნიერო აკადემიის შექმნა (1941 წ.). მის სისტემაში 14 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი იყო გაერთიანებული თავიანთი ბიბლიოთეკებით. თვით აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა პატარა ბიბლიოთეკა – 2,000 წიგნადი ფონდით, რომელიც 1945 წელს ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკად გარდაიქმნა. (დაწვრილებით იხ.: უზნაძე ვ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა. – თბ., 1965.) გაააქტიურა მუშაობა რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ როგორც ომის, ისე სახალხო მეურნეობის ომის შემდგომ აღდგენით პერიოდში – დაიწყო წიგნების გაცემა შინ სარგებლობისათვის ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალზე, შექმნა ტექნიკური განყოფილება, სამკითხველო დარბაზით, ომისაგან თავდაღწეულ ბიბლიოთეკებისათვის აგროვებდა წიგნებს, ახდენდა მათი გადაგზავნის ორგანიზაციას. აქ არ შეწყვეტილა სამეცნიერო-მეთოდოლოგიური მუშაობა, გამოსცემდნენ მეთოდოლოგიურ წერილებს, ადგენდნენ აქტუალური ლიტერატურის მაჩვენებლებს. ომის

პერიოდში ანალოგიურად მოღვაწეობდნენ აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკური ბიბლიოთეკები.

ომიშემდგომი პერიოდის საბიბლიოთეკო საქმის რეორგანიზაცია იმით დაიწყო, რომ 1946 წ. საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა კომიტეტი, ავტონომიურ რესპუბლიკებში – სამმართველოები; რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილებები ჩამოყალიბდა.

1947 წ. ჩატარდა კულტ.-საგანმანათლებლო დაწესებულებების საზოგადოებრივი დათვალიერება. მართალია, მას დიდი შედეგები არ მოჰყოლია, მაგრამ ამან ერთგვარად მაინც შეუწყო ხელი საქმის გაუმჯობესებას.

1953 წ. დაარსდა კულტურის სამინისტრო და რეგიონების აღმასკომების კულტურის განყოფილებები. კულტურის სამინისტროში ფუნქციონირებდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების სამმართველოები საბიბლიოთეკო განყოფილებებით.

50-იან წლებში სსრ კავშირში აღინიშნა მასობრივი ბიბლიოთეკების რაოდენობის შემცირება; ეს გამოწვეული იყო საკლებო დაწესებულებების გაუქმებით, რაც საქართველოში არ მომხდარა. 1945 წელთან შედარებით, 1958 წელს ბიბლიოთეკების რაოდენობა ორჯერ გაიზარდა. გამოცოცხლდა სოფლის ბიბლიოთეკების საქმიანობა, დაიწყო ავტო-ბიბლიოთეკების პრაქტიკა, მაგრამ ამან იმ პერიოდში არ გაამართლა. არნახული ტემპით იზრდებოდა ბიბლიოთეკათმორისი აბონემენტი, რომლის კოორდინაციასაც რესპუბლიკური ბიბლიოთეკა ახდენდა.

(დაწვრილებით იხ.; მელქაძე ნ., ლორია ა. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმორისი აბონემენტი // საქართველოს ბიბლიოთეკა. – 2006, № 1. – გვ. 24-30).

საქართველოში საკმაოდ სწრაფი ტემპით იზრდებოდა სამეცნიერო ბიბლიოთეკების რიცხვი. თუ 1934 წ. რესპუბლიკაში 287 სამეცნიერო ბიბლიოთეკა არსებობდა, 1960 წლისათვის იმათ რაოდენობამ 875-ს მიაღწია.

60-70-იან წლებში კურსი აღებულ იქნა სასოფლო ბიბლიოთეკების გამსხვილებისაკენ სხვადასხვა ბიბლიოთეკების შეერთების ხარ-

ჯზე; ბევრგან უქმდება ბიბლიოთეკები კულტურის სახლებსა და კლუბებში, საკოლმეურნეო ბიბლიოთეკები სასოფლო ბიბლიოთეკებს უერთდება, მაგრამ მატულობს საზოგადოებრივი და საბავშვო ბიბლიოთეკების რიცხვი, მწიფდება იდეა საბიბლიოთეკო ქსელის ცენტრალიზაციისა, რასაც ბიძგი მისცა საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დადგენილებამ. მიუხედავად ქსელის გაფართოებისათვის მუდმივი ზრუნვისა, იყო დასახლებული პუნქტები, სადაც ბიბლიოთეკები არ არსებობდა. მოსახლეობას აქ მოძრავი ფორმებით ემსახურებოდნენ, მაგრამ ამ საქმიანობას საკლებით ფორმალური ხასიათი ჰქონდა. ისიც შეინიშნება, რომ საბჭოთა საბიბლიოთეკო საქმეში თავს იჩენს სტატისტიკური მონაცემების გაყალბება, მიწერები, გადამეტებები, მოჩვენებითობა. მთავარ ნაკლს წარმოადგენდა ისიც, რომ ბიბლიოთეკები არ იყო რაციონალურად გადანაწილებული ტერიტორიულად, მათი დისლოკაცია ღუნედ მიმდინარეობდა, ყურადღება არ ეთმობოდა კადრების გეგმიურად მომზადებასა და დასაქმებას. თავი იჩინა ადგილობრივ ხელმძღვანელთა სრულმა თავნებობამ, რაც დღემდე გრძელდება. თითქმის ყველა ბიბლიოთეკა განიცდიდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამორჩენას. ბიბლიოთეკართა უმრავლესობა არასპეციალისტებისაგან შედგებოდა, რომელთა დიდი ნაწილი შემთხვევით პიროვნებას წარმოადგენდა. საქმეს ვერ უშველა 1968-1970 წლებში ჩატარებულმა საიუბილეო დათვალიერებამ, თუმცა მცირე ხნით ერთგვარი გაუმჯობესება კი აღინიშნა.

საგრძობლად ჩამორჩებოდა საბავშვო ასაკის მკითხველთა მომსახურების საქმე. 1973/74 სასწავლო წლისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლათა რიცხვი 4. 419-ს უდრიდა, აქედან ბიბლიოთეკა მხოლოდ 3. 454 სკოლას გააჩნდა. ბიბლიოთეკარები არაპროფესიონალები იყვნენ, უმეტესად პედაგოგები, ისიც შეთავსებით; ბევრ ბიბლიოთეკარს მხოლოდ საშუალო განათლება ჰქონდა მიღებული. მართალია, მდგომარეობა საგრძობლად შეიცვალა 1966 წელს რესპუბლიკური საბავშვო ბიბლიოთეკის გახსნის შედეგად, მაგრამ ამას რაიმე რადიკალური ცვლილებები არ მოჰყოლია.

1968 წ. თბილისში გაიხსნა ქალაქის ახალგაზრდული ბიბლიოთეკა, რომელიც 1974 წ. რესპუბლიკურ ახალგაზრდულ ბიბლიოთეკად გადაკეთდა, თუმცა მისი საქმიანობა ვერ გასცდა ქალაქის ფარგლებს. ახალგაზრდული ბიბლიოთეკები შემდეგ რამდენიმე ქალაქშიც დაარსდა.

აღნიშნულმა ნაკლოვანებებმა, მეტ-ნაკლებად, სამეცნიერო ბიბლიოთეკებშიც იჩინა თავი. რესპუბლიკური ბიბლიოთეკა ვერ უზრუნველყოფდა ქვეყნად საბიბლიოთეკო საქმის გარდაქმნისათვის წარმმართველი როლის შესრულებას. სავსებით შესუსტდა აქ სამეცნიერო მოღვაწეობა და თეორიული საქმიანობა მხოლოდ მეთოდური მუშაობით შემოიფარგლებოდა. ვერც აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა და ვერც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ვერ ახერხებდნენ თანამედროვე მოთხოვნილების შესაბამისად ეღვაწათ, მძიმედ მიმდინარეობდა მათი ტექნიკური აღჭურვილობა, რაც ბოლომდე მტკივნეულ ნაკლად დარჩა. ვერაფრით ვერ ხერხდებოდა საინფორმაციო და საბიბლიოთეკო სამსახურის გაერთიანება, რაც ამჟამადაც დიდ პრობლემად ითვლება.

1967 წელს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკა მისთვის სპეციალურად აგებულ შენობაში გადადის, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა ამ ბიბლიოთეკის საქმიანობა. ამავე წელს ახალ შენობაში გადავიდა საქართველოს რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა. 60-70-იან წლებში ამ ბიბლიოთეკამ დიდად შეუწყო ხელი სამეცნიერო-ტექნიკური პროფილის სპეციალისტების მომსახურებას, მაგრამ ის მაინც ვერ ახერხებდა მსოფლიოს მოწინავე ბიბლიოთეკების სტანდარტებით ემუშავა.

70-იან წლებში ახალაგებულ შენობაში გადადის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა. ნაგებობა სრულიად არაადეკვატურია, რამაც მრავალი პრობლემის წინაშე დააყენა ბიბლიოთეკა. უზარმაზარმა ხარჯებმა, რასაც ეს გიგანტური ნაგებობის დაცვა და კეთილმოწყობა მოითხოვდა, ფაქტობრივად, უმძიმეს პირობებში ჩააყენა ბიბლიოთეკა; მისი ისედაც სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კიდევ უფრო გაუარესდა. დაახლოებით იგივე ითქმის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ

სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობაზეც.

1980 წლისთვის საქართველოში დამთავრდა ძირითადი სახელმწიფო ბიბლიოთეკების ქსელის ცენტრალიზაცია, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა მოსახლეობის მომსახურება, მაგრამ დროებით. მან ვერ მოგვცა ის შედეგები, რასაც მისგან ელოდნენ და იჩინა თავი ტრადიციულმა ნაკლოვანებებმა. დაიწყო პროფკავშირული ბიბლიოთეკების ქსელის ცენტრალიზაციაც, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი. ფაქტობრივად, მალე დაირღვა ცენტრალიზაციის ძირითადი პრინციპი – ურთიერთკორდინირება. ვერ გაამართლა ავტობიბლიოთეკებმაც. მათი საქმიანობა სავსებით არაორგანიზებულად მიმდინარეობდა და მალე ამ ფორმით მოსახლეობის მომსახურებამ კიდევაც შეწყვიტა არსებობა.

საბიბლიოთეკო საქმის განვითარებაში განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა დედაქალაქის საბიბლიოთეკო სისტემას, რომელსაც სათავეში ცენტრალური ბიბლიოთეკა ედგა. ის საკმაოდ ორგანიზებულად მართავდა თავის ფილიალებს, მაგრამ მძიმე პირობებს ქმნიდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამორჩენილობა და არ იძლეოდა განვითარების საშუალებას თანამედროვე მოთხოვნილებების შესაბამისად.

80-იან წლებში თითქმის შეწყდა საქმიანი კონტაქტები საბიბლიოთეკო საქმის ხელმძღვანელ რგოლებსა და წამყვან ბიბლიოთეკებს შორის, მთლიანად შეიზღუდა კვალიფიკაციის ამაღლების სამუშაოები. კულტურის სამინისტრო 80-იანი წლების ბოლოსათვის სავსებით კარგავს მანამდელ ფუნქციებს, აღარ მოქმედებდა საუწყებო-საშრომოსო საბჭო, თუ არ ჩავთვლით ეპიზოდურ შემთხვევებს.

80-იანო წლების II ნახევარში დაწყებულმა პოლიტიკურმა გარდაქმნებმა მძიმე დაღი დასვა საბიბლიოთეკო საქმეს. იწყება ეკონომიური კრიზისი, რამაც მთლიანად დაარღვია საბიბლიოთეკო საქმის განვითარების გეგმები, რომლებიც 2 ათასი წლისათვის იყო გათვალისწინებული. თანდათან რთულდება ბიბლიოთეკების მატერიალური უზრუნველყოფა, იწყება საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესი. ამან ძალიან გაართულა ისედაც გაძნელებული ურთიერთკონტაქტები სხვა რესპუბლიკებისა და

ქვეყნების ბიბლიოთეკებთან.

პოზიტიურად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ საბოლოოდ სინათლე ეფინება არსებულ რეალობას, თავს იჩენს ყოველი მანკიერება და დგება გარდაქმნების აუცილებლობის ჟამი. ამას თავისთავად მოსდევს რალაცკვარი დაბნეულობა, წინააღმდეგობრიობა, ჩნდება უცხოეთის გამოცდილებისადმი დიდი ინტერესი, თუმცა ამ პერიოდში და ნაწილობრივ ამჟამადაც, არ ხერხდება რაიმე მნიშვნელოვანი სიახლეების გადმოტანა და დანერგვა.

ქვეყანა ახალი ეპოქის წინაშე აღმოჩნდა, რაც საბიბლიოთეკო საქმის განვითარების სავსებით ახალ პირობებს ქმნიდა.

ლიტ: ბიბლიოთეკა რესპუბლიკური // ქსე: ტ. 2. – თბ., 1977. – გვ. 360.

კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიბლიოთეკა/

შემდგ. ა. კავკასიძე. – თბ., 1963.

კასრაძე ა. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა: (1918-1960) // საბჭოთა საქართველოს 40 წელი. – თბ., 1961. – გვ. 449-497.

მელქაძე ნ., ლორია ა. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმორისი აბონემენტი // საქართველოს ბიბლიოთეკა. – 2006, №1. – გვ. 24-60.

უზნაძე ვ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა. – თბ., 1965.

ყურაშვილი ფ. საბიბლიოთეკო საქმის განვითარება საბჭოთა საქართველოში: (1921-1974 წწ.) – თბ., 1978.

ტერმინოლოგიური ძიებანი

ბადრი ცხადაძე

კალეოგრაფიულ-ვიზუალურ-ფიგურატიული ტერმინები ქართულში. რვეული

ცალკეული ქართველური სიტყვის ეტიმოლოგია, მიუხედავად იმისა, თუ რა პრინციპულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებს ეყრდნობა, აუცილებლად გულისხმობს და მოითხოვს სიტყვის ხმარების გამოწვლილვით შესწავლას ყოველი ეპოქის ძეგლების მიხედვით. ამა თუ იმ ენაში არსებობს ჯგუფი ისეთი სიტყვებისა, რომელთა თავდაპირველი მნიშვნელობის დადგენა და სახელდების მოტივაცია ნათელი და უდავოა, თუნდაც ამ შემთხვევაში; მარტოდენ ქართული მასალის, მონაცემებითა და წერილობით-ხეპირ-სიტყვიერი ჩვენებით. ასეთ სიტყვათა რიგს განეკუთვნება წიგნთმცოდნეობით-კალეოგრაფიული ტერმინი რვეული (შდრ. რვა) [1, 306].

რვეული საწერი ქალაქის რამდენიმე ფურცლისგან შემდგარ, ერთად შეკრულ და გარეკანში ან ყდაში ჩასმულ ბლოკს ეწოდე-

ბა. წინათ იგი რვა ფურცლისაგან შედგებოდა [2,426]. სახელწოდებაც აქედან წარმოდგა: რვეული(რვაეული).

გვქონდა თუ არა ეს სიტყვა ძველ ქართულში? ი. აბულაძის [3] და ზ. სარჯველაძის [4] ძველი ქართული ენის სალექსიკონო მასალებში ეს სიტყვა არ ჩანს. მას არ იცნობს არც სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“ [5]. დ. ჩუბინაშვილის დამოწმებით და განმარტებით, რვეული არის „რამდენიმე თაბახი ქალაქი შეკეცილი და შეკერილი. mempage [6, 1037]. ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი ამ სიტყვას არ იცნობს [7].

მიუხედავად აქ დამოწმებული სალექსიკონო მასალებისა თუ ლექსიკონებში მათი ასახვისა, როგორც ჩანს, ეს ტერმინი ძველ ქართულში გვქონდა. ივ. ჯავახიშვილის თქმით, „ჩვენამდის მოაღწია ერთმა საგულისხმო წერილმა, რომე-

ლიც განთქმულ მწერალ იოანეს ეკუთვნის. მას 984 წელს სინას მთიდან წიგნის მოძებნის მიქელისათვის მოუწერია, როდესაც შეკვეთილი წიგნი შემკვეთელისათვის დამთავრებული გაუგზავნია. აი, თვით წერილიც: „ქრისტემან მომიბოძენ ჯუარი და წმინდად ლოცვად თქვენი, ძმაო და უფალო მიქელ, რომელი გებრძანა, დამიწერია. მაგრამ მეგობრებისად არა ვპოვე. სხუად ვერად ვიცოდე, რადცა დაწერე, რვეულნი (ხაზი ჩვენია, ბ.ცხ.), რომელ დარჩის, საკითხავებად დაწერე, შემინდვე, არად მქონდა. ყოველთა ძმათა თაყვანის ცემასა და ლოცვასა მოვახსენებ. ესე მე აღრე დაწერე, გარნა არავინ ვპოვე, ვისმცა მივცე...“ (სინას მთის მონასტერი, 984 წ.) [8,55].

1031 წელს ძველ ქართველ მწიგნობარ-მოღვაწეს საბა მჭედელს შეუდგენია ჰაგიოგრაფიული კრებული (sin-78). კრებულს ერთვის გადამწერის ანდერძი. მოძებნისადმი დაწერილი ანდერძიდან ვიკებთ: „ტკბილო მამაო იოვანე გოლგოთელო, ესე წიგნაი ქანქარისა თარგმანი მომივსენებია კელითა კორილე წურედისაძთა. აწ ვითა მოიწიოს თქუენ წინაშე, მიბრძანეთ, დიად ნუგეშინის მეცემის, ოდეს ჰამბავი ვცნა, რომელ გოლგოთას და სიონს ქველის მოქმედებანი უქმნიან უოფალსა ჩუენსა. ქანქარსა და ეწყების და ვიდრე მწუხრი შაბათამდე ყოველი აქა და მაგათ რვეულთა სწერია, ვითა იოანე ოქროპირსა აღუწერია. და მნებავს, რომელ მაგას წმიდასა ადგილსა სამარადისოდ იკითხვოდინ... ესე, რომელ ბოლოსა დიდისა პარასკევისა საკითხავი სწერია, არა თარგმანისაგანია...“ Sin-78 (ხელნ. ინსტ. ფოტო). 287 iv [9, 88]. მზ. სურგულაძე, რომელიც ამ ტექსტს იმოწმებს და „მჩხრეკალობის“ თვალსაზრისით განიხილავს, რატომღაც ყურადღებას არ აქცევს ამ ძირძველ და საინტერესო წიგნთმცოდნეობით-პალეოგრაფიულ ქართულ ტერმინს.

ე.წ. სამუაღლი ხანის (resp აღორძინების ხანის) ძეგლებში ტერმინი რვეული ფრიად გავრცელებულია. როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, „ბარამიანის“ 1726 წ. ხელნაწერის გადამწერელი ონანა მდივანი თავის ანდერძში თავმოწონებით ამბობს: „დღეში ერთი რვეული დავსწერი ოთხმოცდა თექვსმეტი ლექსი, რომელ მრავალთა ნახიან სწრაფადობა კალამ-

თა ჩემთა“-ო [10, 527]. ერთი რვეული 16 გვერდს შეიცავდა და ონანა მდივნის სიტყვებიდან ჩანს, რომ დღეში 16 გვერდის (30, 5X 20, 5 სანტ.) დაწერა უკვე „კალამთა სწრაფადობად“ ითვლებოდა. მაშასადამე, ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, ჩვეულებრივი გადამწერი ამაზე გაცილებით ნაკლებ ნაყოფიერებას იჩენდა და ნაკლების დაწერას ასწრებდა [8, 57]. იქვე ივ. ჯავახიშვილი საქართველოს საისტორიო საზოგადოების „ვეფხისტყაოსნის“ 1646 წ. № 99 ხელნაწერის გადამწერის ნათქვამსაც იმოწმებს: „ვიწყე ესე...ვეფხისტყაოსანი“ თიბათვისა ცამეტსა, სრულ [ვყავ ათ]რვამეტსა აგვისტოსა ქ-კსა სამას ოცდაათობეტსა, [თუ] რამ აკლდეს, ნურავინ დამწყევლით, ტყვეობაში ვსწერდი. ეს წიგნი ოცდაცხრა რვეული არის“-ო. [11, 570]. ამგვარად, ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერა 13 თიბათვეს ანუ ივლისს დაწყებული და 18 აგვისტოს დამთავრებულია. სულ 35 დღე გამოდის და ამ ხნის განმავლობაში 29 რვეული, ანუ 464 გვერდი დაუწერია... თუ გადამწერმა ყოველ დღე, კვირა-უქმეებსაც იმუშავა, მაშინ დღეში 13 გვერდზე ცოტა მეტი დაუწერია, მაგრამ თუ გადამწერი კვირა-უქმეებს მტკიცედ იცავდა, მაშინ მისი ნაყოფიერება თითქმის ონანა მდივნისას უდრის და დღეში 15 გვერდი (28X20 სანტ.) გამოდის“ [8, 58].

აღსანიშნავია, რომ ჩვენს წინაპრებს ხელნაწერებში ფურცლების რიცხვის აღნიშვნა წესად არ ჰქონდათ და სათვალავი რვეულების მიხედვით სცოდნიათ [8, 63].

საქართველოში, ამავე აღორძინების ხანაში, ისეთი შემთხვევები ყოფილა, როცა წამლებს ნათხოვარი წიგნი უკან აღარ დაუბრუნებია. „აღარ გამოეჩინოს“-ო დანაწიებით დასძენს 1779 წ. დაწერილ ანდერძში მღვდელი ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი. გამწარებული მღვდელი არც იმას მაღავეს, რომ ზოგიერთს „რვეულის ამოგლეჯაც“, „ფურცლის ამოხვევაც“ და ბოროტი განზრახვით „ამოკუეთა“-ც სცოდნია. ივ. ჯავახიშვილის საერთო შეფასებით, წიგნის ცუდად და „უნაღვლელოდ და ნისიად ხმარება“ მეტადრე მერმინდელი კულტურული დაქვეითების ხანაში, ცხოვრების მტკივნეული ნაკლი ყოფილა [8,82-83].

აქვე შეიძლება შევნიშნოთ: თუ მაშინდელი კულტურული დაქვეითების ხანაში წიგნს ყდასა და

ფურცლებს აგლეჯდნენ, დღეს კულტურული ერის წარმართველი სახელმწიფო წინასწარ, მიზანმიმართულად რატომ აუქმებს და ხურავს წიგნის მალაზიებსა და ბიბლიოთეკებს? რატომ ყიდის მათ ფართს? თუკი წინ მივდივართ ეკონომიკურ-კულტურულად, მალაზიისა და ბიბლიოთეკების გაყიდვა ჩვენს წინსვლასა და „ეკონომიურად ზრდას“ დავაბრალთ?

საბოლოოდ, მიუხედავად ამ შენიშვნისა, შეიძლება დავასკვნათ, ძველ ქართველ მხსრეკალთ-მწიგნობრებს, წიგნის მოყვარულთ, წესად ჰქონიათ წიგნის რვეულებად (16 გვერდი) შეკვრა-„მოგება“, ყოველგვარი ნუმერაციის გარეშე. სამწუხაროა, რომ ეს ძველი მწიგნობრულ-პალეოგრაფიული ტერმინი ძველი ქართული ენის ლექსიკონის შემდგენელთ გამორჩენიან... თუმცა საქვეყნოდ ცნობილ ისტორიკოსსა და პალეოგრაფს, აკად. ივ. ჯავახიშვილს თავის სკრუპულოზურ მონოგრაფიაში სათანადო ადგილი მიუჩენია.

რვეული ძველი ქართული წიგნმცოდნეობით-პალეოგრაფიული ტერმინი დღესაც დასაფასებელია ქართულ ენაში. იგი დღესაც ღირსეულად ემსახურება ქართველ ერს, მის კულტურულ ყოფას.

მითითებული ლიტერატურა:

1. ქავთარაძე ი. ეტიმოლოგიური ძიებანი // იბე-

რიულ-კავკასიური ენათმეცნიერება: ტ. XXII. – თბ., 1980.

2. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვატომეული): ტ. VI. არნ. ჩიქობავას საერთო რდაქციით. – თბ., 1960.

3. აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი: (მასალები). – თბ., 1973.

4. სარჯველაძე ზ. ძველი ქართული ენის ლექსიკონი: (მასალები). – თბ., 1995.

5. ორბელიანი სულხან საბა. თხზულებანი: ტ. IV/ ავტობიოგრაფიული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ. – თბ., 1966.

6. ჩუბინაშვილი დ. ქართულ-რუსული ლექსიკონი: მეორე გამოცემა; აღდგენილი ოფსეტის წესით. / სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ. – თბ., 1984.


7. ჩუბინაშვილი ნ. ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ. / აღ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით. – თბ., 1961.

8. ჯავახიშვილი ივ. ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია: მეორე გამოცემა. – თბ., 1949.

9. სურგულაძე მზ. ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები. – თბ., 1978.

10. თაყაიშვილი ე. Описание рукописей I.

11. თაყაიშვილი ე. Описание рукописей II.



შოთა შოშიაშვილი

ზოგიერთი ქართული სიტყვის ნარმოუმობის შესახებ

(ეტიმოლოგიური ძიებანი)

ცნობილია, რომ ქართულ ენაში და არა მართო ქართულში, რომელიმე საგნის ან მოვლენის გამომსახველი სიტყვა იმავე საგნის (მოვლენის) რაიმე მნიშვნელოვან თვისებას შეესაბამება ან წარმოადგენს მისი ფუნქცია-დანიშნულების ასახვას.

მაგალითად:

1. ბგერა „წ“-ს შესახებ. ბგერა „წ“ მკვეთრი თანხმოვანი, ყრუ ბგერაა, გამოითქმის მოკლედ და მცირე სიმძლავრით. ამ ბგერით გამო-

იხატება საგნის სიმცირე ან მოვლენის ხანმოკლეობა. მაგ: წვრილი, წერტილი, წვერი, წინწკალი, წამწამი, წიბო, წილი, წამი, წყარო, წმინდა, წამალი, წკეპლა, წიწილა, წივწივი, წკავწკავი, წველა და სხვა. „წ“ წარმოადგენს ბგერას, რომელსაც გამოსცემს წიწილა წივწივის დროს ანუ სიტყვა „წივწივი“ ზუსტად ასახავს შესაბამის პროცესს, ხოლო სიტყვა „წიწილა“ – საგანს, რომელიც ამ პროცესს

იწვევს. ამრიგად, გამოთქმა „წიწილა წიწი-
ვებს“ ზუსტად ასახავს შესაბამის პროცესს და
საგანსაც, სათანადო ბგერის გამოცემის თვალ-
საზრისით.

ანალოგიური აზრი შეიძლება გამოითქვას
ბგერა „ყ“-ს მიმართ სიტყვათა წყობაშიც – „ბა-
ყაყი ყიყინებს“; ბგერა „ჭ“-ს მიმართ – სიტყვათა
წყობაში „ჭრიჭინა ჭრიჭინებს“; ბგერა „ქ“-ს მი-
მართ – სიტყვათა წყობაში „ქარი ქრის“, ბგერა
„ხ“-ს მიმართ – სიტყვათა წყობაში „ხერხი ხერ-
ხავს“; ბგერა „ღ“-ს მიმართ – სიტყვათა წყობა-
ში „მღრღნელი ღრღნის“. ალბათ სხვა მაგალი-
თების მოყვანაც შეიძლება.

ბგერა „თ“-სა და „ფ“-ს შესახებ.

ბგერები „თ“ და „ფ“ ყრუ, ფშვინვიერი თან-
ხმოვანებია. ისინი გამოხატავენ სოგლუვეს, სირ-
ბილეს, სიფართეს, სინახეს. მაგ: თათი, ფუნთუ-
შა, ფართი, ფერფლი, ფაფუკი, თოთო, თივთიკი,
ფოთოლი, თუთუნი, ფუთფუთი, ფაფა და სხვა.

ბგერა „ჯ“-ს შესახებ.

ბგერა „ჯ“ მჟღერი თანხმოვანია. იგი გამო-
ხატავს ჯძუხს, სიბლაგვეს, სიტლანქეს, უხე-
შობას. მაგ: ჯძუხი, ჯარგვალი, ჯავშანი, ჯო-
რი, ჯოჯო, ჯირკი, ჯანჯალი, ჯალჯი, ჯღა-
ნი, ჯაყვა, ნაჯახი, ჯახუნი, ჯაჭვი, ჯებირი,
ჯართი, ჯიჯგვი და სხვა.

ასეთი თვისებები განსაკუთრებით დამახა-
სიათებელია იმ ბგერებისათვის, რომლებიც ძი-
რითადად ქართულ სიტყვიერებაში გვხვდება
– ჯ, წ, ჭ, თ, ქ, ღ.

2. ბგერა „რ“-ს შესახებ.

ბგერა „რ“ მჟღერ, ნარნარა ბგერას წარმო-
ადგენს და წარმოთქმისას თითქოს მეორდება:
რ-რ-რ-...

ქართულ ენაში თითქმის ყველა ის სიტყვა
შეიცავს „რ“-ს, რომელიც გამოსახავს სიმრავ-
ლეს ან განმეორებად მოვლენასა და პროცესს.
მაგ: ა) მრავალი, რიგი, ჯარი, ბევრი, ფარა,
ხროვა, გროვა, რემა, ფართო, გრძელი, წყა-
რო, მდინარე (მტკვარი, იორი, არაგვი, თერგი,
რიონი, ხრამი, ვერე...; ბ). ჩქარი, სრბოლა,
სწრაფვა, ქროლვა, სრიალი, ტრიალი, როკვა
და სხვა.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყუ-
რადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ 1-ის გამო-
ხატველი სიტყვა „ერთი“-ც შეიცავს მრავლის

გამომხატველ ბგერა „რ“-ს. ისმის კითხვა: რა-
შია საქმე? გამოხატვისია თუ კანონზომიერება?

საქმე ის არის, რომ ხშირად „ერთი“ თავის
თავში მოიცავს მრავალს. მაგ: ერთია კოსმიუ-
რი სამყარო, მაგრამ ის თავის თავში შეიცავს
ყველაფერს.

პითაგორასათვის „ერთი“ შეიცავს ყველა-
ფერს, უსასრულობას, მთელ სამყაროს, ამი-
ტომ მან სიტყვა „ერთი“ შეუსაბამა „ღმერთს“.
პითაგორელებისათვის „ერთი“ იყო „ყველაფ-
რისა“ და „ღმერთის“ გამომხატველი ცნება.

პლატონის მიხედვით, „ერთი“ კი არ გა-
მორიცხავს სიმრავლეს, არამედ თვით თავი-
სი არსებობის ფაქტით გულისხმობს მას. მისი
თვალსაზრისით, სამყარო წარმოადგენს გადას-
ვლას „ერთი“-დან მრავალში და მრავლიდან
„ერთ“-ში. ნეოპლატონიზმისთვის „ერთი“ წარ-
მოადგენს „სიკეთეს“, რომელიც ქვეყნის საფე-
ხურებად იშლება და სადღაც თანდათანობით
მოკლების გზით უმცირესი სიკეთე უმდაბლეს
საფეხურს ემთხვევა.

პეტრე იბერისათვის არ იყო „ერთი“ სიმ-
რვალის გარეშე, რომელიც სისტემას წარმოად-
გენდა, და არ არსებობს „სიმრავლის“ საფეხუ-
რები „ერთი“-ს („ღმერთის“) გარეშე.

ამრიგად, პითაგორას, პლატონის, ნეოპლა-
ტონიანებისა და იოანე პეტრიწის თვალსაზრი-
სით, „ერთი“, „ღმერთი“ და „ყველაფერი“ იგი-
ვური ცნებებია.

ამ თვალსაზრისით, ქართულ ენაში მეტად
საინტერესო ფენომენთან გვაქვს საქმე: ჯერ ერ-
თი, ცნება „1“-ის გამომხატველი სიტყვა „ერთი“
თავის თავში შეიცავს ბგერა „რ“-ს, რომელიც,
როგორც ვნახეთ, გვიჩვენებს მრავლობითობას
ქართულ სიტყვიერებაში. სხვანაირად თვით რიცხ-
ვი „ერთი“ შეიცავს „მრავალს“.

ამგვარად, ანტიკური იდეა – „ერთის“ მი-
ერ „მრავლის“ შემცველობის შესახებ – ქარ-
თულ ცნობიერებაში გამოხატულია ქართული
სიტყვიერების (ენის) საშუალებით, სიტყვა „ერ-
თში“ მრავლის გამომხატველი ბგერა „რ“-ს
ჩართვით.

ახლა ყველაზე მთავარი – „ერთი“-სა და
„ღმერთი“-ს იგივეურობა.

აბა, დავაკვირდეთ: ქართულ ენაში უზუნაე-
სი უფლის გამომხატველი სიტყვა „ღმერთი“-

ის წარმოთქმისას ძირითადი აქცენტი მოდის „ერთ“-ზე, რომლის წინ შედარებით ნაკლები სიმძლავრით და გამომსახველობით ძლივს ისმის ბგერათა ერთობა „ღმ“. „უზუნაესი“-ს გამომსახველ სახელწოდება „ღმ-ერთ“-ში, ქართულ ენაში ხაზგასმულად არის მინიშნებული იმაზე, რომ ის არის 1 – „ერთი“ და იმავე დროს ყოვლის მომცველი „ერთი“ ანუ „ყველაფერი“!

სხვანაირად, ერთი ღმერთის, „ერთი“-სა და „ღმერთი“-ს იგიუფრობისა და მათ მიერ „ყოვლის მომცველობის“ იდეა ოდითგანვე ჩადებული იყო ქართულ ცნობიერებაში, რამაც გამოხატულება ჰპოვა ქართული სიტყვების „ერთი“-ს, „მრავალი“-სა და „ღმერთი“-ს სახით.

თუ გავითვალისწინებთ იმ მოსაზრებას, რომ ანტიკური მოაზროვნენი ეყრდნობოდნენ აღმოსავლურ ოკულტისტურ სიბრძნეს – ერთი ღმერთის იდეას, მაშინ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ აღმოსავლურ სიბრძნესთან ქართული სიბრძნისმეტყველება ნაზიარები იყო გაცილებით ადრე ანტიკურთან შედარებით, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ უკან დაუბრუნდა გაცილებით გამდიდრებული სახით.

„საქართველო“-ს შესახებ

უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს სიტყვა „ქარი“, რაც დაკავშირებულია ჰაერის მასების ინტენსიურ მოძრაობასთან, მის ქროლვასთან, ქარი, იმისდამიუხედავად, თუ რა სახის წინააღმდეგობა ხვდება მას, გამოსცემს სხვადასხვა სახის ბგერას, ხან „სისინებს“, ხან „ყმ-ის“. ხოლო თავისუფალ ადგილზე ქარი გამოსცემს ბგერებს: „ქრ, ქრ, ქრ“-ს მსგავსად. ამ შემთხვევაში ქართული გამოთქმა „ქარი ქრის“ ზუსტად გამოხატავს ქარის ქროლვის ფიზიკურ მხარეს ბგერების თვალსაზრისით.

„ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის, ფოთლებიც მიქრიან ქარდაქარ“.

რა კარგად შეესაბამება გალაკტიონის მიერ ამ სიტყვებში ჩაქსოვილი აზრი ბგერათა ჰარმონიას.

„საქართველო“ – დავუკვირდეთ, რას უნდა ნიშნავდეს სიტყვა „სა-ქართ-ველო“=„სა-ქართა-ველო“=„სა-ქართა-ველი“ ანუ ადგილი, სადაც ქრის ქარი.


წარმოვიდგინოთ გეოგრაფიული მდებარეობა შიდა ქართლისა ანუ საქართველოს გეოგრაფიული „გულისა“. ჩრდილოეთიდან დიდი

კავკასიონის ქედი, სამხრეთიდან სამხრეთ კავკასიონის შედარებით დაბალი ქედი, დასავლეთიდან მას საზღვრავს შედარებით მცირე სიმაღლის იმერეთის ქედი, რომელიც შიდა ქართლის ველს გამოყოფს დასავლეთ საქართველოს დაბლობისაგან. ამ დაბლობის სივრცულ გაგრძელებას კი შავი ზღვა, ხმელთაშუა ზღვა და წყნარი ოკეანე წარმოადგენს. ასე რომ, დასავლეთიდან ქარის სახით წამოსული ჰაერის დიდი მასები კანიონში ექცევა და შედარებით დაბალი ზღუდის (იმერეთის ქედის) ადვილად გადალახვის შემდეგ თავისუფლად აღწევს ქართლის ველს. ეს ველი კი აღმოსავლეთიდან შედარებით დაბალი ქართლის ქედითა და მტკვრის ხეობით უშუალოდ ერთვის აღმოსავლეთის უკიდურეს სივრცეს – ქვემო ქართლის ველს, აზერბაიჯანის დაბლობს კასპიის ზღვის გავლით. ამიტომ დასავლეთიდან წამოსული ქარი თავისუფლად ქრის ქართლის ველზე. ანალოგიურად, აღმოსავლეთიდან წამოსული ჰაერის მასებიც თავისუფლად აღწევენ და გადადიან დასავლეთში აღმოსავლეთის ქარების სახით.

ამრიგად, ქართლის ველი წარმოადგენს „ქართა ველს“, სადაც ხან დასავლეთიდან და ხან აღმოსავლეთიდან უბერავს, თითქმის ყოველთვის, ამიტომ „საქართველო“ უნდა ნიშნავდეს „სა-ქართა-ველოს“.

შესაბამისად, „ქართლი“ (შიდა „ქართლი“, ქვემო „ქართლი“) უნდა ნიშნავდეს შემოკლებით გამოთქმულ „ქართა ველს“. ხოლო „ქართველი“-ს ადრინდელი (თავდაპირველი) მნიშვნელობა უნდა გამოხატავდეს „ქართლის ველზე“ („სა-ქართა-ველოში“) მცხოვრებ ადგილობრივ ხალხს (ტომებს).

ცნობილია, რომ საქართველოს უძველესი ისტორიის მკვლევარის აზრით, იბერები და მესხები წარმოადგენენ ნაშთებს იმ ხალხებისა, რომლებიც უძველეს დროში სახლობდნენ საქართველოს სამხრეთ – აღმოსავლეთით, ამჟამინდელი თურქეთის ტერიტორიაზე; ხოლო ლაზები სამხრეთ – დასავლეთ ტერიტორიაზე. ქართველები ლოკალურ ტერიტორიაზე მცხოვრები ადგილობრივი ხალხის სახელწოდებაა, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ტომის სახით უძველეს დროში ახლანდელი შიდა ქართლის ტერიტორიაზე და განავითარეს თავიანთი ადგილობრივი კულტურა. შემდეგ ეს კულტურა



გატანილ (გავრცობილ) იქნა ქართლის აღმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთითა და სამხრეთით. ისტორიკოსთა ეს აზრი შესაბამისობაშია ჩემს მიერ გამოთქმულ აზრთან „ქართველობის“ შესახებ.

„შვიდის“ მაგიურობის შესახებ.

არსებობს მოსაზრება, რომ რიცხვი 7 მაგიური რიცხვია, რაც შედეგია იმისა, რომ 7 წარმოადგენს შემეცნების საშუალებას (ინსტრუმენტს). ადამიანმა შემეცნების ორგანიების საშუალებით შეიმუშავა საგნებისა და მოვლენების თვისებების ფარდობითი შეფასების შეიღობითი სისტემა, რაც აუცილებელი და საკმარისია მისი არსებობისა და გადარჩენისათვის.

ისე, როგორც სამყარო ხასიათდება მსოფლიო უგანზომილებო მუდმივობით, ადამიანის ორგანიზმი და ფსიქიკაც ხასიათდება გარკვეული მუდმივობით, რომელთაგან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესს შვიდი უნდა წარმოადგენდეს, ადამიანის ორგანიზმი და ფსიქიკა მოწყობილია 7-ის ბაზაზე... ალბათ შემოქმედმა (კოსმიურმა გონმა), თუ მის არსებობას ჭეშმარიტებად მივიჩნევთ, იცოდა 7-ის ძალა და მნიშვნელობა, რადგანაც ყოველივე არსებული მისით შეიმეცნება. ამიტომ რიცხვი „შვიდის“ მაგიურობის საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ ის წარმოადგენს ფუნდამენტურ მუდმივს, რომელიც ახასიათებს ადამიანის ანატომიას, ფიზიოლოგიას და ფსიქიკას.

მაგალითად:

1. ადამიანს სამყაროს შემეცნებისათვის აქვს 7 ძირითადი ორგანო, რომელთაგან 5 სენსორულია (თვალი, ყური, ცხვირი, ენა, სასა, კანი) და 2 ინტუიციური (გული – „გულის ყური“ და თავის ტვინი – „გონის თვალი“).

2. ადამიანის ორგანიზმის ბიოველის ძირითადი ენერგეტიკული ცენტრების (ჩაკრების) რაოდენობა 7-ის ტოლია (1 არეგულირებს საჭმლის მომწელებელ ორგანოებს, 2 – სასქესო ორგანოებს და ქვემო კიდურებს, 3 – კუჭისა და ნაწლავების მოქმედებას, 4 – გულისა და ფილტვების მოქმედებას, 5 – ტვინში სისხლის მიმოქცევას, 6 – ადამიანის ორიენტაციას სივრცეში, 7 – თავის ტვინის ფუნქციონირებას).

3. ცოცხალ ორგანიზმებს გააჩნია ცნობიერების 7 დონე: ფიზიოლოგიური მართვა (მცენა-

რეული), კონკრეტული (ცხოველური), ჯგუფური – ოჯახური (ჭიანჭველებისა და ფუტკრების), ინდივიდუალური – აბსტრაქტული (ცალკეული ადამიანი), საზოგადოებრივ – კოლექტიური (ეთნოსი, ერი), კაცობრიული, კოსმიური.

4. ორგანიზმის სტრუქტურულობის დონეები: 1 ორგანული ნივთიერებანი, 2. ამინომჟავები და ნუკლეიდები, 3. დნმ, რნმ, 4. უჯრედები, 5 ქსოვილები, 6. ორგანოები, 7. ორგანიზმი.

„მშვიდისა“ და „შვიდის“ ურთიერთმიმართების შესახებ

ქართული სიტყვა „შვიდი“ გამოხატავს რიცხვს 7-ს, რომელიც მაგიურადაა მიჩნეული. ამის თქმის საფუძველს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სიცოცხლისა და ადამიანის ფიზიოლოგია და ფსიქოლოგია აწყობილია 7 თარგზე.

ქართული სიტყვა „მშვიდი“ – „მ-შვიდი“ დაკავშირებულია ადამიანის გარკვეულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან. „მშვიდი“ ნიშნავს დამშვიდებულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს და არა მის გაღიზიანებულ ან აღგზნებულ მდგომარეობას.


მშვიდ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი ნორმალურად და ადექვატურად აღიქვამს გარემოსა და მასში მიმდინარე პროცესებს. ამ მდგომარეობაში მას, სენსორული და ინტუიციური ორგანოების საშუალებით, შეუძლია ესა თუ ის რაობა (ზომა, ტემპერატურა, სიმძიმე, გემო, სუნი. სიკარგე, სიმშვენიერე) შეაფასოს 7-ბალიანი სისტემით, რაც სრულიად საკმარისია ადამიანის გადარჩენისა და ნორმალური არსებობისათვის.



გარდა ამისა, იხმარება 7 ფერი, 7 ტონი, „შვიდეკაცა“ და სხვა.

ამრიგად, ქართულ ენაში „შვიდი“, „მშვიდობითობა“ (7-ის მაგიურობა) და შვიდობითად აღქმის შესაძლებლობა ერთმანეთთან დაკავშირებულია სიტყვა „მ-შვიდი“-ით.

ლიტერატურა:

განმარტებაი პროკლესთვის დიადოხოსისა და პლატონისასა ფილოსოფიისათვის“. თბ., 1937. იოანე პეტრიწის შრომები; ტომი მეორე; ნუცუბიძისა ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. იოანე პეტრიწი. სათნობათა კიბე. – თბ., 1968.





გულნარა სტურუა


ინტელექტუალური პროდუქცია – უპირველეს ყოვლისა!

ქართველებს სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ წიგნიერი ერი ვართ, რასაც ჩვენი ღვაწლმოსილი წინაპრების დიდი ცოდნა, შრომა და რუდუნება ელო საფუძვლად. მტერი ხშირად თავზე გვანგრევდა ჩვენს ნაშრომს და ნაამაგარს, მაგრამ კვლავ ვაშენებდით, ვქმნიდით და მტრების ხელყოფისაგან ვიცავდით. ისეც ხდებოდა, რომ მიუვალ მთებში გადავხიზნავდით და ვინახავდით ჩვენი სულიერების საუკეთესო წერილობით ძეგლებს, კულტურისა და ხელოვნების სხვა მნიშვნელოვან ნიმუშებს.

გასულ საუკუნეში საშუალება მოგვეცა გადაგვეხედა, მოგვეძია, თავი მოგვეყარა ჩვენი უნიკალური შედეგებისათვის. შეძლებისდაგვარად დაგვეუნჯებინა ისინი ჩვენს ბიბლიოთეკებში თუ სამეცნიერო ტაძრებში, რათა საზოგადოების ფართო ფენებს საშუალება მისცემოდათ მათი გაცნობისა. ჩვენს სამეცნიერო დაწესებულებებში და ბიბლიოთეკებში იხსნებოდა ქართველოლოგიის, კავკასიოლოგიის დარბაზები და კაბინეტები. გარდა ამისა, ხალხის წიგნიერების გასავითარებლად და ხელშესაწყობად ყურადღება ექცეოდა მასობრივ ბიბლიოთეკებს. თითოეული ბიბლიოთეკა კომპლექტდებოდა კლასიკოსთა და თანამედროვე მწერალთა ახალ-ახალი გამოცემებით, სამეცნიერო შრომებით და სხვა მნიშვნელოვანი საბიბლიოთეკო დოკუმენტებით. ყოველივე ამას, უნდოდა თუ არა ეს ქვეყნის კომუნისტურ მმართველობას, ძალაუნებურად მოჰქონდა საზოგადოების გააქტიურება, წიგნიერება, ინფორმაციულობა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეროვნული და მოქალაქეობრივი გრძნობების გაღვივება. ვიმედოვნებდით, რომ თავისუფლების გზაზე შემდგარი ქვეყნისათვის კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენდა აღნიშნული დაწესებულებები. აყვავდებოდა, ეკონომიურად

გაძლიერდებოდა ქვეყანა და ბიბლიოთეკებიც შესაბამისად უფრო მრავალფეროვანი, საინტერესო ღონისძიებებითა და ინფორმაციებით უზრუნველყოფდნენ საზოგადოების გაზრდილ და ამაღლებულ მოთხოვნილებებს. სამწუხაროდ და სავალალოდ, ჩვენ სულ სხვა რამ მივიღეთ. 21 საუკუნე ხალხის იმედების გაცრუებით შემოვიდა, მაგრამ, სანამ ამ თემაზე განვაგრძობდე ჩემს მოსაზრებას, ერთი ეპიზოდი მინდა გავიხსენო. 60-იან წლებში სამტრედიის რაიონის კულტურის განყოფილების ხელმძღვანელობამ სრულიად ახალგაზრდას დამავალა ერთ პატარა სოფელში ბიბლიოთეკის გახსნა. მიუხედავად იმისა, რომ სოფელს სამ კილომეტრში უფრო დიდი სოფლის საკმაოდ მოზრდილი და კარგი წიგნადი ფონდით დაკომპლექტებული ბიბლიოთეკა ახლდა, გახსნის დღიდან ბიბლიოთეკას კმაყოფილი და გახარებული მკითხველი არ მოკლებია. ხალხს აინტერესებდა ინფორმაცია, ჟურნალ-გაზეთები, წიგნები, საუბრები... მოსწავლე-ახალგაზრდობას – კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა, და ყოველივე ამისათვის შორს წასვლა და დროის დაკარგვა რომ არ სჭირდებოდათ, კმაყოფილი იყვნენ. ამ მაგალითით ის მინდა ვთქვა, რომ ბიბლიოთეკა საზოგადოების სულიერი საზრდოს მოპოვების ადგილია და ხალხისთვის იგი არასოდეს ზედმეტი არ იქნება.

შარშან ამ დროს, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია, სხვა საგანმანათლებლო უწყებებთან ერთად, აქტიურად იყო ჩართული ბიბლიოთეკების კვირეულის მოსამზადებელ სამუშაოებში. კვირეულები დიდი მონდომებითა და რუდუნებით ტარდებოდა ყოველი წლის აპრილის თვეში. შარშან, წლის მეორე ნახევრიდან, საბიბლიოთეკო საქმიანობისა და ბიბლიოთეკების გაძლიერებაზე ზრუნვის ნაცვლად



მთავრობა ინტენსიურად შეუდგა საბიბლიოთეკო საქმიანობის მაქსიმალურად შეზღუდვას, რაც თავისთავად ბიბლიოთეკების რაოდენობის შემცირებითა და ბიბლიოთეკარების სამსახურიდან მასობრივი დათხოვნით გამოიხატა. აღნიშნული პროცესები, რომლებსაც რეფორმის სახით ყველა დარგში ახორციელებს ხელისუფლება, უკვე არავის არ აკვირვებს, თუმცა, უნდა ითქვას, რომ საზოგადოება უნდა დაფიქრდეს უმუშევრად დარჩენილთა ბედზე და იმ ხელმძღვანელი მუშაკების აზროვნებაზეც, რომლებიც თურმე ხალხს, ამ შემთხვევაში ბიბლიოთეკარებს, სამსახურიდან იმიტომ ითხოვენ, რომ 20, 29 ლარიანი ხელფასით მომუშავენი, ფაქტობრივად, ისედაც ხომ უმუშევრები არიანო. ასეთი აზრი პირადად მოვისმინე სულ ახლახან ერთ-ერთ რადიო გადაცემაში, როდესაც მარნეულის ხელმძღვანელობა თავს იქებდა თუ იმართლებდა ასეთი რეფორმების განხორციელებით. რეფორმა აუცილებელია, მაგრამ ასეთი კი არა „ნაბანს რომ ბავშვებსაც მივაყოლებთ“. საგონებელში გვაგდებს რეფორმის ფორმაც, შინაარსიც და მიზანიც. ვისთვის ტარდება ასეთი რეფორმა, ბიუჯეტისათვის? – კი ბატონო, მაგრამ ბიუჯეტი ვისთვის?

ყურადსაღებია ისიც, რომ საქართველოში სხვა მნიშვნელოვან დაწესებულებებთან ერთად, ამცირებენ სკოლებსაც. 3200 სკოლიდან დღეისათვის თითქმის 2200 სკოლა დარჩა. ამის შემდეგ სრულებითაც არ არის გასაკვირი ანალოგიური პროცესის განვითარება ბიბლიოთეკებზე... და მაინც მიკვირს (ეს შენი პრობლემააო, – დარწმუნებული ვარ ასე მომადახებს ზოგიერთი პარლამენტარი...) პროგრესულმა ქვეყნებმა 21-ე საუკუნეს ინფორმაციული საუკუნე უწოდეს. ჩვენ, ქართველებს, ჩვენი ხალხის ნიჭიერების იმედით, გვსურს მივდიოთ საუკუნეს და ფეხი ავუწყოთ განვითარებულ ერებს. აუცილებელია ინფორმაციული საზოგადოების შენება, საზოგადოებისა, რომლის მეშვეობითაც იწარმოება ინტელექტუალური პროდუქცია. ინტელექტუალური პროდუქცია განათლებული, წიგნიერი, მცოდნე ადამიანის გონებიდან მოდის. გონების გამდიდრების, ინფორმაციისა და ცოდნის გავრცელების ერთ-ერთი და ყველაზე ორგანიზებული სტრუქტურა ბიბლიოთეკაა.

თანამედროვე ტექნიკურ ბაზაზე აღორძინებული ბიბლიოთეკები განათლების, მეცნიერების, კულტურის სისხლსავსე სისტემად უნდა დავაქვიდროთ. სწორედ ასეთი სისტემა უზრუნველყოფს მოსახლეობის უდიდეს ფენას ინტელექტუალური და კულტურული სიმდიდრით. უინფორმაციო საზოგადოება მკვდარია. დღეს არ არსებობს განვითარებული სახელმწიფო, სადაც დღითი დღე არ ფართოვდებოდეს ინფორმაციული მომსახურების ბაზარი. შესაბამისად, ინფორმაციაც ხელმისაწვდომი ხდება. სად გროვდება ეს ინფორმაცია და სად კეთდება მისი მიწოდების ორგანიზება? უპირველეს ყოვლისა, ბიბლიოთეკებში. მაგრამ, როგორც მდგომარეობიდან ჩანს, დღეს ბევრს და მათ შორის ყველაზე მეტად იმათ, ვისაც კარგად უნდა ესმოდეს ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბების აუცილებლობა და ეძიებდეს მისი განვითარების ხელშემწყობ საშუალებებს, სხვაგვარად წარმოუდგენიათ...

ქვეყნად პოლიტიკური და სოციალური ყოფის ბალანსირებამ, გლობალიზაციის თითქმის თვითმავალმა უსწრაფესმა მანქანამ დღევანდელი დღე რადიკალურად შეცვალა. თუ ჩვენთან უწინ თითქმის თითოეული ოჯახი იწერდა გაზეთებსა და ჟურნალებს, დღეს პოლიგრაფიული და საფოსტო მომსახურების გაძვირებამ უარი ათქმევინა ჩვენს მოქალაქეებს ბეჭდურ გამოცემებზე. საერთოდ. რა დასამალია და მოსახლეობის დიდი ნაწილი არც კითხულობს ჟურნალ-გაზეთებს, ნაწილი კი შედარებით ხელმისაწვდომ საინფორმაციო წყაროებს – რადიოსა და ტელევიზიას მიმართავს. ახალგაზრდობა კომპიუტერებისა და ინტერნეტის მომხმარებელი გახდა. წიგნმა თითქოს დაკარგა ის ინტერესი, რამაც ბეჭდური ხელოვნების ეს უნიკალური ნიმუში ჩვენამდე ასე დახვეწილი ფორმით მოიტანა. თუ ასეთი პროცესები გაგრძელდა, საზოგადოება თვითგააზრებისა და დინამიური განვითარებისათვის უუნარო აღმოჩნდება. ასეთი საშიშროება მხოლოდ საქართველოს კი არა, მთელ მსოფლიოს ემუქრება. იმიტომ არის გააქტიურებული საბიბლიოთეკო ასოციაციებისა და დაწესებულებების საერთაშორისო ორგანიზაცია IFLA და თავისთავზე იღებს ვალდებულებას, დაიცვას ადამიანის დი-

რითადი უფლება ცოდნაზე, სწავლასა და ურთიერთობაზე. მაგრამ IFLA-ს მიერ მოცემული დეკრეტები და მანიფესტები, როგორც ჩანს, ან ვერ აღწევს ჩვენამდე, ანდა იგი უძლურია წინ აღუდგეს საქართველოს კულტურისა და განათლების მმართველ ძალებს, სადაც ზოგიერთის აზრით და შეხედულებით, წიგნი უკვე კარგავს თავის როლს და გზას უთმობს ისეთ ინფორმაციულ ტექნიკას, როგორც კომპიუტერია. მართლაც-და, ასე მოაზროვნეთა სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ბიბლიოთეკა უკვე მხოლოდ წიგნებით სავსე გრძელი თაროები როდია, ის არის აგრეთვე ელექტრონული რესურსების მფლობელიც. მაგრამ ყველა შემთხვევაში ელექტროტექნიკიდან მიღებული ინფორმაცია ვერ აამაღლებს ადამიანის კულტურის დონეს, ვერ გაამდიდრებს და განავითარებს მის ინტელექტს ისე, როგორც ეს წიგნს შეუძლია. ამიტომაც არის, რომ კარგად ინფორმირებულია ადამიანი მაშინ, როცა იგი წიგნიერია... წიგნის კითხვის კულტურა ცოდნის და ზოგადად კულტურის ამაღლების საფუძველია. წიგნი უამრავ ინფორმაციასთან ერთად, ადამიანის გონებას აწვდის საკვებს, მუხტავს ფანტაზიით, ატარებს თავის სამყაროში, ხვეწს და აფაქიზებს ადამიანის გრძნობებს, უვითარებს მეხსიერებას და გონებას. საჭიროა ელექტრორესურსების ფუნქციონირება საბიბლიოთეკო საქმიანობაში და არა წიგნის თაროების გამიჯვნა კომპიუტერული მომსახურებისაგან. კომპიუტერიზაცია არ ნიშნავს წიგნის როლისა და მნიშვნელობის უგულებელყოფას, თანდათან და მიზანდასახულად წიგნის გამოთიშვას საბიბლიოთეკო ფონდებიდან და მხოლოდ ცივ ტექნიკაზე გადასვლას. არა და, საქმე აქეთკენ მიდის, რადგანაც 21-ე საუკუნის ცივილიზებული საზოგადოება აშკარად მიდრეკილია ამისაკენ.

როგორც წიგნის, ისე ელექტრონული სერვისების მომხმარებლებმა ერთნაირად იციან, რომ ცოდნა საგანძურია, ცოდნას კი მხოლოდ ადამიანის ინტელექტი ქმნის, რომლის განვითარების საფუძველი დღემდე იმ საგანთა ღრმა ურთიერთობა იყო, რომელსაც წიგნი ეწოდა.

ჩვენმა პატარა ქვეყანამ რამდენჯერ დაამტკიცა, რომ იგი დიდი სიმდიდრის მფლობელია, ეს სიმდიდრე თავად ხალხის ინტელექ-

ტუალური პოტენციალია, რომელიც ათეული წლების მანძილზე დიდი რუდუნებით შეიქმნა საქართველოში.

ქართველ ხალხს დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ამ ცოდნით სარგებლობის საშუალება უნდა მისცემოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი, რომ რეფორმას, რომელსაც ამჟამად ატარებენ, აქეთკენ მივყავართ. ბიბლიოთეკები სწორედ ის ადგილებია, სადაც ქვეყნის ყველაზე მთავარი საწარმოო რესურსის კვლავწარმოება ხდება, ანუ კვლავწარმოება იმ ადამიანებისა, რომლებსაც შეუძლიათ ცოდნით ოპერირება და რომლებიც ინფორმაციული საზოგადოების განვითარებისათვის ყველაზე უფრო საკვანძო სიახლეების ფორმირებას ახდენენ.

ამის შესახებ დიდი ხანია ვწერთ, მაგრამ ეს საკმარისი როდია. უპირველეს ყოვლისა, ეს თავად სახელმწიფომ უნდა იცოდეს, რადგანაც იმისათვის, რომ მოინახოს ბალანსი ცოდნის შექმნასა და უკუგებას შორის, საჭიროა სახელმწიფო საბიბლიოთეკო პოლიტიკა. უნდა მოხდეს ბიბლიოთეკის ფინანსური ბაზის ფორმირება. ხარჯების ძირითადი მასა სახელმწიფომ უნდა გაიღოს, რომელსაც კარგად უნდა ესმოდეს ბიბლიოთეკების როლი ინფორმაციული რესურსების წარმოებასა და ინფორმაციული საზოგადოების განვითარებაში. დახვეწილ ინტელექტუალთა კადრი გაცილებით მნიშვნელოვანი სიმდიდრეა სახელმწიფოსათვის, ვიდრე ნებისმიერი ბუნებრივი წიაღისეული, რომელიც ცოდნისა და განვითარებული, უახლესი ტექნოლოგიების გარეშე ვერ იქცევა მატერიალურ წყაროდ და ვერ განდება საზოგადოების წინსვლისა და განვითარების საფუძველი.

ჩვენ ვერ შევედრებით ამერიკას, მაგრამ წარმოდგენისათვის მაინც მინდა მოვიყვანო საინფორმაციო წყაროებიდან მოპოვებული ერთი მაგალითი: სტრედფორდის უნივერსიტეტში 15 ათასი სტუდენტი სწავლობს, მისი ბიუჯეტი 2 400 მილიონი დოლარია წელიწადში. ხოლო ბიბლიოთეკისა – 880 ათასი დოლარი. იქ წარმოებული გამოკვლევების ფინანსირებას თავად სახელმწიფო ეწევა.


განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები უზარმაზარ ფულს ხარჯავენ ცოდნასა და ტექნოლოგიებში, რადგანაც იციან, რომ სწორედ

ეს კატეგორიები გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად ფინანსური რესურსები.

სამწუხაროდ, ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტის გაზრდას ბიბლიოთეკების, სკოლებისა და სხვა მნიშვნელოვანი დაწესებულებების შემცირებით ცდილობს და ამ გზით ფიქრობს გაუმკლავდეს ქვეყანაში არსებულ ფინანსურ პრობლემებს, მაშინ, როცა პირიქით უნდა იყოს. მსოფლიოს ისტორიამ იცის უამრავი მაგალითი, თუ რა როლს ანიჭებდნენ წიგნს, წიგნიერებას, განათლებას და მეცნიერებას ესა თუ ის ხელისუფალნი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე. ბიბლიოთეკების გახსნისათვის, მათი კეთილმოწყობისათვის, მოსახლეობაში მათი რო-

ლის გაზრდისათვის გამოსცემდნენ დეკრეტებს, კანონებს. თუ სახელმწიფოში პრიორიტეტად არ არის კულტურა და განათლება, იმ ქვეყანას ეკონომიური აღორძინება არ უწერია. რეფორმას ანუ საქმის ახლებულად, ცივილიზებულად დალაგებას საზოგადოების განვითარება, განათლება, მინიმალური ეკონომიური უზრუნველყოფა მაინც უნდა მოჰყვეს და არა – პირიქით. დღეს საქართველოში მიმდინარე რეფორმას უამრავი ბიბლიოთეკის დახურვა და შესაბამისად სამუშაო ადგილების შემცირება მოჰყვა. რეფორმამ უმუშევრად და უსახსროდ დატოვა საზოგადოების დიდი ნაწილი.

ღირსეული წინაპრები



გიორგი სარაჯიშვილი

პირველი მონობრაფია ნიკალაზე და რას წერდნენ გაზეთები ფიროსმანზე

(ექვზება ნიკო ფიროსმანიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავს)

„ეს არის ნამდვილი სენსაცია და აღმოჩენა მხატვრობაში, გასაოცარი ოსტატი, რომელსაც ვერავის ვერ შეადარებ: რუსო*, რომელსაც აქებს მთელი ქვეყანა, როგორც პრიმიტივისტს, უფერულია და არადაძაჯერებელი ნიკო ფიროსმანის შემდეგ“ (გეორგ იაკულოვი, მხატვარი).

„ჩვენ კიდევ გვჯერა მხატვრობის ხელოვნების, ჩვენ წინ სასწაულია. პარიზმა უნდა ნახოს ეს გენია; ის მხოლოდ ძლიერებაა!“ (ვლადიმერ მაიაკოვსკი).

„ნიკო ფიროსმანი ძალიან ნათელია და ძალიან კარგი, ბედნიე-



ახალგაზრდა ფიროსმანი გადარებულია 1880-82 წწ.

რია საქართველო!“ (ნ. ლაპშინი, პეტერბურგი).


1923 წლის 29 ივლისს სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის კვირეული ორგანო „რუბიკონი“ პირველ გვერდზე სტატიამში სათაურით – „ნიკო ფიროსმანი მოსკოვში“, წერდა: თბილისში დაბრუნდა მხატვარი კირილ ზდანევიჩი, რომელიც საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატმა გაგზავნა მოსკოვსა და პეტროგრადში ნიკო ფიროსმანის მონოგრაფიისათვის დაემზადებინა კლიშეები და ფერადი სურათები. სამუშაო

*პარიზში აღმოჩნდა თავისებური თვითნასწავლი მხატვარი ანრი რუსო (1844-1910), რომლის „შემოქმედებითაც დაიწყო პრივტივიზმის მხატვრული ღირებულების აღიარება და ამ მიმართულების გამოშასხველობითი საშუალებების გამოყენება XX ს. ხელოვნების უახლეს მიმდინარეობათა მიერ“ (ქსე. ტ 8 - 1984 - გვ. 513).



შესრულდა ორი თვის განმავლობაში საუკეთესო ტიპო-ცინკოგრაფიაში მოსკოვის პოლიგრაფიის განყოფილებაში და პეტროგრადში. დაბეჭდილი სურათები ძალიან მიაგავს ორიგინალებს, სამუშაოები შეძლებისდაგვარად კარგადაა შესრულებული.

ზღანევიჩმა თან წაიღო, თავისი კოლექციიდან ნიკო ფიროსმანის 10 სურათი და გამოაფინა მოსკოვის ქართული კოლონიის „კულტურის სახლის“ დარბაზებში (სრეტენკა №11). ვინც ნახა ეს გამოფენა, აღნიშნავდა, რომ საჭირო იყო მოწყობილიყო სრული გამოფენა ამ დიდი და ორიგინალური ქართველი სახალხო მხატვრისა. მოსკოვის ჟურნალებმა: „რუსკოე ისკუსტვომ“, „კრასნაია ნივამ“, „ოგონიოკმა“ და „ლეფმა“ მონიდომეს ამ სურათების გადაღება, ხოლო „Русское Искусство“-ს გამომცემელმა აბრამოვმა ითხოვა ნება დაებეჭდა 10-15 სურათი სპეციალური წერილით, თავის ჟურნალის მორიგ



ნ. ფიროსმანი გადაღებულია 1916 წ.

ნომერში, მაგრამ საქართველოს აკადემიურმა წარმომადგენლობამ რუსეთს ამხ. ჯგუშიას პირობით, დროებით, სანამ მონოგრაფია გამოსული არ იყო, უარი შეუთვალა.

ტრეტიაკოვის გალერეის საბჭო,

სახვითი ხელოვნების მუზეუმები მოსკოვში და პეტერბურგში მონდომებული იყვნენ ნიკო ფიროსმანის სურათები შეეძინათ.

1920 წელს, ტიციან ტაბიძემ „ენერგიულად მოჰკიდა ხელი ფიროსმანიშვილის ხელოვნების მოყვარულთ ოცნების განხორციელებას – მხატვრის შესახებ ილუსტრირებული მონოგრაფიის გამოცემას. იმ დროს ეს ადვილი საქმე როდი იყო. დაიწყო საჯახირო, სამუშაო მასალების შესაგროვებლად, სტატიების მოსამზადებლად, ილუსტრაციების

ამოსარჩევად, კატალოგების შესადგენად, სურათებიდან ფოტოგრაფირება, ქალაქის ძებნა, უკეთესი კლიშეების დამზადება და სხვა“ (კირილ ზღანევიჩი).

პოეტი კოლაუ ჩერნიავსკი იგონებდა: „ჩვენ ვმუშაობთ ფიროსმანიშვილის მონოგრაფიაზე. ტიციან ტაბიძემ მიაღწია იმას, რომ ასეთი საჭირო წიგნის გამოცემა უზრუნველყო. ეს კი ჩვენთვის, ყველასათვის დიდი სიხარული იყო“.

ფიროსმანის მონოგრაფიის სურათების რეპროდუქციებით გამოცემას სახელმწიფო გამომცემლობა შეუდგა 1923 წელს, მაგრამ „სახელგამმა“ წიგნი – „ნიკო ფიროსმანიშვილი“ გამოუშვა 1926 წელს, ხუთი ფერადი (სამფერად) და ორმოცდარვა შავ-თეთრი რეპროდუქციით. წიგნში მოთავსებულია: ნიკალას ახალგაზრდობის ფოტოსურათი (1880-82); სახალხო მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის 1916 წელს ფანქარში შესრულებული ნახატი და 1916 წელს გადაღებული ფიროსმანის პორტრეტები.

სამი წელიწადი მოუნდა ნიკალას ნახატების კატალოგის შექმნას, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ყველა მისი ნამუშევრის აღმოჩენა და აღრიცხვა. მასალები უმთავრესად თბილისში გროვდებოდა, მაგრამ ამ მიზნით სახელგამმა გაგზავნა თავისი წარმომადგენლები რაიონებშიც, სადაც კი აღმოჩნდა სურათები. კატალოგი გაეწყო ქრონოლოგიურ რიგზე, გარდა რამდენიმე შემთხვევისა, როცა ერთი-მეორეზე გადაბმული ორმაგი სხვადასხვა თარიღის რეპროდუქციის დაცალკეება ტექნიკურად უხერხული შეიქნა, წარწერილი თარიღების მიხედვით და იმ სურათების შესწავლით, რომელთაც აკლდათ ავტორის მიერ დათარიღება.

მთელი მოღვაწეობის მანძილზე ნიკალას შემოქმედების დამახასიათებელი ნამუშევრებიდან შერჩეულ იქნა 53 ნახატი-ტილო. ხუთი ფერადი რეპროდუქციისათვის გაგზავნილ იქნა ორიგინალები, ხოლო დანარჩენი სურათების ფოტოასლები, რომლებიც შეასრულა თბილისის უნივერსიტეტის ფოტოგრაფმა კიუნემ. მცირე ნაწილი რეპროდუქციებისა დამზადდა მოსკოვში, დანარჩენი კი ლენინგრადში, ივან ფედოროვის სახ. სახელმწიფო ცინკოგრაფიაში (ყოფილი ფირმა „ვოლიკე და ვილბორგი“).

ქართული ენის არმცოდნეს რომ შესძლე-



ნ. ფიროსმანი
იაკობ ნიკოლაძე 1916 წ.
ნახშირი

ენაზე, იმ მოსაზრებით, რომ „სამშაგ წარწერას ზედმეტი ტექსტით არ დაეჭვირთა სურათები და არ დაერღვია რეპროდუქციების მხატვრული შთაბეჭდილება.“

ყოველ რეპროდუქციას ქართული წარწერის წინ უზის კატალოგის ნომერი, რომლითაც მკითხველი მოძებნის საჭირო სურათის სრულ სახელწოდებას და აღწერილობას.

კატალოგში ავტორის წარწერები მოთავსებულია ბრჭყალებში და ყველგან დაცულია ავტორისეული მართლწერა. ვარსკვლავებით აღნიშნულია ის სურათები, რომელთა რეპროდუქციები მოთავსდა გამოცემაში.

მონოგრაფიის ერთ-ერთი შემდგენელი კირილ ზდანევიჩი წერდა: „ყველა სიძ-

ბოდა გასცნობოდა ნიკალას ბიოგრაფიას და მის შემოქმედებას, წიგნი შეადგინეს ისე, რომ ზოგიერთი წერილის ტექსტი რუსულ და ფრანგულ ენებზე დაიბეჭდა, ხოლო კატალოგი – ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე. რეპროდუქციების წარწერები კი მხოლოდ ქართულ

ნელე უკან მოვიტოვეთ და 1926 წელს ტიციან ტაბიძემ და მისმა მეგობრებმა, მთელი ძალების დაძაბვით, შეძლეს გამოეცათ ნიკო ფიროსმანიშვილზე 200-გვერდიანი მონოგრაფია... მცირე ტირაჟი – ათასი ცალი არ იყო საკმარისი. წიგნი რამდენიმე დღეში გაიყიდა და ახლა მას ბუკინისტებთანაც კი ვერ იშოვით“.

ყდის მხატვრობა ეკუთვნის ე. ბელუხას, ხოლო სასათაურო ასოები და ბოლოსამკაული, ფიროსმანიშვილის სურათების მიხედვით – კირილ ზდანევიჩს.

ნიკალას გვარი, რომელიც ბიოგრაფიის სათაურშია და რაც ტექსტებშიც მეორდება – „ფიროსმანიშვილი“ – ქართულ ენციკლოპედიაში შეცვლილია – „ფიროსმანიშვილით“. „ი“ ბგერის „ა“ ბგერით შეცვლა გაუძარბოლებლად მიგვაჩნია.

მონოგრაფიის შინაარსია: 1. რედაქციისაგან (ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე); 2. ნიკო ფიროსმანი (ქართულად), ტიციან ტაბიძის წერილი; 3. ნიკო ფიროსმანი (ქართულად) გრიგოლ რობაქიძისა; 4. ქართული მხატვრობა და ფიროსმანიშვილი (ქართულად) გერონტი ქიქოძისა; 5. ნიკო ფიროსმანი (რუსულად) გრიგოლ რობაქიძისა; 6. ნიკო ფიროსმანიშვილი (რუსულად) კირილ ზდანევიჩისა; 7. ნიკო ფიროსმანი (ფრანგულად) გრიგოლ რობაქიძისა; 8. ნიკო ფიროსმანიშვილი (ფრანგულად) კოლაუ ჩერნიავსკისა; 9. ნიკო ფიროსმანიშვილის სურათების კატალოგი (ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე).


ფიროსმანიშვილის სურათების კატალოგში შემდეგი ნამუშევრები შედის: 1895-1903 წლებში შესრულებული 20, 1904 წლის – 15, 1905 წლის – 18, 1906 წლის – 29, 1907 წლის



ნ. ფიროსმანი
შალვა ქიქოძე 1916 წ.
ნახშირი



ნ. ფიროსმანი
ალექსანდრე მრეკლიშვილი 1916
წ. ნახშირი



სარდაფი, სადაც 1917 წელს ცხოვრობდა ფიროსმანი. ლადო გუდიაშვილი

– 14, 1908 წლის – 16, 1909 წლის – 13, 1910-12 წლების – 20, 1913 წლის – 14, 1914 წლის – 15, 1915 წლის – 20, 1916 წლის – 27, 1917 წლის – 4, 1918 წლის – 3. სულ კატალოგი შეიცავს 229 ნამუშევარს.

კატალოგში შესულ ნიკალას ნახატებს მიწინააღმდეგეული აქვს პირად საკუთრებაში მყოფის გვარები და სახელები; აღნიშნულია, სად იქნა ნანახი ესა თუ ის სურათი ადგილმდებარეობის მიხედვით და მიწერილია ქუჩის დასახელება ნომრით, თუ ვისი სარდაფია; ზოგიერთს მიწერილი აქვს „სახელმწიფოს საკუთრება“.


ქართული ენციკლოპედიის მიხედვით, ნიკო (ნიკოლოზ) ფიროსმანაშვილის ბიოგრაფიაში (ვ. ბერიძე. ტ. 10. გვ. 331. თბ. 1986.) წერია: „ფიროსმანის, როგორც მხატვრის, აღმოჩენაში, მისი სურათების შეგროვებასა და შემოქმედების პროპაგანდაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით ძმებ ზდანევიჩებს – მხატვარ კირილს და პოეტ ილიას, მხატვრებს (ფრანგ გ.ს.) მ. ლე დანტიუს, დიმიტრი შევარდნაძეს, ლადო გუდიაშვილს, დავით კაკაბაძეს და სხვ. უფრო გვიან – გიორგი ლეონიძეს, რომელმაც მნიშვნელოვანი ცნობები მოაგროვა ნიკალას ბიოგრაფიისათვის“-ო. „გიორგი ლეონიძე იმთავითვე ფიროსმანიშვილის შემოქმედების მგზნებარე პატრიოტი და ქომაგი გახდა. სწორედ მან წამოიწყო ნიკო ფიროსმანიშვილის თანამედროვეთა მოგონებების შეგროვება“.

1922 წლის 28 აგვისტოს №8-ში გაზეთი „ბახტრიონი“ კი, წერდა: „ნიკო ფიროსმანზე პირველი წერილი დაბეჭდა გაზ. „კაკაპაში“ გრიგოლ რობაქიძემ. ამ წერილს შემდეგში მიე-

მატა წერილები: კირილ ზდანევიჩის და ლადო გუდიაშვილისა. პარიზში ლე დანტიუმ დაწერა მასზე შენიშვნა. ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომრამდე, ამით იწურება ლიტერატურა ფიროსმანზე“.

წარმოშობით პოლონელ ფერმწერსა და ხელოვნების მკვლევარს კირილ მ. ზდანევიჩს (1892-1962) დიდი დამსახურება მიუძღვის ნ. ფიროსმანის წინაშე, კერძოდ, ნიკალას ნამუშევრების შეგროვებაში. ზდანევიჩმა ნიკალას ტილოები, ნახატები უსასყიდლოდ გადასცა საქ. ხელოვნების მუზეუმს, დაწერა და გამოაქვეყნა მონოგრაფია ფიროსმანზე, ქართულ და რუსულ ენებზე. „პირველი ქართველი ანიმალისტი“ ძმები ზდანევიჩების წინაშე ვალში არ იყო, ნიკალას 1913 წელს შეუქმნია პორტრეტი ტილოზე ზომით 150X120-ზე, პოეტ ილია ზდანევიჩისა, რომელიც დაკარგულად ითვლება.

გაზ. „სახალხო ფურცელმა“ „1913 წელს ქართულ პერიოდულ პრესაში პირველად გამოაქვეყნა სტატია ქართველ სახალხო მხატვარ ფიროსმანიშვილზე. მასში ლაპარაკი იყო



ლადო გუდიაშვილის ჩანახატი. ნახშირი

მხატვრის ცხოვრებაზე და მძიმე ზვედრზე, აქვე ნახსენები იყო ზოგიერთი სურათი და გაისმა მოწოდება, იმის შესახებ, რომ ყურადღება მიექციათ ასეთი „არაჩვეულებრივი“ ოსტატისათვის... ამავე გაზეთში ერთი წლის შემდეგ ისევ გამოქვეყნდა სტატია. დაიბეჭდა ნარკვევი ქართულ, რუსულ და სომხურ გაზეთებში“ (კირილ ზდანევიჩი).

„ბახტრიონი“-ს მერვე ნომრის პირველ გვერდზე ნიკო ფიროსმანის პორტრეტი, ნახატი კირილ ზდანევიჩისა, ხოლო გაზეთის მეორე



გვერდზე ნიკალას „ქორწილი კახეთში“. გაზეთი ვრიგოლ ნობაქიძით იწყება – „ნიკო ფიროსმან“, რომელსაც ის ასე ამთავრებს: „უცნაურია თვითონ ბედი ფიროსმანისა. თითქოს იგი კი არ მოკვდა, არამედ დაიკარგა, თითქო მისთვის, რომ მისი ხატული „უსახელოდ“ დარჩენილიყო, როგორც ყოველი ნაყოფი დიდის პრიმიტივისა... ხედავ ფიროსმანს – და გჯერა საქართველო“.

ტიციან ტაბიძე „ნიკო ფიროსმან“-ში წერს: „ბევრი პოეტი მოიგონებს: „თუ არ ვეწვიე სარდაფში ღამით, დამემდურება ნიკო ფიროსმან“ (ვრიგოლ ნობაქიძე). „ნიკო ფიროსმანი არავის არ დაემდურება, მისმა გენიამ პირველ შობილ ენტუზიაზმის არ იცის მწუხრი; ის მარად იქნება... და მაშინ როცა გადაშენდებიან სარდაფის პატრონები, რომელნიც იცნობდნენ მას, მას პირადად... მოიგონებენ ამ შუადღის ლეგენდას... ჯადოსნურ ოსტატს და საქართველოს მზეს“. კირილ ზდანევიჩი თავის წერილს „ნიკო ფიროსმანიშვილი“ ასე ამთავრებს: „ქართველო ხალხო, ადიდე ფიროსმანაშვილი, ვინაიდან შენ ამით ადიდებ თვით ღამაზ საქართველოს“. წერილში „ფიროსმანი სარდაფებში“ ჩამოთვლილია ის ადგილები, სადაც რედაქციის დავალებით საგანგებოდ ვაგზლის რაიონი დაიარეს პოეტებმა: ტიციან ტაბიძემ, გიორგი ლეონიძემ და შალვა აფხაიძემ. ისინი საუბრობდნენ მიკიტნებთან, დუქნის მეპატრონეებთან, დალაქებთან, თუ ვის რამდენი და რა და რა სურათი ჰქონდა ნიკალასი. წერილში „ფიროსმანის უკანასკნელი დღე“ გიორგი ლეონიძე ამბობს: „ჩვენ ვხედავდით, რომ ვიდექით მოციქულის უწმინდეს ტაძარში, სადაც ჩვენი საფეხურები იყო უღირსი. ამ საზარსა და ღვინით შადედებულს წყვილიადში ვიგრძენით, რომ გიგანტური ფრთებით გადაგვეფარა ფიროსმანი და ღვთიურმა სიახლოვემ ჟრუანტელით დაგვატრიალა“. დიმიტრი შევარდნაძე „ნიკალას ბიოგრაფიული ცნობებში“ შენიშნავს: „აუხსნელ ფენომენად რჩება ჩემთვის ნიკოს უღარებელი ინტუიცია. მას აქვს ერთი სურათი „გიორგი სააკაძე“, რომელსაც უკავია დროშა შვინდის ფერით ამეტყველებული, საოცარია, საიდან ჰქონდა ამ ადამიანს ასეთი ცხოველი გრძნობა ეროვნული ფერის?“

ინტერესს არ არის მოკლებული, „ვეულკა-

ნივით მოვარდნილ გენიას“ თუ როგორ გამოეხმაურა ქართველ მხატვართა საზოგადოება, რასაც გავეცნობით სტატიაში „ფიროსმანი მხატვართა საზოგადოებაში“.

ოქმის სახით მოყვანილ წერილში შეხვედებით: ა) მოხსენებას ფიროსმანაშვილის შესახებ; ბ) ფიროსმანაშვილის სურათების შეკრებას; გ) ფიროსმანაშვილის სურათების გამოფენის საკითხს; დ) რედაქციის შენიშვნას.

1916 წლის 19 ივნისის ვაზ. „სახალხო ფურცელის“ სურათებიანი დამატების (№108) გვ. 2-ზე ნიკალას პორტრეტის ქვეშ წერია: „სახალხო მხატვარი ნიკო ფიროსმანაშვილი“, ქვემოთ – „ქორწილი სოფლად“, ნახატი ნ. ფიროსმანაშვილისა“, ხოლო ამავე გაზეთის (№111, 10 ივლისი) მე-3 გვერდზე დახატულია კარიკატურა. რის შესახებაც მოგონებაში „ფიროსმანიშვილი და იოსებ გომიაშვილი-“ იხსენებს: „ერთხელ მოვიდა ფიროსმანი და ჩვეულებისამებრ ამოიღო ქართული გაზეთის „სახალხო ფურცლის“ საკვირაო სურათებიანი დამატება და ირონიული ღიმილით გვაჩვენა მასში მოთავსებული სურათი. სურათზე დახატული იყო ძალზე ღარიბად ჩაცმული, ფეხშიშველა ფიროსმანი, რომელიც ხატავს ჟირაფს. იქვე, გვერდით მდგომი კაცი კი ეუბნება სამოც წელს მიღწეულ ფიროსმანს: „უნდა ისწავლო, ძმობილო.. შენს ხანაში მყოფს კიდევ ბევრის შექმნა შეუძლია... ერთი ათი-ოცი წლის შემდეგ კარგი მხატვარი გამოხვალ... აი, მაშინ გაგზავნით ახალგაზრდათა გამოფენაზე.“ (გვ. 133). მე გავუწოდე ფიროსმანს მისივე მოტანილი სურათებიანი დამატება, მაგრამ არ გამომართვა და უთხრა მამაჩემს – „იყოს ეგ გაზეთი სახსოვრად იმისა, თუ როგორ შეიძლება ადამიანის მასხრად აგდება. ეჰ, რაღა ვთქვა ახლა, რის იმედით უნდა იცხოვროს ადამიანმა“ (გვ. 134).

1922 წელი. გაზეთი „ბახტრიონი“. ყოველკვირეული სალიტერატურო და ინფორმაციის გაზეთი (თბილისი, რედაქტორ-გამომცემელი გიორგი ლეონიძე) აი, პერიოდულად რას წერდა:

*„ჩვენმა რედაქციამ, პირველმა თავს იღვა ინიციატივა ნიკო ფიროსმანის საბიოგრაფიო მასალების შეკრების“.

*რედაქციის დავალებით გაგზავნილ კორეს-

პოდენტებიდან უკვე მოგვივიდა საკმაო მასალა, რომლის ნაწილი უკვე გამოვაქვეყნეთ, ნაწილი რედაქციის პორტველში ინახება. ქალბატონ ნინა თარიშვილის მიერ ქიზიყიდან მოწვდილი ცნობები, ფიროსმანის ცხოვრების პირველი პერიოდიდან, რომელსაც აქ ვებეჭდავთ, დიდ ინტერესს არ არის მოკლებული. სახელმწიფო გამომცემლობის დავალებით, ამჟამად ნიკო ფიროსმანზე დიდ მონოგრაფიას ამზადებს ბატონი ტიცინი ტაბიძე და ყოველივე მასალეები მას გადაეცემა. რედაქცია კიდევ სთხოვს თავის კორესპონდენტებს, გააგრძელონ თავისი მუშაობა ნიკო ფიროსმანის ბიოგრაფიული ცნობების შეკრების გარშემო და „ბახტრიონის“ სახელზე დაუყოვნებლივ გამოგზავნონ“ (№23, გვ. 3).

*„რედაქციამ შეკითხვით მიმართა ყოფილ არამიანცის და მიხეილის საავადმყოფოს, თუ რა რიცხვში და რა ავადმყოფობით გარდაიცვალა ნიკო ფიროსმანი.

ამასთანავე, უნდა მოიძებნოს მისი საფლავი და გადასვენებულ იქნას ან მთაწმინდაზე, ან დიდუბეში. მასთან უნდა გამოიცეს მონოგრაფია ქართულ და უცხოურ ენებზე ფიროსმანის შესახებ და დაარსდეს ფიროსმანის გალერეა.”

*„რედაქცია გამოსთქვამს აზრს, რათა ეხლავე დაცულ იქნეს ის პატარა სარდაფი დერეფანით, სადაც სიკვდილს ებრძოდა ფიროსმანი და მალაქნის ქუჩას დაერქვას ფიროსმანის ქუჩა. საჭიროა ამ მთავრობამ ეხლავე შეიძინოს ყველა სურათი ფიროსმანის, რომელნიც დღითი დღე იკარგება და ყველასათვის სრულიად უცნობია.”

*„აღმოვაჩინეთ სრულიად ახალი კოლექციები ნიკო ფიროსმანის სურათების: ტაბახმელის გზაზე, დიდუბეში, ღრმაღელეს რაიონში. რედაქციას მოუვიდა აგრეთვე ცნობები, რომ ფიროსმანის სურათები აღმოჩენილა: ქუთაისში, ფოთში, გორში და ბორჯომში.”

*„ქართველი პოეტების ერთ ჯგუფს განზრახული აქვს შემოდგომის სეზონში მოაწყოს ნიკო ფიროსმანის სურათების გამოფენა ტფილისში. გამოფენის წინა დღეს ხელოვანთა სასახლეში გაიმართება ნიკო ფიროსმანის საღამო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: მხატვრები და პოეტები, მიღებულია ზომები, რომ გამოფენაზე შეიკრიბოს და შეისყიდოს ნი-

კო ფიროსმანის სურათები” (№8, გვ. 3).

*„ჩვენმა რედაქციამ საკუთარი ხარჯით შეიძინა რამდენიმე სურათი ნიკო ფიროსმანის: მათ შორის აღსანიშნავია: „დიდი მარხვა” და გრანდიოზული სურათი: „რთველი”. სურათები რედაქციაში ინახება” (№13, გვ. 4).

ნიკალას ბიოგრაფიისათვის ვასილ არჩვაძის „ნიკო ფიროსმანს“ (N15), გაზეთში საპატიო ადგილი უკავია, რადგან წერილში ბევრი რამ სიახლეა ნიკოს ცხოვრებაზე, მის გარეგნობაზე.

რედაქციის მოთხოვნაზე არჩვაძეს სართიჭალაში ნიკალას სურათისთვის მიუგნია. მედუქნეს ნიკალაზე უთქვამს: „დემერთმა აცხონოს ნიკო ფიროსმანაშვილი აი ის იყო მხატვარი!... 1892 წელს თბილისში ვცხოვრობდი, გაღებული მქონდა „პივნოი“... ნიკოს ვიცნობდი. გაგონილი მქონდა, რომ მხატვარი იყო 50 წლის. იქნებოდა?.. ხშირად ვხედავდი მირზოვის ტროტუარზე...თავზე ეხურა გაშლილი შლიაპა (ცილინდრი), თმა და წვერი გრძლათ ჩამოშვერილი, პაპიროს ეწეოდა, ხშირად ერთს რო მოსწევდა მეორეს უკიდებდა, სულ დაფიქრებული დადიოდა, კაცს არ გაუცინებდა...”

შეგიძლიან კარგი რამე დახატო? უპასუხებდა მაღალი ხმით: შვილო, მაშ რისი ხელოსანი ვარო რომ ვერ გადაგხატო... ნახატები კი სუფთად გამოჰყავდა... ხელში ეჭირა მოსაკეცი დიდი ჩემოდანი. ჩემოდანზე დახატული ჰქონდა ძველი ქაშვეთის ეკლესია. ეკლესიაში ხშირად დაიარებოდა ნამეტნავად ქაშვეთში”.

გაზ. „ბახტრიონი” მეორე გვერდზე ტექსტისაგან განსხვავებით, ცალკე აქვეყნებდა ცნობას: „ნიკო ფიროსმანიშვილი დაიბადა 1860-68 წლებში კახეთში. ახალგაზრდობაში თბილისში ცხოვრობდა. გარდაიცვალა 1918 წელს აღდგომის წინა დამეს. დასაფლავებული უნდა იყოს წმ. ნინოს ეკლესიასთან, კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოზე”. დღევანდელი მონაცემებით ნიკალა დაბადებული უნდა იყოს 1866-67 წლებში და დასაფლავებული უნდა იყოს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

ეგნატე მენთეშაშვილი წერილში „მასალეები ბიოგრაფიისათვის” წერს: „ყველაზე უკეთესად და დაწვრილებით მისი ამბები იცოდა განსვენებულმა ილია მგალობლიშვილმა... ნიკას სურათებით ერთ დროს გაჭედილი იყო რიყე,

მალაკნის ქუჩა და ვაგზალი. მრავალი დაიღუპა. მე პირადად ვიცი მრავალი მისი სურათები ფესტზე, ეხლა „ტრუბებად“ უკეთია სახლებს... განსაკუთრებით მშვენიერი ხატვა იცოდა აბრე-ბისა („ვივესკა“) მეცა მაქვს მისგან დახატული აბრა, ურემი, ღვინის ბოჭკითა და მეღვინეთი“ (№17, გვ. 3).

*„ნიკო ფიროსმან“ – ქიზიყიდან გამოგზავნილ წერილში „ნიკო ფიროსმან“ ნინა თარაშვილი წერდა: „ალულიშვილმა ამ ერთი თვის წინად ჩემს შვილს ნიკო ბარამიშვილს გამოუცხადა: „რალა დროსია, ნიკო დიდი ხანია მოკვდა, მე თითონ დავმარხეო“, ზოგნი გვეუბნებიან, რომ ისევ ცოცხალია, ნამდვილად არაფერი ვიცი... ფიროსმანის და ფეფე და მისი შვილები სთხოვენ გაზ. „ბახტრიონის“ რედაქციას მიაწოდოს მათ ნამდვილი ცნობა ფიროსმანზე, რომ შესაფერისათ პატივი სცენ მათთვის დაუვიწყარ მოამაგეს“ (№24, გვ.3).

და ბოლოს, ლადო გუდიაშვილმა გააკეთა იმ ადგილების ჩანახატები, „...სადაც სამი დღე უპატრონოდ ეგდო კაცი „თანატოლი რუსთაველისა“ (გიორგი ლეონიძე).

P.S. ვინ, როდის და როგორ აღმოაჩინა ნიკო ფიროსმანი განხილულ თემას სცილდება, ამიტომ, მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით, საკითხის განხილვა სხვა დროისათვის გადაიდო, რისთვისაც დაინტერესებულ მკითხველს ბოდიშს ვუხდით.

გამოყენებული ლიტერატურა:

ზდანევიჩი კირილე. ნიკო ფიროსმანაშვილი. – თბ., 1968.

მოგონებები ფიროსმანზე. – თბ., 1963.

ნიკო ფიროსმანიშვილი: ბიოგრაფია. – თბ., 1926.

გაზეთები: „ბახტრიონი“ (1922 წლის ნომრები); „რუბიკონი“ (1923 წლის ნომრები).

Кузнецов Э. Пиросмани. – Ленинград, “Искусство”, 1975.

ნინა თარაშვილი

ნიკო ფიროსმან

მაყვლის ტოტებით ორღობე გრძელი, მზით დაფარული პატარა სახლი, ჯანსაღ ვენახში მწიფე ყურძენი, ურმის ჭალებზე მოქნილი სახრე.

ზმორებით მიდის ხარი ყირმიზა, ელტვიან ქვები სიცოცხლის მადანს, მიწას ამძიმებს რქები ირმისა, ლელვის ფოთლები ვნებიან ადამს.

აღიმებს მკერდებს ცა უნახესი, ნიკო ფიროსმან და მირზაანი – თვალეხი ბრწყინავს ვით ოაზისი, რონინობს სიტყვა როგორც მიზანი.

საყდარი თეთრი, ქორწილი ღვინით, მიმინო ცაში, ლეკური ჩქარი, ხელადა სველი, ცხენი ჭიხვინით, ამაყი ნება, ამაყი ქალი.

გურამ თაყნიაშვილი

პრის გამოსაფხიზლებელი სიტყვა თეატრიდან

მიმდინარე წელს შესრულდა 160 წელი ცნობილი დრამატურგისა და საზოგადო მოღვაწის დავით ერისთავის დაბადებიდან; წელსვე აღინიშნება 125 წელი მის ცნობილი ისტორიული დრამის „სამშობლოს“ პირველი წარმოდგენიდან.

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში რუსეთი, აგრძელებდა რა თავის დიდმპყრობელურ კოლონიალურ პოლიტიკას, საქართველოში ცდილობდა მოესპო ყოველგვარი ეროვნული; რეაქციულ ძალებს იერიში მიჰქონდათ ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილზე. რუსული წეს-ჩვეულებები ინერგებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ინერგებოდა ძალით, რეაქციული, მკვეთრად შოვინისტური ღონისძიებების გატარებით. ასეთ ვითარებაში მოხერხებულად და დიდი ოსტატობით ნათქვამ



მხატვრულ სიტყვას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ერის გონებრივი გამოფხიზლებისა და სულიერი გაჯანსაღებისათვის. ამის შესახებ მართებულად მიუთითებს ივანე ჯავახიშვილი; ეხება რა რუსეთ-საქართვე-

ლოს ურთიერთობას მე-18 საუკუნეში, იგი წერს: „ქართული მხატვრული მწერლობის სხვადასხვა დარგებს ეროვნულ სიმთა ჟღერა დაეცყოთ. ეს გარემოება საზოგადოებრივ ჰანგებზე ამაღლებულს ქართულს ამ დროინდელს პოეზიას სამშობლოს გაჭირვებული მდგომარეობის გამო ჩუმი მწუხარების ელფერს სდებდა“ (10, 70).


მე-19 საუკუნის 70-80-იან წლებში დევნას

განიცდიდა ქართული ენა, საწყისშივე იხშობოდა ყოველგვარი ეროვნული, პროგრესული აზრი. ასეთი პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ფონზე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა დავით გიორგისძეერისთავი. იგი დაიბადა 1847 წელს გორის მაზრის სოფ. ხიდისთავში. პირველდაწყებითი განათლების მიღების შემდეგ, 1860 წელს სწავლა გააგრძელა ოდესის რიშელიეს გიმნაზიაში. 1867-1871 წწ. სწავლობდა ჯერ ოდესის, ხოლო შემდეგ პეტერბურგის სამედიცინო აკადემიაში; ეს უკანასკნელი არ დაუსრულებია და 1871 წელს დაბრუნდა საქართველოში. ამ პერიოდინი იგი აქტიურად ჩაება თბილისის კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქართულ პერიოდულ ორგანოებში აქვეყნებდა ლექსებს, ფელეტონებს, დრამატულ ნაწარმოებებს. მის კალამს ეკუთვნის ათზე მეტი გადმოკეთებული და ორიგინალური დრამატული ნაწარმოები, წერდა ქართულ და რუსულ ენებზე. იყო შესანიშნავი დეკლამატორი. ლექსებს კითხულობდა ფრანგულ ენაზე. 1870-იან წლებიდან იგი მონაწილეობას ღებულობდა თბილისში გამართულ ლიტერატურულ საღამოებში, ახლო ურთიერთობა ჰქონდა იმდროინდელ მოწინავე



დ. ერისთავი ახალგაზრდობაში*

* სტატიაში გამოყენებული სურათების დიდი ნაწილი ქვეყნდება პირველად, რისთვისაც ჟურნალის რედაქცია მადლობას უძღვნის საქართველოს კინოსა და თეატრის არქივის დირექციას.



ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან: ა. წერეთელთან, ი. ჭავჭავაძესთან, ი. მეუნარგიასთან, რ. ერისთავთან, პ. უმიკაშვილთან და სხვ. 1870 წელს საფრანგეთში მყოფი დ. ერისთავი გაეცნო ფრანგი მწერლისა და

„სამშობლო“ არ იყო ვ. სარდუს პიესის პირდაპირი თარგმანი, დ. ერისთავმა შესანიშნავად გამოიყენა პიესის ქარგა და ორიგინალურად მიუსადაგა ქართულ ისტორიულ სინამდვილეს. „სამშობლომ“ სათავე დაუდო ახალ სათეატრო სტილისტიკას, დააფუძნა ახლებური თეატრალური აზროვნება“ (4, 38); გადმოკეთებულ პიესას დაევალა დიდი ეროვნული ფუნქცია, მანამდე საქართველოში არ იყო ისტორიულ-პატრიოტული პიესების დადგმის ტრადიცია. „სამშობლოს“ დასადგმელად დაიწყო აქტიური სამზადისი. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო თანხის გამონახვა, ამ მიზნით ვ. აბაშიძე და კ. მესხი მიადგნენ მუხრან ბატონს, რომელმაც კარგად შეიცნო პიესის დანიშნულება და უყოყმანოდ გამოყო 500 მანეთი. პირველი დადგმის რეჟისორები იყვნენ მ. ბებუთაშვილი და პიესის

დრამატურგის ვიქტორიენ სარდუს ნაწარმოებებს. მოგვიანებით, 1881 წელს თარგმნა მისი „სამშობლო“. თარგმანი შეასრულა მაღალი ოსტატობითა და ქართულ სინამდვილესთან შესაბამისად. დ. ერისთავის „სამშობლოში“ მოქმედება წარმოებს მე-17 საუკუნის საქართველოში. „სამშობლოს“ და სხვა დრამატული ნაწარმოებების რეპეტიციები იმართებოდა გაზ „დროების“ რედაქციაში. „სამშობლოს“ ხელნაწერი ვარიანტის გაცნობის შემდეგ მოწინავე ინტელიგენციამ აშკარად დაინახა პიესის პატრიოტული

კათოსი და ის მოსალოდნელი ეფექტი, რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა მის პროფესიულ სცენაზე დადგმას. „სამშობლო“ პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „ივერიაში“ (1881, №10), ხოლო მომდევნო წელს გამოიცა ცალკე წიგნად (1).



გვირგვინი, რომელიც მაყურებელმა მიართვა დ. ერისთავს „სამშობლოს“ პირველი წარმოდგენის შემდეგ



გვირგვინი, რომელიც „სამშობლოს“

ავტორს მიართვა ქუთაისის საზოგადოებამ, 1891 წელი

თმენი ადამიანი. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პერსონაჟთა სწორ ქართულ მეტყველებას; არ არღვევდა წარმოდგენის მთლიანობას. „სამშობლოს“ პირველი დადგმა განხორციელდა 125 წლის წინათ, 1882 წლის 20 იანვარს. ძირითადი როლები ასე იყო განაწილებული: სიმონ ლიონიძე – კოტე ყიფიანი, ქეთევანი – ბ. ხერხეულიძე, ლევან ხიმშიაშვილი – ლადო მესხიშვილი, შაჰ-აბასი – ვასო აბაშიძე, დიმიტრი დადიანი – ალექსანდრე ყაზბეგი. ქართველმა მაყურებელმა სცენაზე პირველად დაინახა



ქრისტიანული კონცეფციის სპექტაკლი. მასში ორიგინალურად იყო შერწყმული ქრისტიანული სული და პატრიოტული მუხტი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავდა მთელი პიესა, ყოველი მოქმედი პირის განსაკუთრებულად გამახვილებული მაღალზნობრივი თვისებები. სპექტაკლის ხილვის შემდეგ ხალხი ამოძრავდა, აღელდა, თეატრს მიაწყდა; „თეატრმა გამოაღვიძა ხალხი და თავის მხრივ ხალხმა გამოაღვიძა თეატრი, ძლიერმა ბიძგმა ღრმად შესძრა

ხევის შემდეგ არ მოგვეპოვებოდა. საერთოდ, „რეპერტუარის საკითხი რჩებოდა ქართული თეატრის სუსტ მხარედ“ (8, 335).

ილია ჭავჭავაძე ამ დროს გულისტკივილით წერდა: „თეატრი დიდი რამ არის ჩვენისთანა დაცემული ხალხისათვის, მეტი ნაციონალობის ნიშან-წყალი ჯერ-ჯერობით ჩვენ არა გვაქვს (9, 97). „სამშობლოს“ დადგამა მიიღო ეროვნული მანიფესტაციის ხასიათი. „ალტაცებით მივესალმებით იმ ღრმა და ძლიერ გრძნობას მამულის სიყვარულისას, რომელიც მოისმის ლიონიდის, დადიანის, ლ. ხიმშიაშვილის და სხვათა პირიდან“, – წერდა გაზეთი „დროება“ (1882. № 236).



„სამშობლოს“ პირველი წარმოდგენის როლების შემსრულებლები

ხალხი“ (ვ. კიკნაძე), პიესის შინაარსი თვითონ იწვევდა საზოგადოებრივ მღელვარებას, ეს იმ დროს, როდესაც ფრიად დაქვეითებული იყო ეროვნული თვითშეგნება. ღრმად პატრიოტული და ამაღელვებელი იყო სცენა მესამე მოქმედებიდან, როდესაც საქართველოს დროშასთან მუხლმოყრილი პერსონაჟი მგრძნობიარედ წარმოთქვამდა ილია ჭავჭავაძის სიტყვებს: „ღმერთო, მაღალო, ეს ქვეყანა შენი ხვედრია“. ამ დროს მაყურებელთა ერთი ნაწილი ფეხზე წამოდგა და ხმამაღლა გაიძახოდა: „გაუმარჯოს საქართველოს“. პიესის მიზანი და ავტორის ჩანაფიქრი აღსრულდა: „სამშობლომ“ დიდად შეუწყო ხელი ქართველთა პატრიოტული შეგნების ამაღლებას, ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების გაღვივებას. „სამშობლო“ არა მარტო გმირთა სახეებითაა ქართული, არამედ იგი თითქმის ქართული ლიტერატურის ორიგინალური ნაწარმოებია“ (5, 178). ასეთი იდეების შემცველი პიესა მე-19 საუკუნის მეორე ნა-

ცხადია, მასების გონებაში ისეთი ნაპერწკლის გაღვივება, რომელსაც შეეძლო ეროვნული იდეებისთვის მებრძოლთა დარაზმვა და მოქმედებაზე გადასვლა, აზრის მოძრაობაში მოყვანა, შეუძმნეველი არ დარჩენია მეფის რუსეთის ცენზურას, შოვინისტური სულისკვეთებით განწყობილ მოხელეებს. „სამშობლოს“ წინააღმდეგ ყველაზე ცინიკური წერილი დაბეჭდა მ. ნკატკოვმა („Московские ведомости“, 1882, № 44). წერილის ავტორი ქართველებს ურჩევდა თავიანთი ეროვნული დროშა ცირკისათვის მიეყიდათ. „სამშობლოს“ დადგმას იგი მიიჩნევს ქართველთა სეპარატისტული განწყობილების გამოვლინებად. კატკოვის წერილმა ქართველი ხალხის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია; წერილში „კატკოვის პასუხად“ (დროება, 1882, № 40. – 24/II) ილია ჭავჭავაძემ კატკოვის გამოსვლას უწოდა საშიშარი და საზიზღარი ბეზღობა. „ქართული დროშა, – წერდა ილია, – ორი ათასი წლის განმავლობაში ქართველებს სახელითა და დიდებით ხელში სჭერია, თავის სისხლში ამოუვლია და რუსეთისათვის შეუძწიკვლელად და უჩირქოდ გადაულოცნია, კატკოვმა იკადრა ის, რასაც თვით ბარბაროსიც ითაკილებდა“.

რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის ნაწილმა დადებითი რეცენზიები გამოაქვეყნა „სამშობლოს“ დასაცავად; მათ არ გაიზიარეს კატკოვის მიდგომა და სამართლიანად უსაყვედურეს მას. ნ. მიხაილოვსკი წერდა: „ქართული დროშა დარჩება ხელშეუხებლად იმავე ადგილას, სადაც ის დღეს არის“ (Записки Современника. – 1881. – №4); ქართველთაგან „სამშობლოს-



„დასაცავად წერილი გამოაქვეყნეს ხალხოსან-მა: პუბლიცისტმა სტეფანე ჭრელაშვილმა: – „გზა, რომელსაც მიაღდა ჩვენი თეატრი, არის წმინდა, სუფთა და ფართო“ („იმედი“. – 1882. – № 69-70); თბილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლმა ზ. მაღალაშვილმა, რომელმაც ღიად და გაბედულად დაუჭირა მხარი პიესის იდეალებსა და მისწრაფებებს. მან ჯერ პეტერბურგის გაზეთ „Голос“-ში დაბეჭდა სპეციალური წერილი, ხოლო შემდეგ გადმობეჭდა ჟურნალ „დროებაში“ (1882, №61); აკაკი წერეთელი ამ გარემოებათა გამო წერდა: „არავინ გვათქმევინებს, თორემ დავუმტკიცებდით, რა შეილებიცა ბრძანდებიან, და რადგანაც აქაურობა არ მოსწონთ, ვურჩევდით სად შეჰფერის მათ ბინა“ (დროება, – 1882, – №45). „სამშობლოს“ გარშემო შექმნილმა მოძრაობამ ილია ჭავჭავაძეს აგრძნობინა, რომ შეურაცხყოფილი ქართველი უკვე „შფოთდება“ ცარიზმის მიერ დამყარებული პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ.

„სამშობლოს“ პირველი წარმოდგენის შემდეგ ყოველი ქართველი თავის საღმრთო ვალად სთვლიდა წარმოდგენის ნახვას: დ. ერისთავმა „სამშობლოს“ დადგმით უფრო დიდი ამაგი დასდო ქართველობას, მის ყოფასა და შეგნებას, ვიდრე მისმა ნაწერებმა საერთოდ. პიესაში ნათლად ჩანს სამშობლოს სიყვარულის უპირატესობა პირად ბედნიერებასთან შედარებით. მაყურებელთა შემახილი „საქართველოს გაუმარჯოს“ სადღესასწაულო ზარივით ისმოდა მთელ დარბაზში. პიესა მომდევნო წლებში წარმატებით იდგმებოდა ქუთაისში, ფოთსა და ბათუმში. მართალია, პიესა დრამატულად უნაკლოდ იყო გამართული, მაგრამ თვითონ ავტორი პირველი დადგმით არ იყო კმაყოფილი. მას გზადაგზა შეჰქონდა კორექტივები, ხვეწდა ტექსტს, მეტყველებას უსწორებდა მოქმედ პირებს. „სამშობლო“ წლების განმავლობაში ქართული ეროვნული რეპერტუარის განუყოფელ ნაწილად იქცა. ამ პიესის დადგმით მოწინავე ქართული ინტელიგენცია საფუძვლიანად დარწმუნდა, რომ ყოველი ახალი ეროვნული და პროგრესული საქმე უდიდესი შრომისა და ტანჯვის გზით მკვიდრდებოდა. დ. ერისთავის დრამატული ნაწარმოებების მისიაც სწორედ ეს იყო – თეატრიდან ნათქვამი სიტყვით გაედვიდ-

ბინაეროვნული გრძნობები. ამას იგი აკეთებდა თავისი ცოდნით, ინტელექტით, გაბედულებითა და მკვეთრად ეროვნული სულისკვეთებით. როგორც აღვნიშნეთ, დ. ერისთავი იყო პოეტი, დრამატურ-



გი, ნოველისტი, ფელეტონისტი, რედაქტორი, დეკლამატორი, მოყვარული მსახიობი, რეჟისორი. ყველა ამ სფეროში გამოავლინა თავისი ნიჭი და ტალანტი. მისი შემოქმედებისა და ბიოგრაფიის მკვლევარი მ. თუმანიშვილი, ახასიათებს რა დ. ერისთავის მრავალმხრივ შემოქმედებას, ამის შესახებ წერს: „ამ მრავალმხრივობამ დაღუპა იგი; არც ერთ სფეროში არ დატოვა მან ღრმა კვალი“. ეს იმიტომ, რომ „მას არ გააჩნდა მყარად ჩამოყალიბებული იდეალი, მას ამოძრავებდა ელემენტალურად პატრიოტული გრძნობა, რომელიც შერეული იყო შოვინიზმთან“ (11, 20). მ. თუმანიშვილის ასეთი შეფასება არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს მთელი რიგი გარემოებების გამო. მართლაც დ. ერისთავის ღვაწლს რომ გადავხედოთ ქართული დრამატურგიის დარგში, საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ ჩვენ წინაშეა ეროვნული, მგზნებარე პატრიოტი და მამულიშვილი, რომლის თეატრიდან ნათქვამმა სიტყვამ გამოაფხიზლა ერი. თუ პროფესიული თვალთ შევხედავთ მის მხატვრულ ნაწარმოებებს: ლექსებს, ფელეტონებს, რომლებიც უხვად იბეჭდებოდა მე-19 საუკუნის 70-90-იან წლებში, ისინი მართლაც არ გამოირჩევა მაღალი მხატვრული თვისებებით, თუმცა ის პრობლემები, რომლებზედაც ავტორი წერს, ფრიად აქტუალურია იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურუ-



ლი ცხოვრებისათვის. მარტო „სამშობლოს“ დადგმით მან ძეგლი დაიდგა ქართველთა გულებში, მასში მძლავრად სცემდა პატრიოტული სიმი, და ესეც საკმარისია მისი ხანმოკლე სიცოცხლის უკვდავსაყოფად.

დ. ერისთავი პრესაში აქვეყნებდა ლექსებს, ფელეტონებს, მიმოხილვებს, ჩანაწერებს „მემკვიდრეობით პოეტის“ ფსევდონიმით. 1882-1885 წწ. იგი იყო გაზეთ „Кавказ“-ის რედაქტორ-გამომცემელი, როგორც იმდროინდელი ქართული პრესა აღნიშნავს, მის ხელში გაზეთმა მიიღო სხვა მიმართულება, მოიმატა ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალულმა ინფორმაციებმა; ეს და, მეორე მხრივ, „სამშობლოს“ ირგვლივ გამართული დებატები გაზდა მიზეზი იმისა, რომ მას დროზე ადრე შეუწყვიტეს გაზეთის რედაქტორობის სახელშეკრულებო ვადა. 1886-1890 წწ. იგი ერთხანს ბათუმში მოღვაწეობს როტშილდის ქარხნის მმართველად. აქ იგი მძიმე სენით დაავადდა და გარდაიცვალა იქვე, ბათუმში 1890 წლის 19 ოქტომბერს, 53 წლის ასაკში. თავდაპირველად იგი დაკრძალული იყო კალოუბნის ეკლესიის გალავანში. დასაფლავების დღეს გამოსათხოვარი სიტყვები წარმოთქვეს ი. მეუნარგიამ, ა. წერეთელმა და სხვებმა. ი. მეუნარგია იყო მისი ახლო მეგობარი და მემატიანე. მან ასე მიმართა განსვენებულს: „შენ შემოდგი ფეხი საზოგადო სარბიელზე მაშინ, როდესაც წიგნი დაცემული იყო ჩვენში, ოჯახი გადაგვარებული, სცენა – გმობილი, თეატრი – ცარიელი“ (ივერია, 1890, 16 ოქტ. № 22), აკაკი წერეთელი ხაზს უსვამდა დ. ერისთავის ღვაწლს ეროვნული ცნობიერების გამოღვიძების საქმეში. დასაფლავებას ესწრებოდა დ. ერისთავის მოხუცი დედა და ახალგაზრდა მეუღლე მარიამ ზაქარიას ასული სარაჯიშვილისა; განსვენებულს დარჩა ერთადერთი შვილი ელისაბედი, შემდგომში ცნობილი ჟურნალისტი, საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქტორი. მოგვიანებით დ. ერისთავის ნეშტი გადასვენეს მთაწმინდის პანთეონში დავით სარაჯიშვილის ინიციატივით და ხარჯით. მის საფლავს ამშვენებს თეთრი მარმარილოს ძეგლი ხოდაროვიჩის ესკიზით, რომელზედაც აკაკი წერეთლის ლექსია ამოკვეთილი:

„ძღვნად და საკურთხად, სამარადისოდ,
საიმქვეყნიო და საიმსოფლო,

ღირსმა ერის ძემ, თვით ერისთავმა
სამშობლოსათვის დადგა „სამშობლო“.

„სამშობლო“ დიდხანს არ ჩამოდიოდა ქართული სცენიდან. თეატრიდან თქმული მგზნებარე სიტყვები ერთხელ კიდევ შეახსენებს მაყურებელს, რომ არ ჩამქრალა ქართული სული, მგზნებარება, რომ ნაპერწკალი ეროვნული აღორძინებისა გაღვივებულა და ამოძრავებს მთლიანად ქართველ ერს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ერისთავი დ. სამშობლო. – თბ., 1882. – 123 გვ.
2. ერისთავი დ. დრამატული ნაწარმოები. – თბ., 1910. – 467 გვ.
3. А. С. Грибедов: Биографический очерк. – / Сост. А. Эристовъ. – Тб., 1879. – 43с.
4. კიკნაძე ვ. რა უთხრა ქართველ ხალხს „სამშობლომ“ // საბჭოთა ხელოვნება. – 1990. – №2. – გვ. 41-62
5. ტატიშვილი ნ. ლიტერატურული ნარკვევები. – თბ., 1965. – 210 გვ.
6. კიკნაძე ვ. ქართული დრამატული თეატრის ისტორია. – ტ.1. – თბ., 2003. – 792 გვ.
7. ჭიჭინაძე ზ. დავით ერისთავი., – თბ., 1892. – 40 გვ.
8. გაჩეჩილაძე ა. ნარკვევები მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან. – ნაწ. 2. – თბ., 1963. – 388 გვ.
9. ჭავჭავაძე ი. თხზულებანი ათ ტომად. – ტ. 10. – თბ., 1961. – 635 გვ.
10. ჯავახიშვილი ი. დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 საუკუნეში // ისტორიული რარიტეტები. – თბ., 1989. – 158 გვ.
11. Туманов Г. Характеристики и воспоминания. – Тб., 1913. – 262 с.

გურამ თაყნიაშვილი

პირადი ბიბლიოთეკიდან ეროვნულში

ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ქალბატონმა იზოლდა პეტრიაშვილმა, რომელიც მორიგეობით შემოვიდა ეროვნულ ბიბლიოთეკაში და პირადი ბიბლიოთეკიდან გადარჩეული წიგნების სია შემოიტანა: – სურვილი მაქვს ჩემი საოჯახო წიგნების ერთი ნაწილი ბიბლიოთეკას შევწირო, აქ ხომ მეტი მკითხველი ეყოლებაო, – ხმადაბლა განაცხადა შუა ხნის მანდილოსანმა; მოგვიანებით დავათვალიერეთ მის ბინაში სათუთად მოვლილი და კარგად ნაპატრონები წიგნები. საოჯახო ბიბლიოთეკა დიდი გემოვნებით იყო შერჩეული მისი მეუღლის, სპეციალობით სამთო ინჟინრის – ირაკლი კეკელიას მიერ. თაროებზე თანმიმდევრობით ჩაელაგებინა მრავალტომეული გამოცემები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ლიტერატურა. ბიბლიოთეკისათვის გადმოსაცემი წიგნების თემატიკაც მრავალფეროვანი იყო: მხატვრული, სათავგადასავლო, მემუარები, დეტექტივები, სამეცნიერო-პოპულა-

რული. ნაჩუქარი წიგნებიდან მართლაც ბევრი გამოცემა საჭირო და აუცილებელი აღმოჩნდა ეროვნული ბიბლიოთეკისათვის. 200-ზე მეტი დასახელების წიგნით გარკვეული ხარვეზი შეივსო და გაცვლითი ფონდისათვისაც მნიშვნელოვანი შენაძენი აღმოჩნდა. 120 დასახელების წიგნი ბიბლიოთეკათმცოდნეობის განყოფილებას გადაეცა საქართველოს მრავალეროვან რაიონებში გადასაცემად. ასეთია შეგნებული და კეთილი ადამიანების მიდგომა წიგნისადმი, რომელიც სახლში უმოძრაოდ დევს, ხოლო ბიბლიოთეკაში, ვინ იცის, რამდენი მკითხველი ელოდება მას. ამ ქალბატონის მოქმედება დამახასიათებელია იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ბოლო წლებში ასე უშურველად, საზოგადოებრივი საქმისადმი შეგნებული დამოკიდებულებით ამდიდრებენ ქვეყნის მთავარი ბიბლიოთეკის წიგნად ფონდებს.

ღმერთმა გვიმრავლოს მსგავსი მამულიშვილები, რომლებმაც კარგად იციან წიგნის ფასი და ბიბლიოთეკის დანიშნულებაც.

სასარგებლო შეხვედრები

მიმდინარე წლის 7-13 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა მასპინძლობდა საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტებს უკრაინიდან და ლატვიიდან. სტუმართა შორის იყვნენ: ირინა შევჩენკო – უკრაინის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს რეგიონალური პოლიტიკის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, ლატვიის ეროვნული ბიბლიოთეკის აღმასრულებელი

ბელი დირექტორი ძინტრა მუკანე, ხერსონის საოლქო უნივერსალური ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი ნადეჟდა კოროტუნა, საბიბლიოთეკო დარგის სხვა წამყვანი სპეციალისტები. 12 კაციანი დელეგაცია ერთი კვირის განმავლობაში ეცნობოდა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საქმიანობას, თანამედროვე საბიბლიოთეკო ტექნოლოგიების დანერგვისა და გა-



მოყენების პრაქტიკას. ორდღიან სემინარულ მუშაობაში სპეციალისტებმა ერთიმეორეს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება საბიბლიო-

თეკო მუშაობისა და ინფორმაციის თანამედროვე საკითხებზე – საბიბლიოთეკო დოკუმენტების ელექტრონული მონაცემთა ბაზების სრულყოფა და ინფორმაციების გაცვლა, მიზნობრივი საბიბლიოთეკო პროგრამების დაფინანსების წყაროების ძიება, საბიბლიოთეკო მენეჯმენტი, ეროვნული ბიბლიოგრაფიის წარმოება და გამოცემები, სხვა აქტუალური, სამივე ქვეყნისათვის პრობლემური საკითხები. გამომსვლელები ერთსულვნად მიიჩნევიან საქმიანი ურთიერთობის გაღრმავების, დელეგაციების გაცვლისა და მოწინავე გამოცდილების გაზიარების აუცილებლობას;

სტუმრები ეწვივნენ მცხეთასა და თელავს; 12 მაისს ისინი შეხვდნენ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობას. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია არასაბიუჯეტო სახსრებით ბიბლიოთეკების დაკომპლექტების, ფასიანი საბიბლიოთეკო მომსახურებისა და სხვა პრობლემების შესახებ საუბარმა. სტუმრებმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მიმართ; გადაწყდა საქმიანი ურთიერთობის დამყარება სამივე ქვეყნის პროფესიულ ჟურნალებს შორის;



საბიბლიოთეკო ქსელის მოწყობის საკითხებზე მსჯელობისას გაირკვა, რომ უკრაინის ერთ-ერთ ოლქში ჩატარდა სასოფლო ბიბლიოთეკაფილიალების სასკოლო ბიბლიოთეკებთან შეერთების ექსპერიმენტი. სხვა ოლქებში ასეთი მეთოდი არ გაუვრცელებიათ, ვინაიდან ასეთმა შეეერთებამ არ გამოიღო შესამჩნევი ეფექტი. რაც შეეხება ლატვიას, აქ, საერთოდ, არც უცდიათ და არც ფიქრობენ ასეთი ექსპერიმენტის ჩატარებაზე. ორივე ქვეყანა, როგორც ირკვევა, ნაბიჯ-ნაბიჯ მისდევს ევროსაბჭოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეგლამენტაციებს საბიბლიოთეკო ქსელის ოპტიმალური მოწყობისა და

მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების შესახებ. მისაბამია ლატვიის ბიბლიოთეკებში საბიბლიოთეკო ტექნოლოგიების დანერგვის მდგომარეობა.



ამ ქვეყანაში 2000 მთავარი, სამეცნიერო-უნდა ვერსალური და რეგიონალური ბიბლიოთეკაა ჩართული ერთიან ქსელში, რაც საშუალებას აძლევს მათ, ოპერატიულად დაამუშაონ შემოსული ინფორმაცია, მაღალ დონეზე აწარმოონ ბიბლიოგრაფიული ინფორმაციების გაცვლა და, რაც მთავარია, ოპერატიულად დააკმაყოფილონ მკითხველთა საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მოთხოვნილებები. ასეთი რაოდენობის ბიბლიოთეკების ერთიან საინფორმაციო ქსელში განთავსება კარგი საშუალებაა ეროვნული ბიბლიოგრაფიის ელექტრონული ვერსის საწარმოებლად; თუმცა ამივე ქვეყნის სპეციალისტთა აღიარებით, აუცილებელია ეროვნული ბიბლიოგრაფიის ნიმუშების გამოცემა ბეჭდური ფორმით.

შეხვედრები ნამდვილად სასარგებლო გამოდგა; ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ცხადყოფს თანამედროვე საბიბლიოთეკო საქმის ინტეგრაციის აუცილებლობას, ცივილიზირებული ქვეყნების თანამედროვე ტექნოლოგიების მიღწევათა ცოდნას; იმ უბრალო ჭეშმარიტების აღიარებას, რომ 21-ე საუკუნეში საბიბლიოთეკო საქმე ვერ განვითარდება მხოლოდ ერთი ქვეყნის ფარგლებში.



ნიგნის საუფლოში

უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა.
ილია

– წიგნი ჩემთვის დიდი განძია, ვერაფერი შეცვლის, მასზე არ მოქმედებს გლობალური პროცესები. წიგნთან ცოცხალი ურთიერთობა – ეს უდიდესი სიამოვნებაა.

ჩემი პირველი წიგნი, რომელიც ბავშვობაში წავიკითხე, მომცრო ფორმის გამოცემა იყო, რომლის ავტორი არც კი მახსოვს. ჩემი ცხოვრების დანარჩენი წლები წიგნთან მჭიდრო ურთიერთობაში გავატარე. წიგნი არა მარტო ცოდნის შექმნაა, არამედ ცხოვრების სახელმძღვანელო. წიგნი ის თილისმაა, რომელიც გავიწყებს ამოებას და სრულიად სხვა სამყაროში გადაჰყავხარ. ცხოვრობ იმ ლიტერატურული გმირების სამყაროში, რომელთა შესახებაც კითხულობ „წიგნს“ – გატაცებით მესაუბრება ქალაქ თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის აბონემენტის გამგე ქალბატონი ლილი გორდელაძე და თან თაროებზე დალაგებულ ძვირფას გამოცემებს მიჩვენებს:

– ეს ტორკვატო ტასოა – 1800 წლის გამოცემა, ეს კი „ლუდოვიკო XVI-ის სასამართლო პროცესი“; წიგნს სათუთად ეპყრობა, როგორც გლეხი ელოლიავება ვაზს, დედა-შვილს. შემდეგ სკოლის წლებს იხსენებს: „დავამთავრე თბილისის 23-ე საშუალო სკოლა. ჩემი პედაგოგები იყვნენ: ვუკოლ ბერიძის და ეკატერინე ბერიძე, მავრა გეგეჭკორი, მარიამ ბალანჩივაძე, არჩილ მჭედლიძე... მეოთხე კლასში ევგენი ხარაძის და მასწავლიდა. (სახელი არ მაგონდე-

ბა). ჩემი პირველი მასწავლებელი – მარო დარბაისელი ქალი იყო. ჩემმა პედაგოგებმა წიგნის სიყვარული მასწავლეს. ჩემი ცხოვრება შემდგომში ისე აეწყო, რომ უმაღლესი განათლება ვერ მივიღე, ბიოლოგიურზე ვაბარებდი უნივერსიტეტში, მაგრამ საბოლოოდ პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტზე მოვხვდი, რაც ძალიან განვიცადე.

მუშაობა დავიწყე გამგედ ერთ-ერთი ქარხნის ბიბლიოთეკაში. პარალელურად ქარხნის რადიოგადაცემებსაც ვაწყობდი. შემდეგ საბიბლიოთეკო კურსებზე მიმავლინეს.

60-იან წლებში დავიწყე მუშაობა ქალაქ თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში აბონემენტის გამგედ. აქ შესანიშნავი საზოგადოება დამხვდა: ქალბატონები ნუნუ წულუკიძე, ნინო მესხი, ტატიანა სუკანსკაია, ბატონი ნიკო ჭელიძე, თინა ჩაგანავა... მათგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. ავითვისე პროფესიული ჩვევები. ბატონი ნიკო მეტყოდა ხოლმე: „როცა წიგნს ურჩევ კითხველს, კარგად შეამოწმე, რაიმე არ გამოგრიეს.“ ქალბატონ ტატიანას რომ ვუყურებდი, ვფიქრობდი: „ნამდვილად ასეთი უნდა იყოს ბიბლიოთეკარი, – დახვეწილი სიტყვა-პასუხით და ქცევით“.

– ქალბატონო ლილი, თქვენი აზრით, ხომ არ არის გაიგივებული ბიბლიოთეკარი მასწავლებელთან, მეცნიერთან?



– რასაკვირველია, ჩვენი მოვალეობა მკითხველს ვასწავლოთ წიგნთან, კატალოგებთან მუშაობა. ბიბლიოთეკარი გათვითცნობიერებული უნდა იყოს ყველა დარგში, რათა მკითხველს ზუსტად მიაწოდოს საჭირო წიგნი. ამიტომ ჩვენ ქვეცნობიერად მკვლევარებიც ვართ. რა თქმა უნდა, ყველა დარგს თანაბარ დონეზე ვერ ისწავლი. მაგრამ მინიმუმი მაინც უნდა იცოდე. როგორც მეცნიერი ემზადება საკვლევი საკითხის შესწავლისათვის, ასეა ბიბლიოთეკარიც.

– რა მიგაჩნიათ უმთავრეს თვისებად მკითხველთან ურთიერთობის დროს?

– უპირველეს ყოვლისა, კეთილგანწყობა, ბიბლიოთეკარის მეტყველების კულტურა, მკითხველის გემოვნების მიხედვით წიგნის შერჩევა. კარგად უნდა უსმინო, რას მოითხოვს მკითხველი შენგან.

– ქალბატონო ლილი, თანამედროვე პერიოდში მკითხველის დამოკიდებულება წიგნთან შეიცვალა. თქვენ როგორ უყურებთ ამას?

– კომპიუტერული ტექნიკა კარგია, ეს დროში მიმდინარე ცვლილებებმა მოიტანა. მე მიმაჩნია, რომ ოჯახმა, ბიბლიოთეკამ, სკოლამ და საზოგადოებამ უნდა აღზარდოს მომავალ თაობაში წიგნის მიმართ პატივისცემა. აქ ბიბლიოთეკარის როლი დიდია.

– თქვენი საბიბლიოთეკო ფონდი რამდენი წიგნისაგან შედგება!

– დაახლოებით სამასი ათასი წიგნისაგან...

– დღეს მკითხველი რომელი ტიპის ლიტერატურაზე ამახვილებს ყურადღებას?

– მხატვრულ, იურიდიულ, ფილოსოფიურ და ხელოვნების ამსახველ ლიტერატურაზე. დიდი მოთხოვნაა დასავლეთ ევროპის ლიტერატურაზე.

– რას გვეტყოდით მწერლებთან, პოეტებთან, საეკლესიო მოღვაწეებთან, მეცნიერებთან, მსახიობებთან შეხვედრებზე?

– ეს ძალიან ვრცელი საკითხია. მასსოვს, ერთხელ მოვიწვიეთ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობები. საღამოზე წავიკითხე ლადო ასათიანის ლექსი „ვერიკო ანჯაფარიძე“. ქალბატონმა ვერიკომ მხურვალე კოცნით დამაჯილდოვა. ერთხელ აკადემიკოს ავლიბ ზურაბაშვილს შევხვდით, ჩემი გამოსვლის შემდეგ ბატონი ავლიბი ჯენტლემენტურად მოვიდა ჩემთან და ხელზე შეამბორა.

1976 წელს მოვიწვიეთ. ნოდარ ახალკაცი, ბორის პაიჭაძე, კოტე მახარაძე, მანუჩარ მანაიძე. საღამო საფეხბურთო მატჩის მუსიკით გაეხსენით. მასსოვს სტადიონის ადმინისტრაცია შევაწუხე ამ მუსიკის ჩასაწერად. კურიოზიც მოხდა – ცარიელ სტადიონზე გაისმა მუსიკა და ვხედავ, ქუჩიდან ხალხი შემობრბის სტადიონზე.

ძალიან მიყვარს ვიქტორინები და ხშირად ვღებულობდი მონაწილეობას საქართველოს ტელევიზის მიერ ჩატარებულ ვიქტორინაში. პირველი ადგილი დავიკავე და ტელევიზორით დამაჯილდოვეს.

ასე მოხდა მაშინაც, როცა ქალთა გადაცემის „იავნანას“ მიერ მოწყობილ ვიქტორინაში სამჯერ მივიღე მონაწილეობა.

„იავნანას“ ქალთა რედაქციასა და ჩვენ შორის მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა. შემდგომ მათ შეხვედრაც მოვუწყვეთ. საღამოზე ასე მივმართე მოწვეულ სტუმრებს: „ჩვენი ბიბლიოთეკის თაროებზე ინახება წიგნი „მსოფლიოს შვიდი საოცრება“. მაშ, რაღაა ტელევიზია, თუ არა მერვე საოცრება, რომელსაც შეუძლია წამში შემოგატაროს დედამიწის ირგვლივ. ჩაგითრიოს მის სიღრმეებში“. ასეთმა ნააზრევმა მოხიბლა მთელი ქალთა რედაქცია და მათ შორის ქალბატონი ნუნუ ხავთასი. საღამო გაიხსნა რეზო ლალიძის მუსიკით „გოგოვ, გოგოვ, მე შენს მეტი“, რომელიც „იავნანას“ გადაცემის ქუდს წარმოადგენდა.

შეხვედრა მოვუწყვეთ ქვაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარს დეკანოზ მამა გიორგი ზვიადაძეს, რომელიც მაშინ ახალი ჩამოსული იყო საბერძნეთიდან, ძალიან საინტერესოდ ისაუბრა საბერძნეთის შთაბეჭდილებებზე, იმ დამოკიდებულებაზე, რომელიც გამოიხატა საქართველოს პატრიარქთან, ქართულ ეკლესიასთან ურთიერთობაში.

შოთა ნიშნიანიძემ ასე განაცხადა: „თქვენ ბიბლიოთეკარი კი არაა, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გყავთო“. ამის შემდეგ ჩემი დირექტორი ნინო მესხი იტყოდა ხოლმე: „სიტყვა ეძლევა ბიბლიოთეკარს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ლილი გორდელაძესო“; სხვათა შორის თეატრალურზე ჩაბარებაც მინდოდა ერთ დროს. გთხოვთ, ამას თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ.

ჩვენთან მოდიოდა საქართველოს სახალხო



არტიზტი სპარტაკ ბალაშვილი, რომელსაც გაუფორმებლად ვაძლევდით წიგნებს. იგი დიდი პასუხისმგებლობით ეპყრობოდა მათ.



ეს ყველაფერი ჩემთვის სასიამოვნო მოსაგონარია.

- ქალბატონო ლილი, რაზე მუშაობთ ამჟამად?

- ვკითხულობ წიგნს „ლუდოვიკო XVI-ის სასამართლო პროცესი“. ჩვენთან სამუშაო არ ილევა, წიგნი ის დიდი საუფლოა, რომელსაც არც საზღვრები, არც ჩარჩოები გააჩნია.

ესაუბრა

დავით სოლომნიშვილი



ირინე გოგლიძე

საბიბლიოთეკო დარგის ღვანულოსილი მუშაკი დიმიტრი მარკევიჩი



გამოჩენილმა ბიბლიოთეკარმა, პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ დიმიტრი ნიკოლოზის ძე მარკევიჩმა ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართულ საბიბლიოთეკო საქმის ისტორიაში. იგი მოღვაწეობდა საბიბლიოთეკო საქმის ისეთ კორიფეებს

წელს ოქროს მედალზე დაამთავრა. მიიღო კავკასიის სასწავლო ოლქის სტიპენდია და სწავლა მოსკოვის უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე განაგრძო.

1918 წელს იგი გაიწვიეს არმიაში, 66-ე საარტილერიო დივიზის მეექვსე სამთო ბატარეაში. მისი ინიციატივით ჩამოყალიბებულ იქნა ბიბლიოთეკა ჯარისკაცებისა და მუშები-სათვის, ასევე გახსნა ორსაფეხურიანი წერაკითხვის სკოლა, სადაც იგი ერთდროულად იყო როგორც პასუხისმგებელი ხელმძღვანელი პირი, ისე მასწავლებელიც.

1921 წლის აპრილში დ.ნ. მარკევიჩი მუშაობს საავეჯო საწყობის ბიბლიოთეკის გამგედ, ხოლო 1922-24 წლებში დანიშნულ იქნა ქართული მსროლელი დივიზის ბიბლიოთეკის გამგედ. ამავე დროს აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ქართული დივიზიის სამხედრო ბიბლიოთეკების ჩამოყალიბებაში და მათი კადრების მომზადებაში.

1924-30 წლებში, დ.ნ. მარკევიჩი მუშაობდა 26 კომისრის სახელობის ა/კ კომუნისტური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გამგის მოადგილედ, სადაც მისი უშუალო მონაწილეობით დამუშავდა ბიბლიოთეკის ნახევარმილიონიანი ფონდი, ათწილადი კლასიფიკაციის მიხედვით და შედგენილ იქნა სისტემატური კატალოგი.

1930-31 წლებში მუშაობდა საქართველოს ცაკ-თან არსებულ საბჭოთა მშენებლობის და

შორის, როგორებიც იყვნენ: გიორგი ბაქრაძე, პლატონ ხუნდაძე, ნიკოლოზ ლორთქიფანიძე, ივანე ციცუშვილი, შალვა დოლაძეძე, გიორგი გეხტმანი, პავლე კიკნაძე, თამარ მაჭავარიანი, გიორგი გიორგიძე, ნიკოლოზ აკერმანი და სხვ. მათი პროფესიონალიზმისა და ერთუზიანზმის წყალობით განვითარდა საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში.

დიმიტრი მარკევიჩი დაიბადა 1898 წელს ქ. თბილისში, მამა - ნ. დ. მარკევიჩი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. დედა - ე.ფ. თავდგირიძე დიასახლისი იყო.

1906 წელს დ. მარკევიჩი თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში შევიდა, რომელიც 1916

საქართველოს ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგედ, სადაც უშუალოდ მისი ინიციატივით პირველად შეიქმნა იურიდიული ლიტერატურის საგნობრივი კატალოგი.

1932 წელს დანიშნულ იქნა ჯერ საქართველოს საქ.კ.პ/ბ/ც.კ-ს ცენტრალური პარტიული კაბინეტის ბიბლიოთეკის გამგედ, ხოლო შემდეგ საქართველოს ცაკ.-ის მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგედ, სადაც იმუშავა 1936 წლამდე. აღნიშნული ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი იმ პერიოდში 70 000 ერთეულს შეადგენდა, დ.ნ. მარკვეიჩის ხელმძღვანელობით ჩატარდა პირველი ცდა ჯვარედინი (ლექსიკონური) კატალოგის შექმნისა.

1936 წელს დ.ნ. მარკვეიჩი, როგორც საბიბლიოთეკო საქმის საუკეთესო სპეციალისტი, მიწვეულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნდამენტურ ბიბლიოთეკაში დირექტორის მოადგილედ და სწავლულ მდივნად, სადაც მონაწილეობდა ბიბლიოთეკის რეორგანიზაციის ღონისძიებათა გატარებაში.

დიდი სამამულო ომის დაწყებამდე დ.ნ. მარკვეიჩი ეწეოდა მეთოდური ხასიათის მუშაობას ჯერ კ. მარქსის სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში, ბიბლიოთეკათმცოდნეობის კაბინეტში, ხოლო შემდეგ საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდურ კაბინეტში, ძირითადად სამეცნიერო ბიბლიოთეკების ხაზით.

1941 წლის სექტემბერში დ.ნ. მარკვეიჩი გაწვეულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში. უნდა აღინიშნოს, რომ მარკვეიჩის უფროსი ვაჟი იური დიმიტრის ძე მარკვეიჩი საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში და მამა-შვილს ერთდროულად მოუხდათ ფრონტზე ყოფნა. შვილი უფროსი ლეიტენანტი, ი.დ. მარკვეიჩი გმირულად დაეცა ფრონტზე. იგი დასაფლავებულია პოლონეთის მიწაზე.

1942 წელს დ.ნ. მარკვეიჩის დემობილიზა-


ციტ დაბრუნდა ფრონტიდან და იმავე წლის სექტემბერში კვლავ დაიწყო მუშაობა რესპუბლიკურ მეთოდ-კაბინეტში, სადაც იმუშავა 1953 წლამდე.

1953 წელს იგი კვლავ იწვებს მუშაობას კ. მარქსის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში მეთოდისტად, ხოლო 1958 წლის ოქტომბრიდან იგი გადაყვანილ იქნა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორად, სადაც იმუშავა 1962 წლამდე.

დიმიტრი მარკვეიჩი გარდაიცვალა 1963 წელს, 65 წლის ასაკში.

დიმიტრი მარკვეიჩი 40 წლის მანძილზე მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებდა საბიბლიოთეკო დარგის მუშაკებს. იგი 37-ამდე შრომის ავტორია, როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე; („ბიბლიოთეკათმორისი აბონემენტი საქალაქო, სარაიონო, და სასოფლო ბიბლიოთეკაში“, „პერიოდიკის ფონდები“ და სხვ.) დიდად მარკვეიჩის ღვაწლი საბიბლიოთეკო საქმის გაუმჯობესებაში. დ.ნ. მარკვეიჩი დაჯილდოვებული იყო სხვადასხვა მედლებითა და ორდენებით. მინიჭებული ჰქონდა საპატიო წოდებები. მათ შორის „საქართველოს სსრ საპატიო და დამსახურებული ბიბლიოთეკარისა,“ (1962წ.)

40 წლის მანძილზე დ. მარკვეიჩმა დიდძალი საარქივო მასალა დააგროვა, რომელიც ნათელ სურათს იძლევა საბიბლიოთეკო საქმის განვითარების შესახებ საქართველოში. მან თავის სიცოცხლეში სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის არქივს უფასოდ გადასცა საარქივო მასალები, რომლებშიც ასახულია ბიბლიოთეკების მუშაობის პროცესები. დ.ნ. მარკვეიჩის მდიდარმა საარქივო დოკუმენტებმა დიდად შეუწყო ხელი საბიბლიოთეკო საარქივო ფონდის გამდიდრებას, რომელიც ერთ-ერთ უნიკალურ მასალას წარმოადგენს საქართველოში საბიბლიოთეკო ცხოვრების განვითარების საქმეში.






იუბილე

ივლიტა ერიაშვილი

კლარა რამიშვილი - 80



საქართველოს დამსახურებულ ბიბლიოთეკარს - კლარა რამიშვილს წელს დაბადები-



დან 80 წელი შეუსრულდა. ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც დვაწლმოსილი ქალბატონი თავის საყვარელ საქმეს ემსახურება. შრომით საქმიანობას ის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ეწევა. საქმისადმი უანგარო დამოკიდებულებამ, ერუდიციამ და საუ-

კეთესო პიროვნულმა თვისებებმა ის მალე ბიბლიოთეკაში მოღვაწე ისეთი პროფესიონალი მუშაკების გვერდით დააყენა, როგორებიც იყვნენ: ქნები თ. მაჭავარიანი, თ. დონდუა და სხვები. ბიბლიოთეკის დირექტორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, ბატონმა პავლე კანდელაკმა, კარგად უწყობდა რა კლარა რამიშვილის, როგორც მუშაკის, ყველა დადებითი თვისება, 1967 წელს იგი მხარეთმცოდნეობის განყოფილების გამგედ დააწინაურა, სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა ჩემი ეროვნულ ბიბლიოთეკაში მუშუობის დაწყება. ბატონმა პავლემ, შემოსული განცხადებების საფუძველზე, გამოცდები ჩაატარა და მარტო მე მიმიღო ქართულ საცავში სამუშაოდ და ისიც ხელშეკრულებით. თუ დავიმსახურებდი ამას, შემდეგ ჩამრიცხავდა შტატშიც და დამაწინაურებდა (ასეთი იყო ჩვენი დირექტორის პ. კანდელაკის მეთოდი). ეს ახალბედა თანამშრომელი პირველად შევხვდი ქ-ნ კლარას, მომეწონა მოხდენილი, კეთილშობილი, ცისფერთვალება ქალბატონი და ჩემთვის ვინატრე - ნეტავ მასთან მოვხვდე

განყოფილებაში-მეთქი. ნატვრა მალე ამიხდა, მხარეთმცოდნეობის განყოფილებას ერთი საშტატო ერთეული დაემატა და ქ-ნმა კლარამ მე მომითხოვა. სიხარულისაგან არ ვიცოდი, რა მექნა. მაგრამ ჩემი სიხარული ნაადრევი გამოდგა. დირექტორმა უარი მითხრა - მე საცავების გამგედ გამზადებ და ვერსად გადავიყვანო; ამ უარმა ისე შემაწუხა, რომ ჩვენთან სტუმრად მოსულ ბიძაჩემსაც კი არ დარჩენია შეუმჩნეველი (ბიძა ქართული ენისა და ლიტერატურის მკვლევარი-სპეციალისტი, პროფესორი ამბერკი გაჩეჩილაძე გახლდათ). როცა მიზეზი შეიტყო, დამამშვიდა: ხვალ მე და პავლე ინგოროყვა საჯაროში უნდა შევხვდეთ ერთმანეთს და შენ დირექტორსაც აუცილებლად ვინახულებთო. ერთი კვირის შემდეგ მხარეთმცოდნეობის განყოფილებაში გადმომიყვანეს. ასე დაიწყო ჩემი ქ-ნ კლარასთან თანამშრომლობის მშვენიერი



და ნაყოფიერი წლები. ქ-ნი კლარა რამიშვილი 30 წელი ხელმძღვანელობდა განყოფილებას. პირველ რიგში მინდა აღვნიშნო მისი დამოკიდებულება თითოეული თანამშრომლისადმი. ის იყო და დღესაც არის უანგარო მასწავლებელი, შესანიშნავი პიროვნული თვი-

სებებით დაჯილდოებული, ყველასათვის მისაბადი ქართველი მანდილოსანი. ჩვენ, ქართველოლოგიის განყოფილების თანამშრომლები, და პირადად ამ წერილის ავტორი, თუ ბიბლიოთეკის სრულფასოვან მუშაკებად ჩამოვყალიბდით, ამას უსათუოდ ქ-ნ კლარას უნდა ვუმაძღვოდეთ.

კლარა რამიშვილი შესანიშნავი ბიბლიოგრაფი და რედაქტორია. იგი ღირსეული გამგრძელებელია საქართველოში მეცნიერული ბიბლიოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებლის – ქ-ნ თამარ მაჭავარიანისა, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით გამოიცა „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ 3 ტომი. ქ-ნ კლარას თ. მაჭავარიანთან და თ. დონდუასთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ ტომების შედგენასა და გამოცემაში, რომლებსაც წამძღვარებული აქვს კ. რამიშვილის წინასიტყვაობა. იგი ავტორია მრავალი ბიბლიოგრაფიული საძიებლისა, მის რედაქტორობით გამოცემულია არა ერთი მნიშვნელოვანი ბიბლიოგრაფია. აღსანიშნავია „ქართული საბავშვო ჟურნალების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, რომელიც ქალბატონმა კლარამ ფერიდე კვაჭანტირაძესთან ერთად შეადგინა და გამოსცა. არ შემიძლია არ აღვნიშნო ის საქმიანი ურთიერთობები, რომლებიც მას ისეთ ცნობილ მწერლებთან და მოღვაწეებთან აკავშირებდა, როგორებიც იყვნენ: პ. ინგოროყვა, აკ. შანიძე, ი. გრიშაშვილი, გ. ლეონიძე, ირ. აბაშიძე, გ. და ი. იმედაშვილები, ლ. გოთუა და სხვები. გარდა ამისა, კ. რამიშვილს ხანგრძლივი და საქმიანი ურთიერთობები ჰქონდა საქართველოთი და ქართული კულტურით დაინტერესებულ ქართველოლოგებთან, რომლებიც ხშირად სტუმრობდნენ ქართველოლოგიის განყოფილებას. ესენი იყვნენ: უნგრელი ლაოშ ტარდი, იტალიელი ლუიჯი მაგარუტო, ინგლისელი სტივენ ჯონსი, გერმანელი პ. ფენრიხი და სხვები.

აქვე მინდა გავიხსენო კლარა რამიშვილის დახვეწილი გემოვნებით გაფორმებული თემატური გამოფენები და საღამოები, რომლებიც მნახველთა აღფრთოვანებას იწვევდა.

ქ-ნი კლარა ნაყოფიერად მუშაობდა ბიბლიოთეკის გარეთაც. იგი გახლდათ ნიკო ნიკოლაძის შრომების გამომცემელი სარედაქციო კომისიის წევრი, საქართველოს საარქივო სამ-


მართველოს პირადი არქივების დაცვის სამეცნიერო საბჭოს წევრი, კულტურის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი რესპუბლიკური კურსებისა და საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი, ქართული ენციკლოპედიის სამეცნიერო რედაქციის კონსულტანტ-ბიბლიოგრაფი.

დიდა ქ-ნი კლარას დამსახურება ქართველოლოგიის განყოფილების სათანადო ლიტერატურით შევსებისა და გამდიდრების საქმეში. იგი ავტორია არაერთი იდეისა და წამოწყებისა, ასეთებია: ფოტოებისა და მიძღვნილი ლექსების კატალოგი; მასვე ეკუთვნის იდეა კატალოგში „გარე ქართველების“ სახელწოდებით სპეციალური განყოფილების განთავსების შესახებ, რომელიც მოიცავს ქართველი ემიგრანტების საზღვარგარეთ ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ მასალებს.

ამჟამად ქ-ნი კლარა ჩვეული ენერგიით და პასუხისმგებლობით კვლავ გამოსაცემად ამზადებს „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფის“ მე-7 ტომს, რომელიც ისეთივე დახმარებას გაუწევს მე-20 საუკუნის პრესით დაინტერესებულ ჩვენს მკვლევარებს, როგორც მისი წინამორბედი ტომები. პარალელურად ქ-ნი კლარა მუშაობს ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა გახსნილი ფსევდონიმების შეერთებულ ლექსიკონზე და, ამავედროულად, არის „საჯარო ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიის“ საძიებლის რედაქტორიც.

ქ-ნი კლ. რამიშვილის დამსახურება დაფასებულ იქნა – ის დაჯილდოებულია მრავალი სიგელით, ღირსების ორდენით, მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ საპატიო ბიბლიოთეკარისა და დამსახურებული ბიბლიოთეკარის წოდებები.

აღსანიშნავი და გასახსენებელი ქ-ნ კლარას შესახებ ბევრი მაქვს, რა გამოლევს მათ! მე ხომ მუშაობა მიხდებოდა ისეთ ღირსეულ და პროფესიონალ ადამიანებთან, როგორიც იყო თამარ მაჭავარიანი და როგორიც არის მისი ღირსეული მოწაფე ქ-ნი კლარა რამიშვილი. ვუსურვოთ მას ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლე და მის მიერ წამოწყებული საქმეების კეთილად დასრულება.



ლევან ფრუიძე

ამაგდარი

საჯარო ბიბლიოთეკის მხარეთმცოდნეობის კაბინეტი, სადაც სულკურთხეული თამარ მაჭავარიანი მოღვაწეობდა, სისხლიანი რეპრესიებით დამძიმებულ საბჭოთა პერიოდში ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების აღორძინების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად რჩებოდა. თამართან ერთად ამ კაბინეტში მუშაობდა შესანიშნავი ბიბლიოგრაფი თამარ ღონღუა, ღონღუების გვარის ღირსეული წარმომადგენელი, და უსიტნოესი ქალბატონი ელენე გოგოძე.

ათეიზმის ზეობის ჟამი იდგა. მძინვარე „37“ ახალი ჩამცხრალი გახლდათ. თითო-ოროლა გადარჩენილი ეკლესია ზარს რეკავდა, მაგრამ შესვლას ვერავინ ბედავდა, ხოლო ქრისტიანული რიტუალების აღსრულებას ვინც გაბედავდა, პასუხს სასტიკად აგებინებდნენ, მეტადრე, თუ დამსმენი გამოჩნდებოდა. აი, ასეთი ატმოსფერო სუფევდა XX ს-ის 50-იანი წლების თბილისში. 9 მარტს დაღვრილი უმანკო სისხლი ჯერ კიდევ არ გაციებულყო, ნიკიტა ხრუშჩოვის დიქტატურა, რომელმაც „მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი“ იოსებ სტალინი იმსხვერპლა, მრავალჭირნახულ საქართველოს და ქართველებს კვლავ დევნიდა. ასეთ პირობებში პროფესორმა სერგი მაკალათიამ მეორე კურსის სტუდენტი თამარ მაჭავარიანთან მიიყვანა და ჩემი თავი ჩააბარა. თან უთხრა: ეს ბიჭი არა მარტო იმეცადინებსო, მეცნიერებაც სწყურია და, რაც მთავარია, ჩვენი სულის არისო. იმ დღიდან ჩემი სულიერების, მრწამსის ნავთსაყუდელი, ჩემი ტამარი საჯარო ბიბლიოთეკის მხარეთმცოდნეობის კაბინეტი გახდა. ორივე თამარი და ელენე მშობელ დედასავით მომეპატრონენ, ბიბლიოგრაფიის ანბანი მასწავლეს და მუდმივი, საყვარელი მკითხველის ყველაზე ძვირფასი ჯილდო მომანიჭეს. შეიძლება თამამად ვთქვა: საჯარო ბიბლიოთეკაში გავიზარდე და დავბერდი. აქ მოდიოდნენ პავლე ინგოროყვა, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი,

გიორგი ლეონიძე, სარგის კაკაბაძე და სხვა გამოჩენილი ერისკაცები. ორივე თამარი და ელენე ახალგაზრდებს ქართული აზრის ამ ტიტანებთან წარგვადგენდნენ და გაგვაცნობდნენ, ეს ბევრს ნიშნავდა, შესვენების ჟამს დიდებული მამულიშვილები ჩვენთან საუბრობდნენ და ზოგჯერ ისეთ რამეს გაგვიმხელდნენ, რასაც ვერსად ვერ წავიკითხავდით...

ღროს და ჟამს თავისი მიჰქონდა, მხარეთმცოდნეობის ამაგდარ მანდილოსანთა ეს სამება ასაკში შედიოდა, და აი, 1960 წელს ახალი თანამშრომელი კლარა რამიშვილი გამოჩნდა. არ გაგვხარებია, ვფიქრობდი, ვაი თუ, ის ჰარმონია დაირღვას, რაც უკვე ამ მაღლიან კაბინეტში იყო დამყარებული. მაღლობა ღმერთს, ასე არ მოხდა. კლარამ შექმნილ ვითარებას ალლო სწრაფად აუღო, უფროსი თაობის გარჯა, სათნოება და მკითხველის სიყვარული მთლიანად გაითავისა. მან ღირსეულად შეცვალა თამარ მაჭავარიანი და მისი მეცნიერულ-ბიბლიოგრაფიული მუშაბა თანამედროვე მოთხოვნილებათა ღონეზე გააგრძელა. ფრად სასიამოვნოა, რომ ქალბატონი კლარა დღესაც ახალგაზრდულად შრომობს და მთელ ქვეყანაში აღიარებული თვალსაჩინო ბიბლიოგრაფია.

კლარა რამიშვილის თაოსნობით საჯარო ბიბლიოთეკის მხარეთმცოდნეობის კაბინეტი ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილებად გარდაიხსნა და მსოფლიოში ქართველოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერა გახდა. ქალბატონ კლარას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან, ღირეექციასთან ერთად, კადრებიც ისე შეარჩია, თამარ მაჭავარიანის სკოლას რომ შეეფერება. დღევანდელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებ კლარა რამიშვილს – ღირსეულ მამულიშვილსა და ღრმად განსწავლულ სპეციალისტს.

ღროის უღმობლობას ჩვენმა წინაპრებმა წუთისოფელი უწოდეს. ყველანი წუთისოფლის

სტუმრები ვართ, მაგრამ ვაი მას, ვინც ამ წუთისოფელში მარტოდენ სტუმრად დარჩა, გადაძოვა და წავიდა. ძველქართულ ხელნაწერთა მინაწერებიდან მახსოვს: – „ოსტატის ხელი ლპეს, ნაღვაწი მისი რჩეს“. კლარა რამიშვილის ნაღვაწმა დროს გაუძლო. ახალგაზრდობა არავისთვის უპირატესობა არ არის, ღვაწლმოსილთა ამაგის დაფასება ახალგაზრდობის ჭეშმარიტი, წმინდა ვალია. ამ მხრივ

კლარა რამიშვილი ბედნიერი ქალია, მის ნაღვაწს, უპირველეს ყოვლისა, მისი მოწაფეები აღიარებენ და აფასებენ. თამარ მაჭავარიანის მიერ დაწყებული ქართული ეროვნული ბიბლიოგრაფიის დიდი და რთული გზა, გვწამს წარმატებით გაგრძელდება. ღმერთმა ამ გზის ავანგარდში დიდხანს ამყოფოს ქალბატონი კლარა, მუშა ფუტკარივით მოუღლევი, ამაგდარი მანდილოსანი.



ბრძნული სიტყვის დაუღალავი მაძიებელი (ოთარ ოსაძე- 80)





ის უკვე 80 წლისაა და არც ერთი წუთით არ შეუწყვეტია თავისი საყვარელი საქმე – ებიოს მსოფლიოს მოაზროვნეთა გამონათქვამები მკითხველისა და კითხვის შესახებ.

ოთარ ოსაძე თითქმის 40 წელია ემსახურება საბიბლიოთეკო კადრების მომზადების საქმეს, ასწავლიდა როგორც სპეციალურ საშუალო, ისე უმაღლეს სასწავლებლებში და მუდამ ერთ-ერთ წამყვან სპეციალისტად ითვლებოდა. გარდა იმისა, რომ მაღალ დონეზე ატარებდა ლექცია-სემინარებს, ნაყოფიერად მოღვაწეობდა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სამეცნიერო ასპარეზზე. მისი კვლევის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საძიებო სისტემები – სისტემატური და ამ დარგში პრაქტიკულად მოღვაწეობის ნამდვილი დიდოსტატია, რომელსაც ამჟამად ბადალი არა ჰყავს. ანბანური კატალოგები მას გამოცემული აქვს

მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები და მრავალი სამეცნიერო სტატია, რომლითაც დღესაც სარგებლობენ სტუდენტები და პრაქტიკოსი მუშაკები. იგი არა ერთი საყურადღებო პუბლიცისტური სტატიის ავტორია და ამ მიმართულებით დღესაც ინტენსიურად განაგრძობს მუშაობას.

ოთარ ოსაძეს ერთი მეტად მნიშვნელოვანი გატაცებაც აქვს: დიდი ხანია თავს უყრის ბრძნულ გამოთქმებს წიგნის, კითხვისა და ბიბლიოთეკის შესახებ, ამასთან დაკავშირებით მას თავისი შეხედულებები აქვს ჩამოყალიბებული; დაკვირვების საფუძველზე მან საინტერესო სტატია წარმოგიდგინა, რომელსაც დღეს ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ; ამასთან, ვულოცავთ მას მე-9 ათეულში გადადგომას, ვუსურვებთ კიდევ ასეთი შემართებით ემოღვაწეოს თავის საყვარელ დარგში, ყოველგვარ ადამიანურ სიხარულსა და ბედნიერებას ვუსურვებთ!



ოთარ ოსაძე

მსოფლიოს დიდი მოაზროვნენი მკითხველისა და კითხვის შესახებ

(შემოკლებული ვარიანტი)

ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იან წლებში, იმ მიზნით, რომ აღერიცხათ და სისტემაში მოეყვანათ მსოფლიოში არსებული ლიტერატურა – ხელნაწერი თუ ნაბეჭდი პროდუქცია, ბელგიაში (ქ. ბრიუსელი), შეიქმნა ბიბლიოგრაფიის საერთაშორისო ინსტიტუტი



იმ დროისათვის ცნობილი ბელგიელი ბიბლიოგრაფების პოლ ოტლესა და ანრი ლაფონტენის ინიციატივით. ინსტიტუტმა უდიდესი მუშაობა გასწია მიზნის მისაღწევად, მაგრამ ამ იდეის განხორციელება შეუძლებელი აღმოჩნდა. რა საკვირველია, დღეისათვის, როცა ბეჭდური პროდუქცია იმ დროსთან შედარებით ათასჯერ გაიზარდა და ამასთანავე ინფორმაციის შენახვის სხვა მრავალი ახალი საშუალებანიც გაჩნდა, მთელი მსოფლიოს სამეცნიერო ლოკუმენტების ერთად თავმოყრა მხოლოდ ფანტაზიად შეიძლება ჩაითვალოს.

აურაცხელ მასაში ორიენტირება და პოზიტიურის გამოჩენვა უმძიმესი საქმეა. აქედან გამომდინარე, იბადება კითხვა: რა და როგორ ვიკითხოთ, როგორ გავარჩიოთ ერთმანეთისაგან კარგი და ცუდი, წაკითხვამდე როგორ გავიგოთ ეს? ამის თაობაზე მსოფლიოს დიდ მოაზროვნეთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა და, ხშირ შემთხვევაში, ისინი სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრებებს გვთავაზობენ.

დიდი რუსი მეცნიერი ს. ი. ვავილოვი, რომელიც ყოფილ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას ხანგრძლივი დროის განმავლობაში ედგა სათავეში, ამბობდა: „აუცილებელია ყველა ზომა მივიღოთ, რათა კაცობრიობას თავიდან ავაცილოთ ცუდი, არასაჭირო წიგნების კითხვა“. უფრო ადრე, უვარგისი და უშინაარსო წიგნების კითხვის შესახებ ცნობილი რუსი მოღვაწე-განმანათლებელი ნ. ჩერნიშევსკი

წერდა: „თუ შეიძლება უშინაარსო ადამიანებზე გაიცინო, მაშინ, ალბათ, უშინაარსო წიგნებზეც შეიძლება გაიცინო. თუ შეიძლება ითქვას, უშინაარსოდ არ შეიძლება ილაპარაკო და არც უნდა მოუსმინო უშინაარსო ლაპარაკსო, მაშინ, ალბათ, ისიც შეიძლება ითქვას: არ ღირს უშინაარსო წიგნების წერა და კითხვა. დიდი რუსი მწერლის, ლ. ტოლსტოის აზრით, „ნივთიერ და გონებრივ შხამთა შორის ის განსხვავებაა, რომ ნივთიერ შხამთა უმეტესობა გემოთი საქაგელია, გონებრივი შხამი კი... ცუდი წიგნების სახით, საუბედუროდ, ხშირად მიმზიდველია“.

ფრანგი მწერალი და განმანათლებელი ჟან ჟაკ რუსო, რომლის პედაგოგიური ნააზრევი სწავლა-აღზრდის შესახებ საყოველთაოდაა ცნობილი, ამბობდა: „ვერ წარმომიდგენია, რა სარგებელი უნდა მოიტანოს წიგნმა, უკეთუ იგი კეთილი საქმის ჩასადენად არ მოუწოდებს მკითხველს“.

გერმანელი ჰენრიხ ვილდინგი უფრო მკაცრად სჯის ცუდი წიგნის როლს ადამიანის „გაფუჭების“ საქმეში: „ცუდი წიგნებსაც ისევე შეუძლიათ ადამიანის გაფუჭება, როგორც ცუდი ამხანაგებს“. ფრანგი ლექსიკოგრაფის პიერ ბუასტის აზრით, „უამრავ სისულელეთა შორის, რომელსაც ჩვენ ჩვენი პატივმოყვარეობა გვაკეთებინებს, ყველაზე მნიშვნელოვანი, თუმცა ყველაზე ნაკლებად შემჩნეული, ცუდი წიგნებია ხოლმე“. აქვე უნდა მოვიყვანოთ მ. ნორდაუს გამონათქვამი ხალხთა მასებზე წიგნების შემოქმედების შესახებ: „წიგნები და ხელოვნების ნაწარმოებები ძლიერ მოქმედებენ მასებზე. იქიდან იძენს ესა თუ ის ეპოქა თავის ეთიკურ და ესთეტიკურ იდეალებს, როდესაც წიგნები განუსჯელი და ანტისაზოგადოებრივია, ისინი თავგზას უბნევენ მთელ თაობას და ამახინჯებენ მის მსოფლმხედველობას“.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებულ ღვაწლმოსილ ადამიანებს ასეთი მკაცრი განა-

ჩენი გამოაქვთ ე.წ. „ცუდი“ წიგნების მიმართ, ასევე დიდ მოაზროვნეთა შორის არიან ისინიც, რომლებიც ასეთი წიგნების, შეიძლება ითქვას, „დამცველებად“ გვევლინებიან, მიაჩნიათ რა, რომ ყველა წიგნი, როგორც არ უნდა იყოს, მაინც კარგ საქმეს აკეთებს. მათ შორის არიან დიდი მწერლები და ფილოსოფოსები: გოეთე, სერვანტესი, გორკი და სხვ.. გოეთეს აზრით, არ არსებობს ისეთი წიგნი, რომლისგანაც კაცს არ შეეძლოს არ დაისწავლოს რაიმე კარგი“. სერვანტესის თქმით, „არ არსებობს ისეთი ცუდი წიგნი, რომელშიაც არ გამოიძებნებოდეს რაიმე ჭკუის სასწავლებელი“. თავის საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ამავე აზრს იზიარებს მ. გორკი: „ცუდი წიგნები ურიცხვი რაოდენობით წავიკითხე, მაგრამ ისინიც სასარგებლონი იყვნენ ჩემთვის. ცხოვრებაში ცუდიც კარგად უნდა იცოდეს. გამოცდილება, რაც უფრო მრავალმხრივია, მით უფრო ფართო ხდება მისი მხედველობის არე“. სხვათა შორის, ეს აზრი გაცხადებულია უძველესი რომაელი სწავლულისა და მოღვაწის პლინიუსის მიერ, რომელიც წერდა: „არც ერთი წიგნი არ არის ისე ცუდი, რომ რამენაირად არ გამოგადგეს“.

მსოფლიოს დიდი ადამიანების სენტენციების ფონზე შეუძლებელია არ გაგინდეს საკუთარი მოსაზრებანი ამის თაობაზე. რა საკვირველია, წიგნთა ამ უდიდეს ოკეანეში შეუძლებელია არ იყოს კარგი და ცუდი წიგნები, ისევე, როგორც კეთილნი და ბოროტი ადამიანები. მაგრამ მთავარი ეს კი არ არის, არამედ ის, თუ რა შედეგს იძლევა მათი კითხვა, რა ზეგავლენას ახდენენ ისინი როგორც ცალკეულ პიროვნებაზე, ისე საზოგადოებაზე მთლიანად.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი როლი შეასრულა და ასრულებს „ბიბლია“, რომლის იდეებმა ხელი შეუწყო მძლავრი რწმენის ჩამოყალიბებას. მეორე მხრივ, სავსებით საპირისპირო რწმენის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი ეს ე.წ. „მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების“ ამსახველმა უამრავმა ბეჭდურმა პროდუქციამ. თითქმის მთლიანად ამოძირკვა ქრისტიანული სარწმუნოება და ღმერთის რწმენა შეურყია ადამიანებს. ჰიტლერის ცნობილმა წიგნმა ფაშიზმის აღზევებას შეუწყო ხელი, რამაც დიდი უბედურება გამოიწვია ქვეყნად.


ერთმა პატარა წიგნმა კი, რომელსაც ქართველებმა ძეგლი დაუდგეს – იაკობ გოგებაშვილის „დედა ენამ“ მთელი კეთილი სამყარო შექმნა ქართველებისათვის. აი, რა თქვა დიდმა გალაკტიონმა მის შესახებ: „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ სახელმძღვანელოები კი არა, უდიდესი პოემებია. მე თანახმა ვიქნები გამოვიდეს ახლა ეს წიგნები არა როგორც სახელმძღვანელო, არამედ საკითხავ წიგნად“. გამოჩენილმა ქართველმა პოეტმა შოთა ნიშნიანიძემ წიგნი ასე შეამკო:

„იდილე წიგნო, იდილე,
ქართული წიგნის ლაზათო,
ღმერთი თუ არა, ღმერთკაცი
იქნებ კვლავ ბევრი გაზარდო“.

ყოველივე ეს იმიტომ მოვიტანე, რომ წარმოემჩინა ის უხილავი ძალა, რაც გააჩნია წიგნს – ქვეყნის აშენება თუ გადაშენება, ხალხთა შორის შუღლისა და მტრობის ჩამოგდება თუ სიყვარულისა და მეგობრობის განმტკიცება, ბოროტი თესლის დათესვა თუ სიკეთისა და სათნოების გაღვივება.

რადგანაც ასეთ ზეგავლენას ახდენს წიგნები პიროვნებასა თუ საზოგადოებაზე, ბუნებრივად, იბადება კითხვა: – მიზანშეწონილია თუ არა ყოველგვარი წიგნების კითხვა? ასეთ შეკითხვაზე პასუხის გაცემა მოკლედაც შეიძლება და ვრცლადაც. ჯერ ერთი, გასარკვევია საკითხი, თუ რას მივიჩნევთ დადებითად და რას უარყოფითად. ჩვენი აზრით, მიუღებელია წიგნი, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში მიღებულ მორალურ-ეთიკურ ნორმებსა და კანონებს, გაჟღენთილია ეროვნული სიძულვილით, შურითა და მტრობით, ბოროტებით. წაიკითხონ თუ არა ასეთი წიგნები ადამიანებმა, ხალხმა, საზოგადოებამ? თუ დავწვათ და გავანადგუროთ ისინი?

მომსწრე ვარ იმ ბარბაროსული ქმედებისა, როცა საქართველოს ბიბლიოთეკებიდან იღებდნენ და ანადგურებდნენ წიგნებს მხოლოდ იმიტომ, რომ მათში სადღაც ნახსენები იყო იმ დროს ხალხის მტრად გამოცხადებული ლავრენტი ბერია. 1953 წელს რამდენიმე თვით ამჟამინდელი პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნთსაცავში დამსვენეს (მაშინ მეთოდ – განყოფილებაში ვმუშაობდი) და დამავალეს, მკითხველებზე გასაცემი ყველა წიგნი „გამეზნრიკა“, რომ სადმე ბერიას სახსენებელი არ ყოფილიყო. იმ პერიოდში მრავალ წიგნში ბერია მხოლოდ სტამბის სახელწოდებაში იყო მოხსენებუ-



ლი – ასეთ შემთხვევაში მხოლოდ სახელწოდების პირველი ნახევრის გადაშლა მევალებოდა, ხოლო თუ რომელიმე წიგნში მისი ციტატა, სურათი ან მიძღვნილი ლექსი შემხვდებოდა. ასეთი წიგნები, საერთოდ, უნდა განადგურებულიყო. ჩემი მოვალეობა მხოლოდ „ოპერატიული კონტროლი“ იყო, რაც მხოლოდ წიგნების მკითხველებზე გაცემას კრძალავდა, ხოლო მათი ფონდებიდან ამოღება და განადგურება „მთავლიტის“, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (სამინისტროს) ლიტერატურის მთავარი სამმართველოს მიერ დამტკიცებული სიების საფუძველზე ხდებოდა. იმ ავადმოსაგონარ წლებში მრავალი წიგნი განადგურდა, მაგრამ დღემდე მახსოვს და არც დამავიწყდება ისეთი ძვირფასი წიგნების განადგურება, როგორიც იყო უმაღლესი პოლიგრაფიული დონით შესრულებული ალბომი „საბჭოთა საქართველო“, ეს ალბომი დაწვეს მხოლოდ იმისათვის, რომ მას წინ ბერიას სურათი უძღოდა და ილისტრაციებში ალაგ-ალაგ ბერიას სახე ჩანდა.

1996 წელს გამოვიდა რუსულიდან თარგმნილი „საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის სქემა“, რომლის არც ერთი ეგზემპლარი შემდგომში ბიბლიოთეკებში არ დაგზავნილა და მთელი ტირაჟი განადგურდა მხოლოდ იმის გამო, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის განყოფილებაში ინდექსით 3K3 წარმოდგენილი იყო სტალინი (იმ წელს პარტიის მე-20 ყრილობამ გამოაცხადა სტალინის პიროვნების კულტი).

ისტორიას მრავალი ფაქტი ახსოვს, როცა წიგნები ამა თუ იმ ეპოქაში გამეფებულ იდეოლოგიას ეწირებოდნენ. ვინ მოთვლის, რამდენი წიგნი და მისი ავტორი შეეწირა ინკვიზიციას, გერმანულ ფაშიზმს, მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას. ჩვენი სასიქადულო „ვეფხისტყაოსანიც“ ერთ დროს კანონგარეშე ყოფილა გამოცხადებული, ფაშისტები წვაკდნენ გოეთესა და ბაირონის წიგნებს, ქართველი კომუნისტები – მიხეილ ჯავახიშვილის, ტიცინან ტაბიძის, პაოლო იაშვილის ნაწარმოებებს. იყო დრო, როცა ილია ჭავჭავაძის წიგნებსაც ელოდა განადგურება და უფრო მოგვიანებით ვაჟა-ფშაველასაც უპირებდნენ საფლავიდან ამოღებას.

თავის დროზე ისტორია ყველას თავის ადგილს მიუჩენს ხოლმე, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ იდეოლოგიურ ბრძოლას იმ დროისათვის მავნე წიგნად მიჩნეული ბევრი საუკეთესო წიგნი ეწირებოდა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ არ შეიძლება

წიგნი საერთოდ უკუგდებულ იყოს. აქ მთავარი ისაა, თუ ვინ კითხულობს, რატომ კითხულობს და რა დასკვნები გამოაქვს წაკითხულიდან.

ერთი სიტყვით, წინასწარ განსაზღვრა იმისა, კარგია თუ ცუდი წიგნი, ძალიან ძნელია, ამიტომაც მნიშვნელოვანია სხვადასხვა აზრთა გაგება, როცა შენთვის წიგნს ირჩევ. ამ შემთხვევაში კვალიფიციურ დახმარებას, რეკომენდაციას, რჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა ამ შემთხვევაშიც საკუთარი შეხედულების გამოუმუშავება ყოველთვის აუცილებელია, გადაწყვეტილება ბოლოს თვით მკითხველმა უნდა გამოიტანოს.

თუ რა ვიკითხოთ, ეს კითხვის ერთი მხარეა, მაგრამ თუ როგორ ვიკითხოთ, ეს კიდევ მეორე. ამ მეორე საკითხზე მეტად მნიშვნელოვანი მოსაზრებანი გააჩნიათ წიგნიერ ადამიანებს. კ. უშინსკი ამბობს: „წაკითხვით, ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს: რა იკითხო და როგორ გაიგო წაკითხული – აი, რა არის მთავარი... წიგნი, რომელსაც რამდენადმე განვითარებული ადამიანისათვის ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ბუნებას და ცხოვრების გამოცდილებას, მუნჯდება არა მარტო მათთვის, ვისაც კითხვა არ შეუძლია, არამედ მათთვისაც, ვინც მექანიკურად წაკითხავს და ვერ შესძლებს მკვდარი ასოებიდან ცოცხალი აზრის ამოკითხვას“. ვ. სუხომილნისკის აზრით, „ცუდად კითხვა ჭუჭყიან მინას ჰგავს, ვერაფერს დაინახავ“.

დღევანდელი ადამიანისათვის რამდენადმე შეიცვალა კითხვის წეს-ჩვეულებანი. კონსტანტინე გამსახურდია ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს: „თუ ანტიკური და შუა საუკუნეების ადამიანები ექნალტურ განწყობილებისას ხმამაღლა კითხულობდნენ ლექსებს ნადიმებისას და ქორწილების დროს, მოედნებზე ამღერებდნენ მესაკრავენი ფანდურებს, ჩვენი თანამედროვე მოქალაქე ჯაფაგადახდილი, მოცალეობის ჟამს უხმოდ კითხულობს წიგნს ვაგონში, მეტროში, ძილის წინ საკმაროდ ენერგია გაცლილი და მოქანცული“. მართლაც, და წიგნისა კითხვა ავტობუსში, ტროლეიბუსში, მეტროში ხომ ზედაპირული კითხვაა. წიგნის კითხვამ უნდა გაგიტაცოს, ხშირად დაგაფიქროს კიდევ და ეს კი ასეთ დროს ხომ შეუძლებელია.

წიგნი თავდავიწყებით, გატაცებით უნდა იკითხო. ინგლისელი ფილოსოფოსი ტორო წერდა: „ნამდვილი კითხვა – ესე იგი თავდა-



ვიწყებული კითხვა ჭეშმარიტად კარგი წიგნებისა – კეთილშობილური საქმიანობაა, რაც ადამიანებისაგან უფრო მეტ ძალას მოითხოვს, ვიდრე ჩვენი ყოველდღიურობის სხვა ნებისმიერი საქმიანობა. ის მოითხოვს წვრთნას, რასაც ათლეტები მისდევენ, მთელი სიცოცხლე მიზნის მისაღწევად რომ გადაუღიათ. წიგნები ისეთივე განსჯით და გულდასმით უნდა წაიკითხოთ, როგორც იწერება”. საყურადღებოა ინგლისელი ფილოსოფოსის ფრენსის ბეკონის რჩევა: „იკითხე არა იმისათვის, რომ უარყო ან უკუაგლო, არა იმისთვის, რომ ირწმუნო და შეეჭვებად გაიზიარო; არა იმისთვის, რომ საუბრისა და ენამჭევრობის უნარი შეიძინო; არამედ რათა აწონ-დაწონო და განსაჯო. ზოგი წიგნი უნდა დაიგემოვნო, სხვები ჩაყლაპო, და ზოგი დაღეჭო და მოინელო; ანუ ზოგი წიგნი მხოლოდ ზერელედ უნდა წაიკითხო; სხვები წაიკითხო, მაგრამ არა ცნობისმოყვარეობით; და რამდენიმე კი თავიდან ბოლომდე უნდა წაიკითხო და თანაც ბეჯითად და ყურადღებით”. ჟან ჟაკ რუსო კი გვირჩევს: „ვიკითხოთ ცოტა, მაგრამ ბევრი ვიფიქროთ წაკითხულზე”. მარკ ავრელიუსი კითხვის საკუთარ მეთოდს გვიზიარებს და ამბობს: „გვცდილობ ღრმად ჩაეწვდე ყველაფერს, რასაც ვკითხულობ და არ ვკმაყოფილდები თვალის მარტოოდენ ზერელედ გადავლებით”. რუსი მწერალი კონსტანტინე ფედინი წერდა: „წიგნის გადათვალთვალება და გადაფურცვლა კითხვა როდია. ისე უნდა კითხულობდე, თითქოს ადამიანის აღსარებას ისმენდე. წიგნს უნდა ჩაუღრმავდე. მაშინ იგი თვით გადაგიშლის გულს და შენ ჩაწვდები მის მშვენიერებას”.

განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენი სულიერი მოძღვრის იოანე ოქროპირის შეგონება: „მოვიგდებდეთ წიგნთა და ამოვიკითხავდეთ გულისხმით-ყოფით, არა ფიცხისა ზედა ქვისათა, არამედ ფიცხისა ზედა გულისა ჩვენისათა და ვიწერდეთ და აღსრულებად საქმითცა სურვილ ვიყვხეთ და აღუხორციელად გონებითა შინა ჩვენთა შთავწერნეთ ძალნი და სიტყვანი წიგნთანი... იკითხავდეთ წიგნთა გულისხმით-ყოფითა და სხვათაცა ასწავლიდეთ, რათა ძრწობელი სასყიდელი მოილოთ ღვთისა მიერ.”

წიგნი ისე უნდა ვიკითხოთ, რომ წაკითხულიდან რაღაც გავიგოთ და იგი ჩვენს პრაქტიკულ საქმიანობაში, ცხოვრებაში გამოვიყენოთ. დიდი რუსი მწიგნობარ-ბიბლიოგრაფი ნ. რუბაკინი დასცინის მათ, ვისაც რამდენიმე წიგნი წაუკითხავს და თავი მხოლოდ ამით მოაქვს: „ვაი მას, ვისაც ერთი-ორი პატარა წიგნი წა-

უკითხავს და ჰგონია, რომ გაიგო და ჩასწვდა საქმის არსს და ჰფიქრობს, რომ კმარა. ზერელე ადამიანებს უნდა მივაკუთვნოთ ის ადამიანებიც, რომლებსაც თვითგანვითარების საქმე დაჰყავთ წიგნის კითხვასა და მისი შინაარსის შეთვისებამდე და მას ცხოვრებას არ უფარდებენ”.

აღმოსავლელმა დიდმა პოეტმა საადიმ იგივე აზრი ასე გამოხატა:

„წიგნს რად კითხულობ, თუ იქნება ეს მოუხმარი,

თუნდ იყო დიდად განსწავლული, ხარ უმეცარი. როგორ გახდება მართლმსაჯული განათლებული, თუა ოთხფეხი ზურგზე წიგნებაკიდებული; არ გაეგება თავ-უტვინოს, რა აქვს სათრევი, მისი საპალნე შეშაა თუ ვაჭრის დავთრები”.

წაკითხული რომ კარგად გავიგოთ და იგი შემდეგ ცხოვრებაში გამოვიყენოთ, კარგია წაკითხულის შესახებ ჩანაწერების წარმოება. თუ ლუციუს სენეკას დავუჯერებთ, მაშინ უნდა ვირწმუნოთ, რომ „თუ რამეს წაიკითხავ, წაკითხულიდან მთავარი აზრი შეითვისე. მეც ასე ვიქცევი, იქიდან რასაც წავიკითხავ, უსათუოდ რამეს ჩავინიშნავ” და „რასაც კითხვის დროს წიგნიდან ამოვიწერთ, იგი იქცევა ჩვენს სისხლად და ხორცად”. ამასვე გვირჩევს ემილ გაფი: „თუ ცოდნის მიღებისათვის ვკითხულობთ, ნელა უნდა ვიკითხოთ, ჩავიწეროთ ყველაფერი, რაც მასში უცნობი შეგვხვდება”. ურიგო არ იქნება ჩვენი თანამედროვის, სასიქადულო მეცნიერის ვუკოლ ბერიძის გამოცდილებაც გავიზიაროთ: „სკოლის წლებიდანვე გამომყვა მეთოდურობა და სისტემატურობის სიყვარული, ალბათ ამით აიხსნება, რომ ვადგენდი ჩემი ბიბლიოთეკის კატალოგს და ვიწერდი შთაბეჭდილებებს წაკითხული წიგნების შესახებ” და კიდევ: „ჩვეულებად მქონდა წაკითხული წიგნების შესახებ მოკლე შთაბეჭდილებების ჩაწერა, ჩემი ბიბლიოთეკის ანბანური კატალოგიც შევადგინე”.

ძნელია თავი მოუყარო ყველაფერს, რაც წიგნისა და კითხვის შესახებ თქმულა, შეუძლებელია შეიძუშო რეკომენდაციები, რა და როგორ იკითხო, ბევრი რამ ითქვა ამის შესახებ, რასაც უმეტესად პიროვნული და ინდივიდუალური ელფერი აზის, მაგრამ ერთი საერთო და უტყუარი: ადამიანის დამოკიდებულება წიგნთან, მის მიმართ გრძნობების გამოხატვა ყოველთვის იყო ამდლებული და ემოციური.

წიგნი-უკთიარტოზის კათილი მოსიქული

(მოგონება)

ამ წიგნთან დაკავშირებით ერთი ამბავი მინდა გაამბოთ. ეს იყო გაცილებით ადრე, ვიდრე „დათა თუთაშხიას“ ეკრანიზება მოხდებოდა და ყოფილ საკავშირო არენაზე გავიდოდა. ლენინგრადიდან მატარებლით მოსკოვში ვბრუნდებოდი. რაღაც შემთხვევის გამო ისეთ ვაგონში აღმოვჩნდი, რომელიც ბავშვებით იყო სავსე. როგორც შემდეგ შევიტყვე, ისინი ქ. პოდოლსკის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეები ლენინგრადში ექსკურსიაზე იმყოფებოდნენ და მაღალი შთაბეჭდილებებით აღსავსენი უკან ბრუნდებოდნენ. ალბათ იმის გამო, რომ მათ შორის უცხო მხოლოდ მე ვიყავი, მოსწავლეთა ერთი ჯგუფი ჩემი პიროვნებით დაინტერესდა და მკითხეს, თუ ვინ ვიყავი და საიდან. მეც დიდი სიამაყით ვუპასუხე, რომ ქართველი ვარ-მეთქი, თბილისიდან. მაშინვე ვიგრძენი, რომ მათ დიდად არ ეჭაშნიკათ. მალე ეს ამბავი, რომ მათთან ერთად ვიღაც უცხო ქართველი იმყოფებოდა, მათი მასწავლებლებისა და ხელმძღვანელების ჩათვლით, მთელმა ვაგონმა იცოდა. ისიც ნათლად დავინახე, რომ ფარულად მითვალთვალებდნენ და ხან კი ერთგვარი შიშით მიყურებდნენ, განსაკუთრებით ისინი (ორი გოგონა და ერთი ბიჭი), რომლებიც ჩემს კუპეში იყვნენ. დილით, როცა უკვე მატარებელი მოსკოვს უახლოვდებოდა, ჩემთან მყოფი ბავშვები, თუმცა უძილობის კვალი ემჩნეოდათ, გამოცოცხლდნენ და გამხიარულდნენ. ერთმა გოგონამ პირდაპირ მითხრა: იცით, მთელი ღამე მეშინოდა, სამივენი ხანჯლით არ დაგეხოცეთო. ჩემ შეკითხვაზე – ეს რამ გაფიქრებინათ მეთქი, მიპასუხა: ასე გამიგონია, ქართველები ყველგან ხანჯლებით დადიან და ვინც არ მოეწონებათ, ხანჯალს გაუყრიან და კლავენო. ძნელი იყო მათთვის რაიმე ამეხსნა, რადგან ვხედავდი, რომ მათში ისე ღრმად იყო ჩაბეჭდილი ეს ბოროტი აზრი ქართველების შესახებ, რომ მისი აღმოფხვრა მათი გონებიდან შეუძ-

ლებელი იყო, მით უმეტეს, როცა მატარებელი უკვე მოსკოვში შედიოდა. მე მხოლოდ ისღა მოვასწარი, რომ მათი ვინაობა და სკოლის მისამართი ჩავიწერე და მაშინვე გადავწყვიტე მათი შეხედულება ქართველების მიმართ წიგნის ზეგავლენით გამექარწყლებინა.

თბილისში დაბრუნებისთანავე პირველი წიგნი, რომელიც მათ გავუგზავნე, ჭაბუა ამირეჯიბის რუსულად ნათარგმნი „დათა თუთაშხია“ იყო. აქვე უნდა დავძინო. რომ მე მაინც და მაინც დიდი იმედი არ მქონდა, რომ თხოვნაზე – წიგნის წაკითხვის შემთხვევაში თავიანთი შთაბეჭდილება მოეწერათ, პასუხს შემატყობინებდნენ, ვიფიქრე, მე ჩემსას მაინც გავაკეთებ-მეთქი. გავიდა რამდენიმე თვე და პოდოლსკიდან პირველი წერილი მივიღე, რომელსაც მალე მოყვა მეორე, მესამე და წერილების მთელი დასტა. გაცემული ვიყავი იმით, თუ როგორი გატაცებით კითხულობდნენ ამ წიგნს, არჩევდნენ დათა თუთაშხიასა და მუშნი ზარანდიას კეთილშობილურ თვისებებს, ქართველი ხალხის ხასიათს, საქართველოს ბუნებას... სწორედ ის გოგონა, რომელიც მაშინ ასე შეშინებული გამოიყურებოდა, მწერდა... „წიგნის წაკითხვაზე ახლარიგი გვაქვს დაწესებული“. ამის შემდეგ მე ქართველი ავტორების კიდევ რამდენიმე წიგნი წავიკითხე და ამჟამად „ლალიონს“ ვკითხულობო“. ცხადია, ამ ბოლო ცნობამ უფრო გამაოცა, რადგანაც ვიცი, „ლალიონი“ ბევრ ჩვენ თანამემამულესაც კი არ აქვს წაკითხული. ამის შემდეგ ჩემს შორეულ ნაცნობ გოგონას ქართველ ავტორთა რუსულად თარგმნილი მრავალი წიგნი გავუგზავნე და მისგან სამადლობელ წერილებსაც ვღებულობდი. გავიდა დრო და პოდოლსკიდან კვლავ მორიგი წერილი მივიღე, რითაც ეს გოგონა მატყობინებდა, საშუალო სკოლა დავამთავრე და ვთხოვდებიო. წერილს თან ახლდა მოსაწ-



ვევი ბარათი ქორწილში მიპატიჟებაზე. ამ მოვლენის აღსანიშნავად მათ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ გაუფუგზავნე, შემკული გუდიაშვილის, თოიძის, ზიჩის და ქობულაძის ილუსტრაციებით. მოკლე ხანში მივიღე ახალშეუღლებულთა წერილი თხოვნით – მათი საქორწინო მოგზაურობა საქართველოში მომეწყო. მათ მცხეთის ტურბაზაში თითქმის ერთი თვე იცხოვრეს და, ჩართული იყვნენ რა ტურბაზის მიერ დაგეგმილ ტურისტულ მარშრუტებში, მათ საქართველოს მრავალი კუთხე მონახულეს; სამი წლის შემდეგ ისინი უკვე პატარა ბიჭით ხელდამშვენებულნი ჩამოვიდნენ, რომელსაც ისინი მცხეთაში ყოფნის აღსანიშნავად „მცხეთელ

საშკას“ ეძახდნენ, ახლა ჩაქვის ტურბაზაში დაბინავდნენ. მას შემდეგ დრომ სწრაფად გაირბინა და უკანასკნელ წლებში მოვლენები ისე განვითარდა, რომ მიმოსვლისა და დასვენებისათვის ვიღაც ეცალა. საქართველოსა და ქართველ ხალხზე შეყვარებული პოდოლსკელი ერთი ახალგაზრდა ოჯახი ჩემთან გამოგზავნილ წერილებში სიამოვნებით იხსენებენ აქ გატარებულ დროს, საქართველოს განუმეორებელი ბუნების სილამაზეს და ქართველი ხალხის უანგარო სტუმართმოყვარეობას. ყოველივე კი მათთვის, უპირველეს ყოვლისა, წიგნების გაცნობით დაიწყო და შემდეგ კი უშუალო ხილვით დაგვირგვინდა.


რეცენზიები

გიორგი ეკიზაშვილი

მიშელ უელბეკის „ბრძოლის ველის განპოვება“

(2006 წ. ქართულად გამოცემასთან დაკავშირებით)

მიშელ უელბეკი, რომლის ნამდვილი გვარია ტომა, დაიბადა 1958 წლის 26 თებერვალს რეუნიონის კუნძულზე. მამა მთასვლელთა მეგზური იყო, დედა – ექიმი-ანესთეზიოლოგი. მალე მშობლებმა გული აიყარეს ვაჟიშვილზე და მასზე ზრუნვა ბებიას გადააბარეს. მოგვიანებით მიშელი სწორედ ბებიის გვარს ირჩევს სალიტერატურო ფსევდონიმად. მომავალმა მწერალმა 7 წელი დაჰყო მოსამზადებელ ლიცეუმში და უნივერსიტეტის მოსამზადებელი კურსიც გაიარა. 1980 წელს ინჟინერ-აგრონომის დიპლომს იღებს და იმავე წელს ქორწინდება. აქედან იწყება უმუშევრობისა და სიღარიბის ხანა. 1981 წელს, ვაჟიშვილის დაბადებიდან ცოტა ხნის შემდეგ, მიშელი ცოლს შორდება და ღრმა დეპრესიაში მყოფი, ფსიქიატრიულ კლინიკის ხშირი სტუმარი ხდება, ბევრს სვამს და ნარკოტიკსაც არ ერიდება. მისი სამწერლო კარიერა ოცი წლის ასაკში იწყება, როცა იგი უახლოვდება პარიზის პოეტურ წრეებს. 1985 წელს იგი ხვდება მიშელ ბიუტორს, ერთ-ერთი ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორს, მის პირველ გამომცემელს. 1991 წელს გამოდის მისი ლექსების პირველი კრებული. რამდენიმე თვით ადრე იგი ხელმეორედ დაქორწინდა. 1994 წელს „ბრძოლის ველის განპოვება“ მწერალს საერთაშორისო აღიარებას მოუხვეჭს. უელბეკი ლიტერატურულ ჟურნალებში თანამშრომლობს. 1999 წელს კინორეჟისორ ფილიპ არელს ეკრანზე გადააქვს უელბეკის პირველი რომანი.



მიშელ უელბეკი ტრისტან ტცარას, „ფლორის“, ახალგაზრდა ტალანტების და „ნოემბრის“ პრემიების ლაურეატა.

საუკუნის დასასრული... მკაცრი ჟამი, მკაცრი მწერლობა. მკაცრი, მაგრამ არა სასტიკი. ასპარეზზე ახალი თაობა გამოდის. პირველ ნაწარმოებებს, მისი აზრით, თანამედროვე საზოგადოების პირუთვნელ ასლს, როგორც გამოწვევას, სთავაზობს ბევრის მხილველ მკითხველს და მისგან გაგებასა და თანამშრომლობას ითხოვს. ახალგაზრდა მწერლებისთვის შემოქმედება ფარიცაა და მახვილიც. ფარი, რათა თავი დაიცვან საუკუნის ნიჰილიზმით გაჟღენთილი ფილისტერისაგან, რომელსაც გუშინაც და დღესაც ლიტერატურა ამაო გართობად მიუჩნევია, და მახვილი, რათა კიდევ ერთი მწარე სიტყვა გადაჰკრან სამყაროს, რომელშიც არსებობა უხდებათ, როგორც შემოქმედთ და პიროვნებებს. მაგრამ ამ მკაცრი საფარის ქვეშ ფეთქავს ჭმუნვამოცული ყმაწვილური ვნება და ჟინი მწერლისა, რომელსაც ჩვენზე უფრო მახვილი თვალი აღმოაჩნდა და ჩვენზე უფრო ფაქიზი სმენა...

და ჩვენ მოწმენი ვხდებით მიშელ უელბეკის პირველი რომანის გმირის ტანჯვის გზებზე ხეტიალისა, გვესმის ახალგაზრდა კაცის „შინაგანი მონოლოგი“, ვხედავთ უცნაურ შესტებს და ალოგიკურ ქმედებებს, „მშვიდი ნავსაყუდლის“ ძიების მცდელობას, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ცივი ბეტონით ნაგებ კედლებს ეხლება და კიდევ ერთ წაგებულ ბრძოლად იქცევა. მანქანებითა და ნივთებით შემოსაზღვრულ სამყაროში სულ უფრო და უფრო ვიწროვდება ადამიანური ვნებებისა და გრძნობების „განვრცობის არე“. ბავშვობის ხანა გავიდა და მოვიდა ხანა საკუთარი არჩევანის გაკეთებისა. და ახალი ცხოვრების ზღურბლზე მდგარი ახალგაზრდა კაცი გრძნობს, რომ მის წინ ბრძოლისა და ტანჯვის დიდი ველი გადაიშალა, ნაღმებით სავსე, სანგრებით დასერილი და ამ ველზე გადადგმული ყოველი ნაბიჯი განსაკუთრებულ ძალისხმევას ითხოვს ცხოვრების სიმძიმით იმთავითვე დაოსებული ადამიანისაგან. სადღაც, კომპიუტერთან თავწახრილი ადამიანები ინფორმატიკის ღმერთს ემსახურებიან და რაც უფრო ჯიუტად უცქერენ მოციმციმე ეკრანს, მით უფრო ძალუ-

მად ხვდებიან, რას ნიშნავს კარგა ხნის წინათ გამჭრიახი მოაზროვნის მიერ გადმოსროლილი კაემნის მომგვრელი ცნება – გაუცხოება. ამაზრზენ სანახობად ქცეული, შიშველ სექსამდე დასული სიყვარულიც ერთმანეთს აშორებს ადამიანებს და საკუთარ ქიმერებთან მარტო ტოვებს. ასეთ ვითარებაში, გაუსაძლის მდგომარეობაში „ჩაგდებული“ და „მიტოვებული“ ადამიანისათვის ფსიქიატრიული საავადმყოფო იქცევა მშვიდ ნავსაყუდლად, ერთადერთ მსმენელად კი – ექიმი-ფსიქიატრი, რომლისთვისაც საკუთარ წუხილზე მოსაუბრე ადამიანი ერთი რიგითი, ექსპერიმენტული ცხოველის დონეზე დაყვანილი პაციენტია. მაგრამ ცხოვრება მაინც გრძელდება და ხვალ ისევ ბრძოლა, კიდევ ერთი, შეიძლება იმთავითვე განწირული, მაგრამ აუცილებელი მცდელობა, კიდევ ერთი ნაბიჯი აღმართში მიმავალ გზაზე. პატარა ნაბიჯი, რომელიც ხშირად თვით ხდება გამარჯვების ტოლფასი. ყოველ ცდას თან ახლავს ე.წ. „სალი გონების“ მარადიული ქირქილი: „კი, მაგრამ რისთვის?“ და ჯიუტი მოგზაურის ერთადერთი შესაძლებელი პასუხი: „იმისათვის, რომ რაღაც აზრი და მნიშვნელობა შევძინო ჩემს ქმედებებს, ჩემს ფიქრს, ჩემს არსებობას“.

ალბერ კამიუ თავისი რომანის „უცხო“ გმირის შესახებ წერდა: „მერსო არის ქრისტე, რომელსაც ჩვენი საუკუნე იმსახურებს“. მართლაც, ის რომ ჩვენი საუკუნე კამიუსა და უელბეკის პერსონაჟების მსგავს ადამიანებს იმსახურებს, ეჭვს გარეშეა, რამეთუ თვით დრომ და საზოგადოებამ იღვაწა იმისათვის, რომ სწორედ ასეთი პიროვნებები იქცნენ საკუთარი ზნეობის გამომხატველად. ახლა უკვე მკითხველის საქმეა, რა განაჩენს გამოუტანს იგი ასეთ უცნაურ და ესოდენ საცნაურ მოყვასს. უელბეკის რომანის პათოსიც ეს უნდა იყოს – თანაგრძნობა, გაგება და შენდობა „უჟამობის ჟამის“ საშინელებებით დაღლილი ახალგაზრდა კაცი-სა, რომელიც ცხოვრების რომელიღაც მოსახვევში წინა თაობებისგან გაკვალულ გზას აცდა და ახალი გზის ძიებაში ბილიკებზე იწყობ ხეტიალი. ავადმყოფო სული სხეულსაც ასწეულებს და ნიცმეს „არსებობის ტვირთის უხეში სიმძიმე“ ერთბაშად საცნაური და აშკარა ხდება. უბედურების თავი და თავი კი ის არის,


რომ გაქრა „ათვლის წერტილი“. ძველი საყრდენებიც წაიშალა. დარჩა გზა, დაკლაკნილი, ძნელად სავალი, მაგრამ მაინც გასავლელი, გზა, რომელსაც ბოლო არ უჩანს და თუკი ის მაინც სადმე მთავრდება და სადმე არის „მშვიდი სავანე“, მკითხველს შთაბეჭდილება ექმნება, რომ უელბეკის გმირი გზის ბოლომდე გავლას ვერ შესძლებს. შეიძლება იმიტომაც, რომ არ აქვს ამის სურვილი. ბოლოს და ბოლოს, პოპ-მუსიკით, ყალბი სიტყვებით, ცრუ გრძნობებით და სექსით მოყირკებულ ადამიანს გზიდან გადასვლა, ბალახებზე წამოწოლა და მადლა, თავზემთ ნელა მოსრიალე ღრუბლების ხილვაც წამიერ შვებას ანიჭებს და სიცოცხლის სისავსის ილუზიას წამით მაინც უქმნის. ჩვენ ცხოვრების შუაწელს მიტანებულს ვტოვებთ რომანის გმირს. „უსიერ ტევრში“ (დანტე) გზა-აბნეულს და გვესმის, რომ რომანი „კითხვების დასმის“ ჟამს დაიწერა, და რომ „პასუხების გაცემის“ დრო ვერ არ დამდგარა. და თუკი მაინც გვსურს მყისვე ვიპოვოთ უელბეკის რომანის „ზნეობრივი გაკვეთილი“, მაშინ იქნებ ჯობდეს, ჩაუფიქრდეთ სახარების სიტყვებს, რომლებიც ავტორმა წიგნს წაუძღვარა და „ავისხათ საჭურველი ღვთისა“, რამეთუ ცხოვრება ბრძოლაა და ყოველდღიური ძალისხმევა. იგი იმთავითვე წაგებულია, მაგრამ ბრძოლის მოგების იმედი ხომ მაინც რჩება?!

ერთ-ერთ ინტერვიუში უელბეკი ამბობს: „მე მანიაკალურ-დებრესიულ ადამიანთა რიცხვს მივკუთვნები. თითოეულ თვალში მხედველობა +10 მაქვს, ასე რომ, მერწმუნეთ, ყოველივეს ნათლად ვჭვრეტ“. ვფიქრობთ, ტრაგიკულის განცდას, რომელიც უელბეკის პირველი რომანის ფონია, ავტორის მხედველობის ნაკლით ვერ ავხსნით. იგი, როგორც „ჭია ხილის გულში“ (ე.პ. სარტრი), იმ სამყაროს წიაღში ძევს, რომელშიც ცხოვრება და ბრძოლა

გვიხდებოდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის მომსწრეთ, დაბოლოს, ისევე უელბეკს მოვუსმინოთ: „ყოველ საზოგადოებას აქვს თავისი სუსტი წერტილები, სხეულის ის ნაწილები, სადაც წინააღმდეგობა იკლებს და ჭრილობასთან შეხება კიდევ უფრო მტკივნეულია. დაადეთ თითი ნაჭრილობებს და ძალუმაღ დააწექით! ილაპარაკეთ იმაზე, რაზეც არაინ საუბრობს. წარმოაჩინეთ საგანთა და მოვლენათა სარჩული, განსაკუთრებული სიცხადით გამოკვეთეთ სწეულება, სულთაბრძოლა, სიმახინჯე, ილაპარაკეთ სიკვდილზე და დავიწყებაზე, შურზე, გულგრილობაზე, იმედის გაცრუებაზე, სიყვარულის უკმარისობაზე. იყავით ამაზრზენი და იქნებით მართალი... მე კიდევ ბევრი რამ დამრჩა სათქმელი“.

მიშელ უელბეკმა, მთამსვლელთა ლექსიკონს თუ დავესესხებით, პირველივე ცდაზე „მაღალი კატეგორიის“ მწვერვალი დალაშქრა. მეორე ცდაც წარმატებული გამოდგა, თუმცა საერთო ტონალობა ნაწარმოებისა კიდევ უფრო მუქი და კუშტი ხდება. უელბეკის პირველი რომანების კითხვისას ადვილად მიხვდებით, რომ მწერალს მართლაც რჩება სათქმელი, რომ იგი ახალი სიმაღლისკენ მიმავალი გზის ძიებაშია და რომ თვითვე სურს მისი შემოქმედების „ნეგატიური ფაზის“ დაძლევა. მსგავსი მცდელობის უამრავი მაგალითი ახსოვს ლიტერატურის ისტორიას – როდესაც „ერთის ჰორიზონტიდან ყველა ჰორიზონტზე“ (პოლ ელუარი) გადასვლა ხდება და ღრუბლიან ცაზე ნათელი არე ჩნდება. უელბეკი ნათელმჭვრეტი მწერალია, შემოქმედი, რომელმაც იცის, რა თქვას და როგორ თქვას, რათა მკითხველი მის პერსონაჟების, შეიძლება საკუთარი ორეულების აზრსა და განცდას აზიაროს, გვერდით ამოიყენოს, რათა შეერთებული მცდელობით ორთავემ შეძლოს საკუთარი დემონების „სულის სამყოფელიდან“ გამოღვევა.






ბიოგრაფიკრაფიის სერიას შეემატა



საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ 2006 წელს გამოსცა ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მოსე ჯანაშვილის ბიოგრაფია. აღნიშნული სერიის გამოცემას საქართველოში მდიდარი ტრადიცია აქვს. მ. ჯანაშვილის ბიოგრაფია მოიცავს 1877-2006 წწ. გამოქვეყნებულ მასალებს. მ. ჯანაშვილის ავტორობითა და მის შესახებ გამოქვეყნებული მასალები ნაშრომში სისტემატიზებულია ქრონოლოგიურ-ანბანური პრინციპით. ნაშრომის შედგენისას გამოყენებულია ქართული ბიბლიოგრაფიული წყაროები: ანალიტიკური ბიბლიოგრაფიები, მათიანები, აგრეთვე მ. ჯანაშვილის მიერ შედგენილი „ჩემი ნაწერების“ ნუსხა, რომელიც 1956 წელს გამოქვეყნდა. სამუშაო პროცესში შემდგენლებმა (ე. იმნაძე, ჟ. ქვათაძე) დააზუსტეს ცალკეული წყაროების ბიბლიოგრაფიული მონაცემები, გაიხსნა ფსევდონიმები. თითოეული წლის შიგნით მასალის განლაგებაში დაცულია ასეთი ბიბლი-

ოგრაფიული ნაშრომისათვის მიღებული წესი: ჯერ განლაგებულია წიგნების აღწერილობები, შემდეგ სტატიები, დაცულია ენობრივი პრინციპი.

ბიბლიოგრაფია საკმაოდ ვრცელი მოცულობისაა. იგი შეიცავს ათასზე მეტ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერს, დაერთვის მოსე ჯანაშვილის ძირითადი ნაშრომების მაჩვენებელი და სახელთა საძიებელი. ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილებამ ამ ნაშრომის გამოქვეყნებით საჭირო და აუცილებელი კვლევა ჩაატარა მ. ჯანაშვილის მრავალმხრივი შემოქმედების სრულყოფილად წარმოჩენისათვის.



რეგისუ




დავით გიგინეიშვილი

მუსიკა, კინო

მოცარტი 2006-წულსბერგის სამუშაოს ფესტივალი

მოცარტის დაბადების 250 წლისთავი ზალცბურგში
(ნაწილი II)




სალამოს კონცერტზე წარმოდგენა მოცარტის 25-ე სიმფონიით დაიწყო (K.183). ღვაწლმოსილი ფილიპე ჰერევეგე ელისეის მინდვრების ორკესტრთან ერთად აძლევდა დიდ პროგრამას მოცარტის ნაწარმოებებიდან. ეს სევიანი პირველი ნაწილი ეფექტურად არის გამოყენებული ნეველ მერინერის მიერ გახმაურებულ ფილმ

„ამადეუსში“. მთელი სიმფონია მიუხედავად მოცარტეული სისხარტისა განმსჭვალულია სევდით, ჰერევეგეს განსხვავებული აქცენტები ჰქონდა – ორკესტრის ოდნავი მოდუნება და შემდგომ ერთ მუშტად შეკვრა – მაგრამ ეს მისი ოსტატობის ნაკლი კი არა, არამედ გათვლილი საშემსრულებლო მანერა იყო. მე-

MOZART

2006 250. GEBURTSTAG



სამე ნაწილში ეფექტურად გამოიყო სასულე ინსტრუმენტები – ჰობოი და ტრომბონი, სიმფონია მძლავრი ალევროთი დასრულდა. მოცარტეუმის კოხტა დარბაზს 35-კაციანი ორკესტრი სრულად ავსებდა. მძლავრი მუსიკით მსმენელი ისე დაიშურებდა, რომ დარბაზში თანდათანობით ჩამოცხა. მოცარტის ცნობილი მე-3 (K.216) სავიოლინო კონცერტის შესრულების დროს შემსრულებლების დაძაბულობა და განცდებიც გამოვლინდა. ქრისტინან ტეტცლაფმა თავდაპირველად სიტყვიერი გამოსვლით დააპირა დარბაზის რელაქსირება. მაგრამ მისი განცდები შესრულებისას ადვილად გადაედო პუბლიკას, რომელიც სრულ ეგზალტაციამდე მივიდა. ეს მევიოლინე სხვა დროს, სხვაგან მომისმენია და არ ველოდი, თუ იგი მოახერხებდა სავიოლინო კონცერტის მეორე ნაწილიდან დომინირებას ჰერევეგეს მძლავრ ორკესტრზე. მან შესძლო რომანტიკულ სტილში მოცარტის მუსიკის გადმოცემა. შემსრულებელი მთლიანად ჩაერთო მუსიკაში, მხოლოდ კადენციები იყო ძალზე ხანმოკლე და უბრალო. რონდოში (K.373) ტეტცლაფის ვიოლინო დომინირებდა – და ნაზი მელოდური სრიალის ნაცვლად იგი ენერგიულად უძღვებოდა ორკესტრს, თით-

ქოს პირველი და ერთადერთი ვიოლინო ყოფილიყო, რამაც უცნაური და სასიამოვნო ეფექტი გამოიღო. დარბაზი დიდი ოვაციებით შეხვდა მას. შესვენებაზე იგი დარბაზში ჩემს ახლოს, მსმენელების გვერდით დაჯდა. მოკლე საუბარი გაემართე მასთან – რეალობაში იგი პატარა და ბიჭური იერის მამაკაცი აღმოჩნდა. მეორე ნაწილში ჰერევეგემ „იუპიტერ“ სიმფონია შეასრულა. ეს იყო ერთიანი გრიგალი, რაც ბეთჰოვენის მანერას გვაგონებდა. ღირიფორი არც ფორტეებს და არც კრემენდოებს ერიდებოდა, იმავდროულად აქა-იქ გამოყოფდა სასულე ინსტრუმენტებს, ჰორნსა და ჰობოებს. ორკესტრანტები სხვანაირად იყო განლაგებული, ვიდრე წინა სპექტაკლების დროს. ორივე მხარეს სრულად იყო წარმოდგენილი სიმებიანი და მარცხნივ კონტრაბასები. ორკესტრს ეტყობოდა ღირიფორთან ხანგრძლივი ურთიერთობა, ერევეგე სრულად მართავდა ამ ურთულესი მუსიკალური ნაწარმოების შესრულებას. სიმფონიის ბოლო ნაწილი – მოლტო ალევრო – დიდი ექსპრესიითა და სიმძლავრით შესრულდა, მსგავსი ცოცხალი შესრულება არასოდეს მსმენია. დარბაზი მუსიკას უკვე ვერ იტევდა. გარკვეული შეუმჩნეველი ჰაუზების მეშვეობით ჰერევეგემ თავისი ხელწერა დატოვა ამ ნაწარმოების გადმოცემისას. რჩებოდა აშთაბეჭდილება, რომ ორკესტრანტები სადაცაა დაუსხლტებოდნენ ღირიფორის მკაცრ ნებას, მაგრამ ოდნავ მოგვიანებით ხელმძღვანელი ისევ კრავდა ილუზორულ თავისუფლებას მიცემულ ორკესტრანტებს და ყველაფერი ერთიან კალაპოტში ჯდებოდა. დაუვიწყარი საღამო და დაუვიწყარი შესრულება იყო.



არ მეგონა, რომ ჰერევეგეს მიერ წარმოდგენილ მოცარტის აბობოქრებული მუსიკით მიღებულ შთაბეჭდილებას კიდევ რაიმე დაემატებოდა. ასეთი ეჭვებით გავეშურე კვირის წარმოდგენაზე, სადაც პოლ მაკკრიშს თავის ორკესტრთან – „Abrieli players” უნდა წარმოედგინა მოცარტის მუსიკა. ჰერევეგეს ორკესტრისაგან განსხვავებით მაკკრიშის ორკესტრი სულ ახალგაზრდებით იყო დაკომპლექტებული, პირველი ვიოლინოც ახალგაზრდა ქალბატონი გახლდათ. ჩემს თვალწინ უჩვეულო სანახაობა გადაიშალა - მთელი ორკესტრი ფეხზე იდგა და დირიჟორი საერთოდ არ სარგებლობდა ნოტებით. 29 სიმფონიის (K.201) ოდნავ ფაქიზი დასაწყისის შემდეგ სწრაფადვე დაეტყო ორკესტრს ხელმძღვანელის ხელწერა. ნაზად, ლაღად და ძალზე ზუსტად მიედინებოდა მუსიკა. ორკესტრი, რომელიც ამ ნაწილში მხოლოდ 25 წევრისაგან შედგებოდა, იყო ტრადიციულად განლაგებული, ისე როგორც კუბმანს ჰქონდა. მეორე ნაწილი შესრულდა ფაქიზად და ზედმიწევნით პლასტიურად – ამიტომაც თვით დირიჟორიც, მკაცრ სურთუკში გამოწყობილი (იაკობსის ტანისამოსის მსგავსად), სულ მოძრაობდა და თანაც ისე ჰაეროვნად რომ მისი მოძრაობები ნამდვილ ცეკვას ჰგავდა. ეს არ იყო ჰერევეგეს ფილოსოფია, ეს იყო ლირიკა. აქაც, როგორც წინამორბედებმა, მაკკრიშმა გვერდი არ აუარა სასულე ინსტრუმენტებს და ჰორნს საბოლოო სიტყვის უფლება მიანიჭა. მესამე და მეოთხე ნაწილები ასევე ღიდი ექსპრესიით, თუმცა სავსებით კამერულად და რბილად შესრულდა – ჰორნს, რომელსაც ახალგაზრდა, წითური, ოდნავ ტანსრული გოგონა ასრულებდა, ღიდი ჯაფა დაადგა. შემდეგი ნაწარმოები - საფორტეპიანო კონცერტი ორი პიანინოსათვის (K.365), დებმა ლაბეკებმა შეასრულეს. თანამედროვე ლამაზ სურთუკებში გამოწყობილი ახალგაზრდები დიდ ვიზუალურ ეფექტს ახდენდნენ. ცელქ და ანც პირველ დას (კატინას) უპირისპირდებოდა მეტად დინჯი და დაფიქრებული მეორე და (მარიელა) – ასეთი ხასიათობრივი ცვლილებები ინტერპრეტაციაშიც გამოვლინდა და მათ ჩაცმულობაშიც. ისინი დაუვიწყარ სანახაობას ქმნიდნენ, როდესაც კონცერტის პირველ ნაწილში პიანოფორტეზე

ერთმანეთს უბავდენ მელოდიას. მომეწონა ის, რომ ერთ-ერთი მათგანი ღიღინებდა მელოდიას (სხვათა შორის, მუსიკაზე ღიღინით აყოლა ერთხელ იაკობსაც შევნიშნე). ეფექტური გარეგნობა, ულამაზესი რომანტიული მუსიკა და ბრწყინვალე თანმხლები ორკესტრი ასეთ პლასტიურ დირიჟორთან ერთად – და აპლოდისმენტებიც მოპოვებული იყო. წარმოდგენის მეორე ნაწილში შესრულდა მოცარტის 39-ე სიმფონია (K.543). აქ უკვე ორკესტრი შეივსო 30 კაცამდე. ცოცხლად და ამავედროულად ნარნარით წაიყვანა ორკესტრი მაკკრიშმა და მიუხედავად დამატებული 2 ტრომპეტისა ორკესტრს არ ეტყობოდა სიმძიმე და გადამეტებული ფორტისიმოები. მკაფიოდ დომინირებდნენ ვიოლინოები, როგორც სხვა სპექტაკლების დროს, ძველებური ჰობოი უცნაურ და სასიამოვნო ჟღერადობას გამოსცემდა. მესამე ცნობილ ნაწილში (მენუეტი) კი მენუეტი გადაიქცა ნამდვილ ზეიმად – მაკკრიშმა მზად იყო დარბაზთან ერთად ეცეკვა. სასულოები მკაფიოდ გამოყოფილი და უბადლო აკუსტიკის გამო იდეალურად ისმოდა. ბოლო დამავირგვინებელი ნაწილი ისეთი თავბრუდამხვევი სისწრაფით წაიყვანა, რომ ეჭვიც კი შემეპარა ორკესტრანტების გამძლეობაში. მაგრამ სრული ინგლისური პედანტიზმითა და პუნქტუალობით დაასრულეს მუსიკა, რომელიც დავირგვინდა დოლის მძლავრი დარტყმებით. ამ ნაზად და შთამბეჭდავად დადგმულმა მუსიკალურმა ფერმა მოაჯადოვა მაყურებელი – ურიცხვი აპლოდისმენტი მოიმკო ორკესტრმა. მაკკრიშს ხშირად მოუწია გამოსვლა სცენაზე, რასაც იგი ცეკვა-ცეკვით ახერხებდა. მაგრამ ბისზე ნაწარმოები არ შესრულდა. ორკესტრანტებმა მალე დატოვეს დარბაზი და უკვე გასვლისას, ავტობუსში გასამგზავრებლად მომზადებულებს მოვკარი თვალი. ამ შუადღის წარმოდგენისას დარბაზში ჩემს სიახლოეს მჯდომი ნაცნობი სახე დავინახე – ეს ის მამაკაცი იყო, რომელიც აგრეთვე, პრესის ბილეთით იაკობსის წარმოდგენაზე ჩემს გვერდით იჯდა. გამოველაპარაკე – იტალიელი მუსიკათმცოდნე ბატონი კარლო პიხტერი აღმოჩნდა. იგი ვერ მალავდა აღფრთოვანებას იაკობსის, ჰერევეგესა და მაკკრიშის სამივე სპექტაკლის მიმართ:



20 წელია მუსიკალურ სპექტაკლებს ვესწრები და ასეთი დონე ჯერ არ შემხვედრიაო. გაგუზიარეთ შთაბეჭდილებები ერთმანეთს მოცარტის შემსრულებლებზე და საერთოდ ოპერაზე, იგი ვერონაში მოღვაწეობდა და სასტიკად შეძრწუნებული იყო ვერონის არენაზე დადგმული საოპერო სპექტაკლების დაბალი დონით. მეც აღვნიშნე რომ ბაროკო მუსიკის შესრულებას ოქროს ხანა დაუდგა, მაშინ, როდესაც XIX საუკუნის იტალიური ოპერის შესრულების ხარისხი თანდათან ეცემა. მან ასევე მიაბო, თუ როგორ მოუთმენლად ელის პატრის შეროს და დანიელ ჰარდინგის ერთობლივი შემოქმედებით წარმოდგენილ მოცარტის „Cosi fan tutte“-ს ვენის საოპერო თეატრში. ამ სპექტაკლმა უკვე მოიპოვა დიდი წარმატება საფრანგეთის საოპერო სცენაზე, მასში მონაწილეობს საოპერო სცენის ამოძაველი ვარსკვლავი ელენა გარანკა. დასრულდა ბოლო წარმოდგენა, რომელსაც მე დავესწარი, მსმენელებს კი იმ საღამოს ფესტივალის დიდ დარბაზში კიდევ ელოდა აივორ ბოლტონის ინტერპრეტაციით ჰენდელის მესია. ბოლოს აღვნიშნავდი, რომ ყველა შემსრულებელი წარმოდგენდა ბაროკო მუსიკის ინტერპრეტატორთა გრანდებს, რაც უშუალო

წარმოდგენებმა სრულად დაამტკიცეს. აქ საუბარი მხოლოდ შემსრულებელთა ინდივიდუალურ მიდგომებზე შეიძლება. რაც ფესტივალის დროს მკაფიოდ გამოვლინდა – ეს იყო სიმებიანის გადამეტებული აქცენტების ხმარება და სასულეების (ჰორნები და ტრომპეტები) აქტიური გამოყენება. აკუსტიკურად ძველებური ინსტრუმენტებიანი ორკესტრები მოცარტეუმის დარბაზში ჟღერდა მეტად შთამბეჭდავად, ვიდრე უახლეს ტექნოლოგიურ ჩანაწერებში (ვგულისხმობ შ ჩ -ს). მეორე, რაც აღნიშვნის ღირსია, არის ამ პატარა ქალაქში, ზალცბურგში ჩატარებული კონცერტების არნახულად მაღალი დონე. ფესტივალში ჩართული იყო მსოფლიოში აღიარებული მეტრები – რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს ფესტივალის უმაღლეს დონეზე და მისი ორგანიზატორების დიდ უნარსა და შესაძლებლობებზე. ფესტივალი დამთავრდა, მაგრამ მსმენელებში და კერძოდ, ჩემში დარჩა ამ დღეების განუმეორებელი შტაბეჭდილებები. მკვეთრად ვიგრძენი, თუ რამდენად მოკლებული ვართ ჩვენ ბაროკო მუსიკის და მაღალი რანგის შემსრულებელთა ცოცხალ მოსმენას უშუალოდ სცენიდან.

იური მგალობლიშვილი

კინოფილმები ფრანკოფონიის კვირით

(ინფორმაციული მიმოხილვა)



როგორც ცნობილია, თბილისში სისტემატურად ტარდება ფრანკოფონიის (ფრანგულენოვანი სახელმწიფოების) კულტურისა და ხელოვნების ერთთვიური, რაც უკვე ტრადიციად არის ქცეული.

ორგანიზატორები არიან საქართველოში საფრანგეთის საელჩო და ალ. დიუმას ფრანგული კულტურის ცენტრი თბილისში, ბ-ნ ფრანსუა ლორანის ხელმძღვანელობით. გამონაკლისს არც გასული წელი წარმოადგენდა. ფრანგული კულტურის დღეებში განსაკუთრებული ყურადღება კინოფილმებმა მიიქცია, რომლებსაც თბილისის კინოს სახლში აჩვენებდნენ დევიზით – „ქალბატონებო, მე თქვენ მიყვარხართ!“ წარმოდგენილი გახლდათ 12 წლის განმავლო-

ბაში გადაღებული 8 მხატვრული ფილმი. პრიორიტეტი მინიჭებული ჰქონდა ფრანგ კინოვარსკვლავ ქალებს (მარი ტრენტინიანი, ჟულიეტ ბინოში, იზაბელ იუპერი, ნატალი ბეი, კარინ დენევა, სანდრინ ბონერი, იზოლდა ლე ბესკო, დომინიკა ბლანსმაფრანგი).

8 ფილმიდან 2 კლოდ შაბროლს ეკუთვნის – მსოფლიოში ცნობილ რეჟისორს; მან თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობა კინოკრიტიკოსობით დაიწყო, რამაც მას დაუხვეწა სოციალურ ყოფაზე ანალიტიკური აზროვნება და სამყაროზე დედუქციური შეხედულება გაუმძაფრა. სწორედ ამის დასტურია მის მიერ ჩვენებაზე წარმოდგენილი ფილმები. ადამიანთა რა მანკიერებას არ ეხება იგი: სიცრუე, ორპორობა, ღალატი, სიხარბე, სიავე, შურიანობა, პატივმოყვარეობა, ამპარტავნობა... რეჟისორისათვის ფაბულა მეორადია, ძირითადი ადამიანი და მისი სულიერი ძვრებია. სწორედ ამ ესთეტიკითაა გადაწყვეტილი მისი ფილმები „ცერემონია“ და „სიცრუის შუაგულში“. მათში ლოგიკური ფინალი თითქოს ამბობს: „მაყურებელმა თავად განსაჯოს ყოველივე“.

მომხიბლავი მატყუარა აღმოჩნდა მარი კრენტინიანის პერსონაჟი რეჟისორ პიერ სალვადორის ფილმში „როგორც სუნთქავს“, სადაც საოცარი დამაჯერებლობითაა მოცემული მთავარი გმირის ქცევები და იმიჯის ხშირი ცვალებადობა, რაც თვითდამკვიდრებისა და არა მარტო ამისთვის არის გამიზნული.

ფრანგულ კინოხელოვნებას მილიონობით ადამიანი ეთაყვანება და ეს არა მარტო იმიტომ, რომ მასში რეალურადაა ასახული ცხოვრება, არამედ ადამიანური გრძნობების, ფსიქოლოგიზმის უტყუარობის გამო, უპირველეს ყოვლისა, სიყვარულის განცდის წარმოჩენით. ასეთია ნატალი ბეისა და მისი პარტნიორების კინო პორტრეტები ფილმში „მშვენიერი ვენერა“ (რეჟისორი ტონი მარშალი). მოქმედება ვითარდება პარიზის „სილამაზის სალონში.“ ფილმი მომხიბლავია არა მარტო თავისი კომედიურ-მელოდრამული ფაბულით, არამედ სწორედ იმით, რომ სალონში მოსული ადამიანები, თავის საქმესთან ერთად, ღებულობენ რაღაც სულიერ საზრდოს, სიმშვიდეს, გულახდილად საუბრობენ ერთმანეთში და იმედის მომცემ

თანაზიარობას განიცდიან, ეს სამივე სპეციალისტს, რომლებიც სალონში მუშაობენ, სჭირდებათ თუნდაც იმიტომ, რომ მათი მოუგვარებელი პირადი ცხოვრება მოითხოვს ამას.

რეჟისორ ნიკოლ გარსიას ფილმი „ვანდომის მოედანი“ ძირითადად სოციალურ თემატიკას ეხება, რაც ავადმყოფურ ალკოჰოლურ მდგომარეობის გამოხატვასთანაა შერწყმული. მთავარი პერსონაჟის ალკოჰოლიზმიც ერთგვარი სარკეა, რომელშიც არც თუ სასურველი იმიჯით, და მაინც მომხიბვლელი ჩანს სხვა ადამიანური თვისებები თანამედროვე ქალისა, რომელიც უნდა დაგვანახოს ავტორმა მთელი თავისი წახნაგებით, თუნდაც არასახარბიელო რაკურსითაც.

ბურჟუაზიის ერთი ფენის წამიერი ფრაგმენტია მოცემული ყოველგვარი გადამეტებული პათეტიკის გარეშე რეჟისორ მიქაელ პანეკის ფილმში „უცნობი კოდი“, რომელიც ორი სრულიად განსხვავებული ადამიანის ცხოვრების უეცარ გადაკვეთაზე მოგვითხრობს, შემთხვევითი აყალ-მაყალის საქმის გარჩევის დროს მოსარჩლე პარიზელი ზანგი ბიჭი უპირისპირდება მოპასუხეს. საბაბი გახდება დამოკიდებულება არალეგალი ემიგრანტისადმი, რომელიც პარიზში მათხოვრობით ირჩენს თავს.


საინტერესო იყო თავისი ფაბულით, შინაგანი არქიტექტონიკით რეჟისორ ბენუა ჟაკოს ფილმი „დროებით“, რომელშიც მოთხრობილია ქალისა და არაბი ემიგრანტის ურთიერთობის ამბავი. ქალს შეუყვარდა ვაჟი და იმდენად, რომ ბანკის გაძარცვაშიც მასთან ერთადაც კი ღებულობს მონაწილეობას. რეჟისორი ცდილობს, არ გახვიოს სიუჟეტი დედუქტივის საბურველში, თუმცა უამრავი დრამატული სიტუაცია იძლევა ამის საბაბს.

განსხვავებულად დგას ინგლისური ტრანსკრიფციით წარმოდგენილი ფილმი „Stand By“, რომელიც რეჟისორმა როკ სტეფანიკმა გადაიღო. მოქმედება ვითარდება პარიზის ერთ-ერთ აეროპორტში. ქალს მიატოვებს ქმარი, რომელიც არგენტინაში გაფრინდა. ქალი სასოწარკვეთილებამია, თითქმის სიგიჟის ზღვარზეა მისული. ბევრი რამ გადაიტანა, გონების დაკარგვაც, შემდეგ თითქოს ფეხზე დგება, მაგრამ ჰაეროპორტის მეძავად გადაიქცა. საგულისხმოა აქ უზადო სამსახიობო გარდასახვებითა და რეჟისორული მიგნებებით შესრულებული კადრები.

ფრანგულმა კინოჟურნალმა დაგვანახა, რომ ალექსანდრე ბუალაის მქადაგებლად და რეალისტური მიმართებით კინოხელოვნება კვლავ რჩება ჰუმანისტურ იდეოლოგიის დამცველად.

რედაქციისაგან: წინამდებარე ინფორმაციული მიმოხილვა ერთგვარად დაგვიანებულია, მაგრამ მიზანი – საზოგადოების ყურადღება მივაპყროთ მოწინავე კინოხელოვნებისადმი – მუდმივად აქტუალურია. ათასგვარ მდარეხარისხოვან კინოპროდუქციის მოჭარბის პირობებში ძნელია მოვიძიოთ ამაღლებული ხელოვნების ნიმუშები. დღეს ბევრი ბიბლიოთეკა ცდილობს თავისი ფონდი ვიზუალური საშუალებებითაც დააკომპლექტოს. ამიტომაც მათთვის მნიშვნელოვანია, ყურადღება გაამახვილონ ამ სახის დოკუმენტების შეჩვენებაზე, რისთვისაც საქმიანი კონტაქტები უნდა იქონიონ პროფესიონალ სპეციალისტებთან.

ქრონიკა



საქართველოს საბიბლიოთეკო სსოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები



* 30 აპრილს საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიხსნა საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული. გახსნას ესწრებოდნენ უნივერსალური სამეცნიერო ბიბლიოთეკების პასუხისმგებელი მუშაკები, მასმე-

დიის წარმომადგენლები. აღინიშნა, რომ კვირეულის პროგრამით უკვე ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურობდნენ თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკები. რაიონებში ჩატარებული კვირეულების შესახებ ინფორმაციას ჩვენ

ჟურნალის მომდევნო ნომრებში დაგვებუდავთ.
* 7-13 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში სტუმრად იმყოფებოდნენ უკრაინის და ლიტვის საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტთა ჯგუფი. სამუშაო შეხვედრებზე სტუმრებმა და მასპინძლებმა ერთიმეორეს გაუზიარეს თავიანთი მოსაზრებები, შეხედულებები და გამოცდილება საბიბლიოთეკო მუშაობის აქტუალურ საკითხებზე.

* 21-23 მაისს ქ. ერევანში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ელექტრონული რესურსები სასწავლო პროცესში“. ძირითადი თემა დაყოფილი იყო სამ საკითხად:







არსებული ელექტრონული რესურსები, ტექნოლოგიების განვითარება და სწავლების მეთოდიკა. კონფერენცია წარმომადგენლობითი ხასიათისა იყო: მონაწილეობდნენ ინგლისის, გერმანიის, უკრაინის, ტაჯიკეთის და სხვ. ქვეყნების სპეციალისტები. ამ პრობლემების შესახებ საქართველოში დამსწრეთ ვრცელი ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

* 13 ივნისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ამ ბიბლიოთეკასთან მოქმედი საკოორდინაციო და სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის, აგრეთვე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების წარმომადგენლები. მოისმინეს ინფორმაციები საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარებულ ატესტაციასა და კონკურსის შედეგების შესახებ, ამ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა მეცნიერების, კულტურისა

და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორმა ემზარ ჯგერენაიამ; კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ექსპერტმა ნინო მეიფარნაძემ დამსწრეთ გააცნო საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკებში მიმდინარე ოპტიმიზაციის შესახებ. საბჭოს წევრებმა მოისმინეს ინფორმაციები: ირაკლი ღარიბაშვილისა – საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გატარებული საკადრო პოლიტიკის შესახებ, გ. თაყნიაშვილისა – საქართველოს საბიბლიოთეკო კვრეულისა და საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების მუშაობის მდგომარეობის შესწავლის შესახებ. საბჭოს წევრებმა გამონახეს თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება რაიონებში მოქმედი სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალების საჯარო სკოლებთან შეერთების ექსპერიმენტისადმი. გადაწყდა, ამ საკითხზე წერილობით მიმართონ შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს.



თენგიზ ჩხიტიანი



ქართველ ბიბლიოთეკაცმცოდნეთა რიგებს უდროოდ გამოაკლდა საბიბლიოთეკო საქმის ისტორიის მკვლევარი, უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების მუშაობის ორგანიზაციისა და მეთოდის შესანიშნავი მცოდ-

ნე თენგიზ თომას ძე ჩხიტიანი. იგი დაიბადა 1938 წელს საჩხერის რაიონის სოფელ ჭალაში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემდეგ, 1963 წელს სწავლა თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობაზე გააგრძელა. პრაქტიკული საქმიანობის პარალელურად ეწეოდა სამეცნიერო-მეთოდურ საქმიანობას უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების ორგანიზაციულ საკითხებზე. მას, როგორც საბიბლიოთეკო საქმის ისტორიის მკვლევარს, აღიარება მოუტანა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საბიბლიოთეკო და საგამომცემლო მოღვაწეობის შესწავლამ და გამოკვლევამ, ამავე თემაზე მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1980 წელს ცალკე წიგნად გამოსცა ამ პრობლემების კვლევის შედეგები (თბ.; 1980); გამოიკვლია რა აღნიშნული საზოგადოების საბიბლიოთეკო და საგამომცემლო მოღვაწეობა, თ. ჩხიტიანმა საარქივო მასალების საფუძველზე



შუქი მოპვინა მანამდე ბევრ უცნობ საკითხსა და ფაქტებს. ამ წიგნმა კიდევ ერთხელ ცხადყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დიდი წვლილი და ამაგი ქართული წიგნების გამოცემისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სკოლების გახსნის თვალსაზრისით.

თ. ჩხიტიანმა იყო მოკრძალებული, თავმდაბალი, ენთუზიასით აღსავსე პიროვნება და მკვლევარი; სხვადასხვა დროს მუშაობდა სავაჭრო ტექნიკუმის ბიბლიოთეკის გამგედ, ხარისხის დაცვის შემდეგ კითხულობდა ლექციებს ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში მუშაობდა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გამგედ; სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების სიყვარულით გარემოცულ პროფესიონალს თავისი წვლილი შეჰქონდა სასწავლო პროცესში ბიბლიოთეკის როლის ამაღლების საქმეში. თ. ჩხიტიანმა აქტიურად თანამშრომლობდა ჩვენს ჟურნალში, მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე სტატია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გახსნილი სასკოლო ბიბლიოთეკების ისტორიის საკითხებზე.

გულდასაწყვეტია, რომ შრომისმოყვარე და ენერგიით აღსავსე კოლეგას არ დასცალდა საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის ისტორიის დღემდე უცნობი ფაქტებისა და მოვლენების მეცნიერული შესწავლა.

თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი
 ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“
 რედაქცია

ახალი გამოცემები



გონივრული კლასიკა

**მსოფლიოს
მაგაზინი ალკოჰოლური
სასმელები**

ალკოჰოლური სასმელები მსოფლიო კულტურის ნაწილია.
ჩვენს ქვეყანაში ისინი ხელს უწყობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვას.

შინაგაზა ალკოჰოლური სასმელებს ეკუთვნის
საზოგადოებრივი და ფორმალური კულტურის წარმომადგენელი
მსოფლიო საზოგადოებაში. ალკოჰოლური სასმელები
შეფუთულია და შეფუთულია ალკოჰოლური სასმელების
არსებითი და უსაფრთხო დაცვით.



შოთა მესხია

Shota Meskhia

Шота Месхиа

90

პლ. დიუმას ფრანგული კულტურის ცენტრი გვთავაზობს ფრანგული ენიდან თარგმნილ უახლეს გამოცემებს





სარაიონო ბიბლიოთეკების გამგეების კონფერენცია (1952 წ.)



აკადემიკოსები ი. ვეკუა და ნ. მუსხელიშვილი
ბიბლიოთეკარებს შორის (1973 წ.)



სხალი გამოცემები

